პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—48
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 8ა, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელებს, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 12 დეკემბერი, 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 287 (2330)

დ ღ ი უ რ ი

— ინგლისი „უარჰყოფს“ მონაწილეობას აჯანყების მოწყობაში ავღანისტანის საზღვარზე.
— რემედასის აღმასკომის მოწოდება კონგრესის აჯანყების წლის თავის გამო.
— საფრანგეთი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიღწევების შესახებ.
— გაიხსნა პროფკავშირების მერვე საკავშირო ყრილობა.
— დეკემბრის პირველ ხუთდღეულში პურის დამზადება გაიზარდა.
— სამხატვრო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიასთან დაარსდა საქართველოს ხელოვნების შემსწავლელი განყოფილება.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. ლიტვინოვის მოხსენება საკავშირო ცაკის სესიის 10 ნოემბრის საღამოს სხდომაზე

იმპერიალისტების საომარი მზადება

მშვიდობიანობის სადარაჯოზე

მოსკოვი, 11 დეკემბერი. ამხანაგებო, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებო!

თქვენი თაოსნობით ცაკის დღევანდელი სესიის დღის წესრიგში დაისვა საკითხი საბჭოთა კავშირის საგარეო ურთიერთობის მდგომარეობის შესახებ. ეს რამდენადმე შემოღებულ ტრადიციას შეეფერება, მაგრამ თქვენი ინტერესი აღძრულ საკითხისადმი, უეჭველია, აიხსნება იმ მოუსვენრობით, რომელსაც ყოველ ჩვენგანში უნდა იწვევდეს ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა. საბჭოთა მთავრობის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, პირველ ყოვლისა, ანგარიშს წარმოადგენს იმ დირექტივების შესრულების შესახებ, რომლებიც მან მიიღო უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებისაგან—საბჭოების ყრილობებისა და ცაკისაგან. ამ დირექტივების უცვლელ შინაარსს ყოველთვის შეადგენდა—განხორციელება და გაღრმავება სამშვიდობო პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ადგია თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე, ზრუნვა თავის საზღვრებზე მშვიდობიანობის დასაცავად და ხელის შეწყობა მტკიცე საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებისათვის.

უკანასკნელ წელს საბჭოთა კავშირის მთავრობას ამ დირექტივების განხორციელება უხდებოდა მეტად რთულ, დაძაბულ, მოუსვენარ პირობებში. როგორც მსოფლიო ომამდე, ისე ომის შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი, თუ ერთად-ერთი არა, სვე-ბედის გამგენი არიან ეგრეთ-წოდებული დიდი ან, უფრო გასაგები რომ იყოს, ვიტყვი, იმპერიალისტური სახელმწიფოები. მსოფლიო ომმა მხოლოდ ის შეცვალა, რომ დიდი სახელმწიფოების ეგრეთ-წოდებული კონცერტიდან გამოვიდნენ ომში დამარცხებული სახელმწიფოები, აგრეთვე რუსეთის იმპერია, რომელიც, მისი მუშებისა და გლეხების სურვილით, საბჭოთა კავშირად გადაიქცა, ხოლო ამ კავშირს თავისი ბუნებით არ შეიძლება საერთო რამე ჰქონდეს იმპერიალისტურ პოლიტიკასთან.

ახალია ისიც, რომ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მოახერხეს და შექმნეს მეტად მძლავრი ორგანო—ერთა ლიგა, რომლის დახმარებით ისინი ხშირად ახორციელებენ თავიანთ მიზანს.

ძალთა გადაჯგუფება

მას შემდეგ, რაც მათთვის გამარჯვებით დამთავრდა მსოფლიო ომი და დამარცხებით დამთავრდა ინტერვენცია ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე, ისინი უმთავრესად უნდებოდნენ საკუთარი იარების მოშუშებას, შინაური საქმეების მოწესრიგებას, ვალიუტის სტაბილიზაციას და მოპოვებულ გამარჯვებათა კონსოლიდაციას (განმტკიცებას), ე. ი. იმ პროცესის დამთავრებას, რომელსაც უნდა განეიარაღებინა და სავსებით დაემორჩილებინა დამარცხებული ქვეყნები.

ეს პროცესი შედარებით ცოტა ხანია რაც დამთავრდა და მის უკანასკნელ ფაზად უნდა ჩაითვალოს ლოკარნოს იმ შეთანხმებათა დადება, რომლებმაც საგრძნობლად შეზღუდეს მსოფლიო ომში ამ სახელმწიფოთა მთავარი მოწინააღმდეგის გერმანიისათვის პოლიტიკური მანევრების თავისუფლება. ამრიგად, ლოკარნოს შეთანხმებათა დადება, რომელიც წარმოადგენს გამარჯვებული ქვეყნების ომის შემდგომი დროის პირველი პერიოდის პოლიტიკის დაგვირგვინებას, ამავე დროს შეიძლება ჩაითვალოს იმ ახალი, უფრო აქტიური პოლიტიკის დასაწყისად, რომელიც ახალ მიზნებს ისახავს, თუმცა ძველი საშუალებებით და მეთოდებით სარგებლობს. ლოკარნოს კონფერენციის დამთავრების შემდეგ იწყება კაპიტალისტური ქვეყნების დიპლომატიური ცხოვრების შესამჩნევი გაცხოველება. თავს იჩენენ ომის წინადროინდელი ხასიათის დიპლომატიური ინტრიგები, ისახებიან ახალი ობიექტები, იქმნებიან ახალი პოლიტიკური კომბინაციები, ჯგუფები, სამხედრო კავშირები; და სწორედ ისე, როგორც მსოფლიო ომის წინა წლებში, პოლიტიკური მოლაპარაკება დიპლომატიური კანცელარიებიდან თანდათან გადადის სამხედრო-საზღვაო შტაბებში, დიპლომატიურ თათბირებთან ერთად სწარმოებს გენერლებისა და ადმირალების მოგზაურობა, ხოლო ყოველივე ამის შედეგად ისახება ხალხთა ახალი სისხლის მღვრელი შეტაკების კონტურები, ისახება მასშტაბები სამხედრო მოქმედებათა მოსალოდნელი ასპარეზიც კი.

ინგლის - საფრანგეთის კომპრომისი

ამგვარი დიპლომატიური მუშაობის ყველაზე უფრო ცხად მაგალითად სამართლიანად ითვლება ინგლის-საფრანგეთის ცნობილი შეთანხმება და ინგლის-იაპონიის მოლაპარაკება, რომელსაც ამას წინად ჰქონდა ადგილი. ამ შეთანხმებებისა და ამ მოლაპარაკების მონაწილენი ოფიციალურად ამტკიცებენ, რომ ისინი თათბირობდნენ მხოლოდ ისეთი საკითხების შესახებ, რომლებსაც ვიწროთ შემოფარგლული მნიშვნელობა აქვთ: ბრიტანეთი საფრანგეთთან თათბირობდა განიარაღებასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ, ხოლო ინგლისი იაპონიასთან მოქმედების შესათანხმებლად ჩინეთში. ისინი უარყოფენ იმ უფრო ფართო მიზნებს, რომლებსაც ამ თათბირებს აწერენ. მაგრამ ამ ოფიციალურ უარყოფას და მტკიცებას არ უჯერებენ არა თუ ჩვენში, არამედ ისეთ ქვეყნებშიაც, რომელთა მთავრობებიც თავიანთი ხალხების ზურგს უკან საიდუმლოდ იღებენ მონაწილეობას ამ დიპლომატიურ მოქმედებებში. საკმარისია თვალი გადავავლოთ თუ გინდ მარტო ინგლისის პრესას, რათა დავრწმუნდეთ, რომ საქმე გვაქვს ფრიად მნიშვნელოვან და საშიშ მოვლენებთან, რომლებსაც აუცილებლად მივყევართ მსოფლიო ომისაკენ. მსოფლიო პრესა ეხლა იმას არკვევს მხოლოდ, თუ ვინ იქნება ახალი სამხედრო-პოლიტიკური კომბინაციების უშუალო ობიექტი მარტო ამერიკის შეერთებული შტატები, თუ საბჭოთა კავშირიც, ან შესაძლებელია იტალიაც და გერმანიაც.

აი ინგლისელი ჟურნალისტის რობერტ დელის კომენტარიები ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ:

„ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ააშკარავებს ახალი ანტანტის არსებობას, ისეთი ფორმალურად და წერილობით ჩამოყალიბებული კავშირის არსებობას, რომლის მსგავსი ომის წინაც არსებობდა ამ ქვეყნებს შორის და რომელიც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ამ ომისა. ბრიტანეთის საზღვაო უწყება არასოდეს არ დასთანხმდებოდა იმას, რომ საფრანგეთს მინიჭებოდა განუსაზღვრელი რაოდენობის წყალქვეშა ნავების აგების უფლება, თუ მას არ დაპირდებოდნენ, რომ ამ წყალქვეშა ნავებს ინგლისის სავაჭრო ფლოტის წინააღმდეგ არ გამოიყენებენ. ასეთი დაპირების მიცემა შეიძლება მხოლოდ, თუ არა ფორმალურ, ფაქტიური საზღვაო კავშირის ჩარჩოებში“.

ამ კომბინაციების საშიში ხასიათი ეჭვს გარეშეა. ლოიდ-ჯორჯმა, რომელიც საკმაოდ გამოცდილია ამგვარ საქმეებში, ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება დაახასიათა, როგორც „ყველაზე უფრო საშიში იმ მოვლენებს შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მსოფლიო ომის შემდეგ“.

მე შევჩერდი უკანასკნელი დროის საერთაშორისო ცხოვრების მხოლოდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მომენტზე. ეს პერიოდი, რა თქმა უნდა, მარტო აღნიშნული მომენტებით არ ამოიწურება. რაოდენობის მხრივ ადგილი ჰქონდა გაცილებით უფრო მეტ საეჭვო თათბირებს, კონფერენციებს და გენერლების მოგზაურობას იმ ქვეყნებში, რომლებიც გეოგრაფიულად უფრო ახლო მდებარეობენ ჩვენ კავშირთან. შეიძლება მათ უფრო უშუალო მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირისათვის, მაგრამ ისინი მაინც ჩემ მიერ აღნიშნული უფრო დიდი მოვლენების შედეგს წარმოადგენენ.

თვალ-ყური უნდა ვადევნოთ

მთლად გართული შინაურ მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის მთავრობა, საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დირექტივების თანახმად, შორს სდგას ყველა ამ დიპლომატიური კომბინაციებისა და დიპლომატიური ინტრიგებისაგან და უარს ამბობს რაიმე სამხედრო-პოლიტიკურ ჯგუფში მონაწილეობის მიღებაზე. ამასთან ერთად იგი იძულებულია ფხიზლად ადევნოს თვალყური აღნიშნულ ამბებს, რადგან მას მშვენივრად ესმის, რომ მშვიდობიანობის დარღვევას დედამიწის რომელსამე ადგილას შეუძლია გამოიწვიოს საყოველთაო ომი, და რომ თუნდაც, პროვოკაციის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი არ ჩაება სამხედრო კონფლიქტში, მისი ეკონომიკისათვის და მისი მშენებლობის გეგმებისათვის ყოველგვარ ომს მაინც არსებითი ზიანის მიყენება შეუძლია. საბჭოთა კავშირის მთავრობამ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური საბჭოთა კავშირის უშუალო მეზობლების მონაწილეობას საერთაშორისო კომბინაციებში და ჯგუფებში, ყოველსავე იმას, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ჩვენს ინტერესებს. საბჭოთა კავშირი, რომელიც მოწადინებულია შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს, თავის მოვალეობად სთვლის გამოააშკარაოს ომისაკენ მიმართული საერთაშორისო ინტრიგები მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის წინაშე და, კერძოდ, მშრომელთა წინაშე, რომლებსაც ჩვეულებრივად განსაკუთრებული სიმძიმით ატყდება თავს ყოველგვარი ომი.

განიარაღების საქმის საბოტაჟი

ჩვენი წინადადებები განიარაღების შესახებ

ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა კონკრეტულად სახავს იმ გზას, რომელსაც შეუძლია მაქსიმალურად უზრუნველყოს საყოველთაო მშვიდობიანობა. ასეთ გზად საბჭოთა მთავრობას მიაჩნდა და მიაჩნია სრული და საყოველთაო განიარაღება დაუყოვნებლივ ან შეიარაღების მაქსიმალური შემცირება მაინც, როგორც სრული განიარაღების პირველი ეტაპი. ეს პრინციპები ნათლად იქნა გამოხატული საბჭოთა დელეგაციის მიერ იმ ორ პროექტში, რომლებიც წარუდგინა მან ერთა ლიგასთან არსებულ განიარაღების კონფერენციის მომამზადებელ კომისიას. ეს პროექტები შეეხებოდნენ სრულ და ნაწილობრივ განიარაღებას.

უდიდესი სამსახური მშვიდობიანობის საქმეს საბჭოთა მთავრობამ გაუწია თუ გინდ მარტო იმ ფაქტით, რომ საბჭოთა კავშირის თაოსნობით პირველად იქნა დასმული ოფიციალურად საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა.

მართალია, ეს პრობლემა ამჟამად გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ თვით მისი დასმა გააძლიერებს მშვიდობიანობისაკენ მიმართულ ხალხის მასების სურვილსა და მეცადინეობას.

თქვენ იცით, ამხანაგებო, განიარაღების პროექტების შედეგი, ვინაიდან საბჭოთა დელეგაციის ჟენევაში მუშაობის შესახებ სპეციალური მოხსენება გავაკეთე ცაკის ერთ-ერთ წინანდელ სესიაზე. სრული განიარაღების პროექტი მთლიანად და დაუსაბუთებლად იქნა უარყოფილი. ჩვენი წინადადება ნაწილობრივი განიარაღების შესახებ მიუდის ქვეშ იმალება, ერთა ლიგა მას, როგორც ჩანს, არ არკვევს.

მომამზადებელ კომისიას არ იწვევენ

მოსამზადებელი კომისიის მოწვევის შემდეგ დიდი ხანია გავიდა, მაგრამ კომისიას არავითარი სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობა. აგვისტოში მე შევეკითხე კომისიის თავმჯდომარეს, აპირებს თუ არა მის მოწვევას ან როდის. პასუხი გაურკვეველი იყო: მას შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ ერთა ლიგის საერთო კრების დამთავრების შემდეგ და მას-შემდეგ, როცა იგი, თავმჯდომარე, ზოგიერთ ამბებს გამოარკვევს. ერთა ლიგის საერთო კრება დიდი ხანია დაიხურა. ის ამბებიც, რომელთა შესახებ გადაკვრით ლაპარაკობდა კომისიის თავმჯდომარე,.. დამთავრდა. ამ ამბებად უნდა ვიგულისხმოთ ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება საზღვაო შეიარაღების შესახებ.

საქმე ისაა, რომ განიარაღების მოსამზადებელმა კომისიამ გადასწყვიტა: კომისიაში ჩამოვარდნილი უთანხმოებანი სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, მეტადრე ეგრეთწოდებულ დიდ სახელმწიფოებს შორის, განხილულ უნდა იქნას არა თვით კომისიაში, საჯაროდ და კომისიის წევრების მონაწილეობით, არამედ კულისებს იქით, ფარულად, დიპლომატიური წესით. ამიტომ მოსამზადებელმა კომისიამ თავაზიანობა გამოიჩინა და დასთანხმდა, რომ დროებით შეეწყვიტა თავისი არსებობა და მოეცადა, თუ რითი გათავდებოდა მოლაპარაკება იმ უთანხმოებათა შესახებ, რომლებიც დიდ საზღვაო სახელმწიფოებს შორის წარმოიშვნენ. ჟენევაში მოხდა ამ სახელმწიფოების კერძო კონფერენცია, რომელიც უნაყოფოდ დამთავრდა. შემდგომს მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მხოლოდ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი; ეს მოლაპარაკება დამთავრდა შეთანხმებით, რომელიც დამყარებულია ძველ დიპლომატიურ პრინციპზე: ხელი ხელსა ჰბანსო. ამ შემთხვევაში ეს გულისხმობდა, რომ მოლაპარაკების თვითეული მონაწილე ვალდებულებას კისრულობდა—არ მოეთხოვა იმ შეიარაღებათა შემცირება, რომლებიც სპეციალურად ეინტერესებოდა მოლაპარაკების მეორე მონაწილეს.

რა მოსატანია აქ განიარაღებაო, იკითხავთ თქვენ, ეს ხომ უფრო შეთანხმებაა განუიარაღებლობის შესახებ? თქვენ სცდებით, ეს მთლად ასე არ არის, ვინაიდან მოლაპარაკების ორივე მონაწილე დასთანხმდა იმ შეიარაღებათა შემცირებაზე, რომლებიც ეინტერესებათ ამ მოლაპარაკების გარეშე დარჩენილ სახელმწიფოებს, მესამე საზღვაო სახელმწიფომ—სახელდობრ, ჩრდ. ამერიკის შეერთებულმა შტატების რესპუბლიკამ—განაცხადა, რომ ასეთი შეთანხმება მისთვის მიუღებელია.

ამგვარად, ის ამბები, რომელთა შედეგებზედაც დამოკიდებულია განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მოწვევა, ფიასკოთი დამთავრდა და მხოლოდ გააძლიერა წინად არსებული უთანხმოებანი საზღვაო განიარაღების შესახებ. ამიტომ მე შევეკითხე კომისიის თავმჯდომარეს—კიდევ რა ამბებს უნდა უცადოთ მეთქი, რომ კომისია მოწვეულ იქნას; განა დრო არ არის, რომ კომისია შეიკრიბოს და გადასწყვიტოს: აქვს თუ არა უფლება შემდეგი არსებობისათვის და რითი შეავსებს თავის არსებობას. თუ კომისიის თავმჯდომარე მიპასუხებს: დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის, ერთის მხრით, და ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, მეორე მხრით, ალბად, ახალი მოლაპარაკება დაიწყებათ, რომლის შედეგებსაც ის დაუცდის, მაშინ მშვიდობიანობას მოწყურებულ ხალხის მასებს უდიდესი მოთმინებით აღჭურვა დასჭირდებათ.

დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მოლაპარაკებამ ხუთ თვეს გასტანა. რაც უფრო მეტი მონაწილე იქნება, მით უფრო დიდხანს გასტანს მოლაპარაკება. მაშასადამე, ნაყოფიერად რომ დამთავრდეს მოლაპარაკება ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით, საჭირო იქნება კიდევ უფრო ხანგრძლივი დრო. თუ მათ შორის შეთანხმება მოხდება, იგი შეიძლება მიუღებელი გამოდგეს სხვა საზღვაო სახელმწიფოებისათვის, რომლებთანაც საჭირო იქნება ახალი მოლაპარაკების გამართვა და ამგვარად ახალ-ახალი ვადა გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება. მაგრამ ყოველგვარი ჯგუფური შეთანხმება უნდა განიხილოს მოსამზადებელმა კომისიამ, სადაც თავისი სიტყვის თქმა შეუძლიათ სხვა სახელმწიფოებსაც, რომლებსაც ჯგუფურ შეთანხმებასთან არაფერი კავშირი არა აქვთ. ასეთ მოლაპარაკებათა დასასრულს ბოლო არ გამოუჩნდებოდა.

საბჭოთა მთავრობის ახალი ცდა

ამიტომ მე ჩემს წერილში წინადადება მივეცი კომისიის თავმჯდომარეს, რომ კომისიას ხელი აეღო ისეთ გზებზე, რომლებიც კომისიას ჩიხში ამწყვდევენ და განეხილა ნაწილობრივი განიარაღების საბჭოთა პროექტი, რომელსაც ის უპირატესობა აქვს რომ იგი იძლევა ყველასათვის სავალდებულო საერთო კრიტერიუმს შეიარაღებათა შემცირებისათვის და ზედმეტად ხდის ცალკე მოლაპარაკებას ცალკე სახელმწიფოებსა და ამ სახელმწიფოების ჯგუფებს შორის. ჩემი წერილი უკვე გზაშია და როგორც კი მივა დანიშნულებისამებრ, იგი დაუყოვნებლივ იქნება გამოქვეყნებული. ეს მოხდება, დაახლოვებით, ორიოდე დღის შემდეგ.


ამხ. ლიტვინოვი

საბჭოთა კავშირი მხოლოდ შარშან ჩაება ერთა ლიგის მუშაობაში განიარაღების გარშემო, რომელსაც ლიგა 8—9 წელიწადია აწარმოებს; ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ საბჭოთა კავშირი ყველაზე აქტიური ელემენტია განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში და ყველაზე მეტად ცდილობს, რომ მისმა საქმიანობამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს.

გალმა გამოდავების ფანდი

კელოგის ხელშეკრულება

ჩვენს წინადადებას განიარაღების შესახებ დაუპირისპირდა კელოგის წინადადება ომის ამკრძალავი ხელშეკრულების დადების შესახებ. ჩვენი მთავრობა კრიტიკულად მოეკიდა ამ ხელშეკრულებას და აღნიშნა რომ იგი საკმაო არ არის და შეზღუდულია. ომზე უარის თქმის პრინციპი თავდაუსხმელობის პაქტის ჩვენს პროექტებშიაც იყო, რომლებიც რამდენიმე სახელმწიფოს შევთავაზეთ. მაგრამ ჩვენი პროექტები უფრო ფართოდ ეხებიან თავდაუსხმელობის საკითხებს და არ შეიცავენ არავითარ მიკიბულ მოკიბულ ორჭოფობას. ჩვენი პაქტები შეიცავდნენ აგრეთვე ვალდებულებას ნეიტრალიტეტის შესახებ და მტრულ ჯგუფებსა და კომბინაციებში მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ. ეს წინადადებები რომ სახელმწიფოების უმრავლესობას მიეღო, ამით მძლავრი ლახვარი ჩაეცემოდა სამხ.-პოლიტიკურ დაჯგუფებათა, კომბინაციათა და კავშირთა იმ სისტემას, რომელიც ომამდე ახასიათებდა საერთაშორისო დიპლომატიას, რომელმაც მსოფლიო ომი გამოიწვია და რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე მსოფლიო მნიშვნელობის ახალი ომების საფრთხეს ჰქმნის.

მიუხედავად ამისა, რაკი ჩვენმა მთავრობამ დაინახა, რომ კელოგის პაქტს ხელის მომწერი სახელმწიფოები ერთგვარ მორალურ ვალდებულებას კისრულობენ საზოგადოებრივი აზრის წინაშე, რომ პაქტს ერთგვარი, თუმცა შეზღუდული, მნიშვნელობა აქვს, იგი უყოყმანოდ, მაშინვე შეუერთდა ამ პაქტს და სრული სახე მისცა თავის შეერთებას. ამგვარად, ჩვენი კავშირი იმ სახელმწიფოებში მოჰყვა, რომლებმაც კელოგის პაქტს პირველად მოაწერეს ხელი. ჩვენი კავშირისა და ზოგიერთი პატარა და საშუალო სახელმწიფოს გარდა, პაქტი ძალიან უხალისოდ მიიღო მისი მონაწილეების უმრავლესობამ. საინტერესოა აღნიშნოთ რომ პაქტის რატიფიკაცია პოლონეთს ჯერ არ მოუხდენია. რაც შეეხება ბალტიის მხრის სახელმწიფოებს, არც ერთი მათგანი, გარდა ლიტვისა, პაქტს ჯერ არ მიმხრობია.

არადამაჯერებელი არგუმენტი

როგორც ხედავთ, საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან ნაბიჯებს დანარჩენი სახელმწიფოები არ გამოხმაურებიან. ასე იყო ჟენევაში, ასე იყო ჩვენ მიერ მოწვეულ მოსკოვის კონფერენციაზე განიარაღების შესახებ ასე იყო იმ დროს, როცა ჩვენ თავდაუსხმელობის პაქტები შევთავაზეთ სახელმწიფოებს, ასეა ახლაც, როცა ჩვენ განიარაღების პაქტებს ვთავაზობთ. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: ჩვენი აქტივობა მშვიდობიანობის საქმეში ბევრს არ ეპიტნავება და ზოგიერთ ქვეყნებში აშკარა გაბოროტებასაც კი იწვევს. ცხადია, ჩვენს ურთიერთობას ამ ქვეყნებთან არ აუმჯობესებს საბჭოთა მთავრობის მეცადინეობა მშვიდობიანობისათვის, რადგან ეს მეცადინეობა ეწინააღმდეგება მათ პოლიტიკას, რომელიც მოითხოვს დღევანდელი შეიარაღების შენარჩუნებას ან მის ზრდასაც კი.

უნდა ვაღიაროთ რომ ჩვენი სამშვიდობო წინადადებანი იმპერიალისტურ ქვეყნებს საკმაოდ გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებენ. როცა ისინი უარჰყოფენ ჩვენს წინადადებებს, იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ მშრომელი მასების და წვრილბურჟუაზიული პაციფისტების ომის საწინააღმდეგო სულისკვეთებას. ამიტომ ისინი განუწყვეტლივ გაიძახიან მშვიდობის მოყვარეობაზე და სიტყვა „მშვიდობიანობა“ არ შორდება მათ ბაგეს. ვინაიდან მათთვის პოლიტიკურად უხერხულია აშკარად აღიარონ, რომ არა სურთ განიარაღება, ხოლო ჩვენ საბუთებს განიარაღების სასარგებლოდ ვერაფერს უპირისპირებენ, ამიტომ ისინი არაგულწრფელად აცხადებენ ჩვენს წინადადებებს, ეს არგუმენტები იაფი ხარისხის, არადამაჯერებელი არგუმენტია და ვერ აღწევს მიზანს. ჩვენი გულწრფელობის შემოწმება შეიძლება მხოლოდ ჩვენი წინადადების მიღებით, და ისინი რომ მართლაც დარწმუნებულნი იყვნენ ჩვენს არაგულწრფელობაში, ამის გამოსააშკარავებლად მათ ისეთი სახე უნდა მიეღოთ, ვითომც თანახმანი არიან ჩვენს წინადადებებზე. მაგრამ ამას ისინი არ ჩაიდენენ, მათ ესმით, რომ ასეთი ნაბიჯი სახიფათოა, ვინაიდან კარგად იციან, რომ ჩვენ განიარაღებაზე დავთანხმდებით და ჩვენი გულწრფელობის ნამდვილმა შემოწმებამ შეიძლება მხოლოდ დიდი უხერხულობა შეუქმნას მათ.

პუანკარეს რეპლიკის გამო

თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომ. პუანკარემ ამ დღეებში მეტად გაბედული განცხადება გააკეთა. დეპუტატთა პალატაში მან განაცხადა, რომ როგორც კი დამტკიცდება ჩვენი თანხმობა საყოველთაო განიარაღებაზე, იგი „საჯაროდ იკისრებს მიბაძოს ჩვენს მაგალითს“.

პუანკარემ მშვენივრად იცის, რომ საბჭოთა მთავრობამ თავისი თანხმობა საყოველთაო განიარაღებაზე განაცხადა არაშემთხვევითი რეპლიკის სახით, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციის ღია სხდომაზე—განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში, მთელი მსოფლიოს წინაშე. ჩვენ მისგანაც ამაზე მეტს არ მოვითხოვთ ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ იმას, რომ მან ამავე ფორმით განაცხადოს თავისი თანხმობა. თუ კი საფრანგეთი თანახმაა საყოველთაო განიარაღებაზე, რატომ მოხდა, რომ პოლ ბონკურმა და საფრანგეთის რესპუბლიკის სხვა დელეგატებმა განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში არა მარტო უარჰყვეს ჩვენი წინადადება, როგორც აბსოლუტურად მიუღებელი, არამედ ამ წინადადების მთავარ მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოექცნენ? თუ კი პუანკარეს წინადადება სერიოზული და გულწრფელია, მაშინ მან უნდა მოითხოვოს განიარაღების მოსამზადებელი კომისიის დაუყოვნებლივ მოწვევა და მე საბჭოთა მთავრობის სახელით საჯაროდ ვკისრულობ კვლავ განვიმეორო ჩვენი წინადადება და ყოველგვარი ფორმით განვაცხადო თანხმობა წითელი არმიის სრულ დაშლაზე ჩვენი პროექტის მიხედვით. სწორედ ეს იქნება გულწრფელობის ნამდვილი გამოცდა. მაგრამ მე გულწრფელად შემიძლია ეჭვი იმაში, რომ პუანკარე დათანხმდება ამას.

ციფრები თავის თავად მეტყველებენ

საფრანგეთის რესპუბლიკის მეორე მინისტრის—ბრიანისაგან ამას წინად გავიგონეთ მოულოდნელი, სრულებით დაუჯერებელი, მეტი რომ არ ვსთქვათ, განცხადება იმის შესახებ, ვითომ საყოველთაო განიარაღების დაბრკოლებას წარმოადგენს... როგორ ფიქრობთ ვინ?—წითელი არმია! მე ვემყარები ბრიანის მიერ პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუს, რომელშიაც თითქოს მან სთქვა, რომ „ევროპის სახელმწიფოებს“ არ შეუძლიათ წაუვიდნენ წინ შეიარაღების შეზღუდვის გზით უმთავრესად იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირს ჰყავს მრავალრიცხოვანი ძლიერი არმია და ამაყობს კიდეც მისი ბრძოლის უნარიანობით.

ხოლო პოლ ბონკურმა სექტემბერში ერთა ლიგის სესიაზე განაცხადა, რომ „განიარაღების ბედიღბალი ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებულიო“. რომ ჩვენ ვამაყობთ წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობით, ეს ფაქტია, რადგან სწორედ ამ ბრძოლის უნარიანობის წყალობით, რომელიც ჩვენ გვწამს, უკვე მეთორმეტე წელიწადია, რაც პროლეტარული სახელმწიფო არსებობს და რაც ამ სახელმწიფოს საშუალება აქვს სოციალიზმის მშენებლობა აწარმოოს. მაგრამ ეს ბრძოლის უნარიანი წითელი არმია ჩვენ მხოლოდ იქ დრომდე გვჭირდება, სანამ დაპირისპირებული ჰყავს კაპიტალისტური ქვეყნების მძლავრი არმიები. მოსპეთ, დაშალეთ ეს არმიები და ჩვენც არ დაგვჭირდება საკუთარი არმია. ჩვენ ჩვენს წითელ არმიელებს სამხედრო სწავლაზე უფრო სასარგებლოსა და ნაყოფიერ საქმეს გავუჩენთ. ჩვენ წამოვაყენეთ ასეთი წინადადება, მაგრამ ბრიანის მთავრობამ უარჰყო იგი და ახლაც უარყოფს. რა მნიშვნელობა აქვს ამის შემდეგ ჩვენს წითელ არმიაზე მითითებას? მეტი ეფექტისათვის ბრიანმა ერთა ლიგის საერთო კრებაზე საჯაროდ დაინახა ეთქვა (თუმცა ზრდილობით ჩვენ არ დაუსახელებივართ), რომ საბჭოთა არმია უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სხვა ქვეყნების არმიები, იზრდება როგორც რიცხობრივად, ისე სამხედრო მასალის მხრივ. კიდევაც რომ შეეფერებოდეს ეს სინამდვილეს, მაინც იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩავთვალოთ განიარაღების შესახებ ჩვენი წინადადების უარყოფის გასამართლებელ საბუთად. მე არ შევადარებ ციფრობრივ საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის არმიებს, ვინაიდან ეს ციფრები არაფერს არ გამოხატავენ. მაგრამ რადგან ხშირად გვიმტკიცებენ, რომ ომის წინა დროის დონესთან შედარებით, საფრანგეთის არმია ფაქტიურად შემცირებულია, ამიტომ ზედმეტი არ იქნება გაცნობოთ, რომ საფრანგეთის ოფიციალური წყაროების თანახმად, საფრანგეთის სამხედრო ხარჯი 393 მილ. დოლარს შეადგენდა, მაგრამ უფრო დამარწმუნებლად მიმაჩნია შემდეგი ცნობები: საფრანგეთში ერთ კვადრ. კილომეტრზე სამხედრო პირი მოდის 66,7, ხოლო საბჭოთა კავშირში 26,5. სამხედრო პირი ხმელეთის საზღვრის ერთ კილომეტრზე საფრანგეთში მოდის 132,3, ხოლო საბჭოთა კავშირში 81,2. ყოველ 1000 მცხოვრებზე საფრანგეთში სამხედრო პირი მოდის 9,2, ხოლო საბჭოთა კავშირში 3,8. სამხედრო ხარჯები მოსახლეობის თითო სულზე: საფრანგეთში 9,6 დოლარი, საბჭოთა კავშირში 2,6 დოლარი. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ შემდეგიც: ომის წინ საფრანგეთს ანგარიში უნდა გაეწია გერმანიის უძლიერესი არმიისათვის, რომელშიაც 700,000 კაცი ითვლებოდა და რომელიც, ეჭვს გარეშეა, საფრთხეს წარმოადგენდა საფრანგეთისათვის, ამჟამად კი ეს არმია შემცირებულია 100.000 კაცამდე. ამასთან დადებულია ლოკარნოს საგარანტიო ხელშეკრულება, რომელიც ავალებს დიდბრიტანეთს მთელი თავისი ძალებით დაეხმაროს საფრანგეთს იმ შემთხვევაში, თუ მის აღმოსავლეთის საზღვრებს თავს დაესხნენ. აღარას ვამბობ საფრანგეთის მოკავშირეების—ჩეხო-სლოვაკიის, რუმინეთის და პოლონეთის ვალდებულებების შესახებ. ჩვენ კი სხვისი სამხედრო დახმარების იმედი არ უნდა გვქონდეს. მთელი ჩვენი დასავლეთის საზღვრების გასწვრივ იმყოფებიან ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც შეიარაღებულნი არიან და განაგრძობენ შეიარაღებას, და რომელთაც, ამას გარდა, საბუთი აქვთ იმედი ჰქონდეთ დახმარებისა იმავე საფრანგეთის არმიის მხრივ, ან იქნებ სხვა სახელმწიფოთა არმიების მხრივაც. როდესაც სხვადასხვა ქვეყნის არმიებს ერთმანეთს ვადარებთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ მათი ხასიათი და სტრუქტურაც, ამიტომ შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომ წითელი არმია ტერიტორიალობის პრინციპზეა აგებული. ამის გამო მის დანიშნულებას შეადგენს უმთავრესად თავდაცვა და არა თავდასხმა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენ ჩვენის წინადადებებით—თავდაუსხმელობისა და განიარაღების შესახებ—დავამტკიცეთ ჩვენი მისწრაფებების მშვიდობიანი ხასიათი, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნები, რომელთაც უარჰყვეს ჩვენი წინადადებები, თავიანთი პოლიტიკით საკმაო საბუთს გვაძლევენ ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ისინი ჩვენი კავშირის მიმართ მშვიდობისმოყვარეობით არ არიან გამსჭვალულნი.

პოლონეთ-რუმინეთის კავშირი

როცა ბრიანი შეეხო ჩვენს არმიას, ის ლაპარაკობდა არა მარტო საფრანგეთის, არამედ პოლონეთის და რუმინეთის შესახებაც, რომელნიც თითქოს „შიშით უყურებენ რუსეთის განზრახვებს“. ბრიანმა განაცხადა, რომ ეს შიში მისთვის გასაგებია. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ „პოლონეთს და რუმინეთს უნდათ იქონიონ მშვიდობიანი ურთიერთობა რუსეთთან“.

შეკითხვები ბრიანს

მე ბრიანს დაუსვამდი შემდეგ კითხვებს: „რით ხსნის იგი იმ გარემოებას, რომ პოლონეთმა უარჰყო ყველა ჩვენი სამშვიდობო წინადადება? რატომ უარჰყო პოლონეთმა 1922 წელს ჩვენი წინადადება საბჭოთა კავშირის, პოლონეთის და ბალტიის მხრის ქვეყნების შეიარაღების პროპორციულად შემცირების შესახებ, წინადადება, რომელიც ჩვენთვის წარმოადგენდა გაცილებით უფრო მეტ რისკს, ვიდრე კონფერენციის დანარჩენ მონაწილეებისათვის? რატომ არ მიიღო პოლონეთმა ჩვენი წინადადება თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ, იმ პაქტის, რომელსაც აუცილებლად უნდა შეემცირებინა მისი „შიში“ საბჭოთა კავშირის წინაშე, რომელსაც უნდა მიეცა მშვიდობიანობის მეტი გარანტია, ვიდრე ამას იძლევა კელოგის პაქტი?

პოლონეთმა თავის დროზე თავისი პოზიცია ამ საკითხებში ახსნა იმით, რომ მას არ შეუძლია ხელი მოაწეროს ასეთ პაქტს, ან მოიხსნას თავისი ვალდებულებები ერთა ლიგის მიმართ და აგრეთვე მუხლი სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ. მაგრამ პოლონეთმა ამ ცოტა ხნის წინად ხელი მოაწერა კელოგის პაქტს დასახელებულ პირობების გარეშე, რითაც დაამტკიცა, რომ მისი პოზიცია ჩვენთან წარმოებულ მოლაპარაკების დროს ყოვლად უსაფუძვლო იყო. მაშასადამე, თავდაუსხმელობის პაქტის დადების წინააღმდეგ მას სრულებით სხვა მოსაზრებები ჰქონდა. როგორი იყო სახელდობრ ეს მოსაზრებები? შემდეგ—რატომ გაურბის პოლონეთი სისტემატიურად სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, იწყებს მოლაპარაკებას იმისათვის, რომ მაშინვე ჩაშალოს იგი? სავაჭრო ხელშეკრულება—არ არის გარანტია თავდასხმის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც ხელს უწყობს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის განმტკიცებას და ამიტომ წარმოადგენს მშვიდობიანობის ფაქტორს.

სხვა კიდევ რით დაამტკიცა პოლონეთმა თავისი მშვიდობისმოყვარეობა საბჭოთა კავშირის მიმართ? იქნება ვოევოდების (გუბერნატორების) სიტყვებით, რომლებშიაც ისინი ანვითარებენ იდეებს საბჭ. კავშირის ტერიტორიალური მთლიანობის დარღვევის შესახებ, ან იქნება უკრაინის მუშებისა და გლეხების მტრების—ემიგრანტების საზეიმო შეხვედრით ან პოლონეთის პრესაში გამართული დისკუსიით საბჭოთა უკრაინის და ბელორუსიისათვის დამოუკიდებლობის წართმევის და მათი დამონების შესახებ? დაე ჩვენ დაგვისახელონ პოლონეთის თუგინდ ერთი წინადადება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს პოლონეთის მთავრობის მშვიდობიანი დისპოზიციის (განწყობილების) გამოხატულებად.

ჩვენ პოლონეთის მიმართ არა გვაქვს არავითარი აგრესიული განზრახვები ან მიზნები. ჩვენ აღვნიშნავთ პოლონეთსა და ჩვენს შორის არსებულ თავაზიან დამოკიდებულებას. მაგრამ ამას არ ვსთვლით საკმარისად. ჩვენ საკმაოდ დავამტკიცეთ, რომ ვცდილობთ განვამტკიცოთ და გავაღრმავოთ ეს დამოკიდებულება. ამ ცდას მომავალშიაც განვაგრძობთ, ვინაიდან ჩვენთვის აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობიანობისათვის ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესებას პოლონეთთან. ჩვენ მხოლოდ გვინდა დავრწმუნდეთ, რომ მეორე მხარეც თანაგრძნობით ხედავს ამ მისწრაფებებს. ნებას მივცემ ჩემს თავს დავარწმუნო ბრიანი, რომ მისი შიში პოლონეთის მომავლის შესახებ, რამდენადაც ეს დამოკიდებულია ჩვენზე, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ჩვენ გვინდა მხოლოდ ასევე დამშვიდებულნი იყვნენ პოლონეთის პოლიტიკის შესახებ ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში და საბჭოთა კავშირის მიმართ.

რუმინეთის აგრესივობა

რაც შეეხება რუმინეთს, ჩვენ მის მიმართ ჩვენი პასიობით ერთხელ კიდევ დავამტკიცეთ ჩვენი მშვიდობის მოყვარეობა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აქამდის არ არის გადაჭრილი ბესარაბიის საკითხი, ბესარაბიისა, რომლის ოკუპაციაც რუმინეთმა მოახდინა. რუმინეთის მთავრობამ ვენის კონფერენციაზე უარჰყო ჩვენი წინადადება სადაო საკითხის მშვიდობიანად და პატიოსნად გადაჭრის შესახებ ბესარაბიის მოსახლეობის ინტერესების და სურვილის მიხედვით და ამჯობინა ამ საკითხის გადაჭრა სამხედრო საშუალებით. ამ მიზნით ის ჩვენს წინააღმდეგ სდებს სამხედრო კავშირებს, მონაწილეობას იღებს ანტი-საბჭოთა კომბინაციებში, მხარს უჭერს რუს მონარქისტების ყოველგვარ მზადებას ავანტიურებისათვის. ასეთი პოლიტიკით, რასაკვირველია, არ შეიძლება ბესარაბიის საკითხის გადაჭრა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რუმინეთის ახალი მთავრობა მონახავს სხვა გზებს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მისაღწევად.

ლერონის საეჭვო მოგზაურობა

შიშისათვის საფუძველს იძლევა არა საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკა, არამედ პოლონეთის და რუმინეთის მთავრობის დამოკიდებულება ჩვენდამი, განუწყვეტელი თათბირები ამ ქვეყნების გენერალურ შტაბებს შორის, მათი ურთიერთობა საფრანგეთის სამხედრო წრეებთან. საფრანგეთის გენერალის ლერონის მგზავრობამ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ყურადღება მიაქცია არა მარტო საბჭოთა პრესამ, არამედ მთელი ევროპის პრესამაც. საფრანგეთის ელჩმა მოსკოვში გადმოგვცა, რომ ლერონს არა აქვს არავითარი ოფიციალური მისია. მე არ შევედავები საფრანგეთის ელჩის ოფიციალურ განცხადებას, მაგრამ გენერალ ლერონის ხშირი მგზავრობა ევროპის აღმოსავლეთში და სამხრეთ აღმოსავლეთში უდავო ფაქტია, ხოლო ჩვენს საზოგადოებრიობას არ შეუძლია დაიჯეროს, რომ გენერლები დადიან მარტო მშვიდობიანი განზრახვით და ამიტომ მისი შიში სავსებით საფუძვლიანი და გასაგებია.

რა იქნებოდა უკეთესი

მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ ბატონმა ბრიანმა მოგვიგონა მხოლოდ ჩვენ არმიასთან დაკავშირებით, რომელიც ყველაზე უფრო ნაკლებ უნდა იწვევდეს საფრანგეთის მოუსვენრობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბრიანი ჩვენს კავშირს არ მიაწერს არავითარ მტრულ გრძნობას ან განზრახვას საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ. მან არ შეიძლება, არ იცოდეს, რომ ჩვენის მხრით არავითარი დაბრკოლება არ არსებობს საფრანგეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ინდივიდუალურად არ არსებობს პოლიტიკური ინტერესების არავითარი წინააღმდეგობა და რომ ამიტომ ისინი ყველაზე ნაკლებად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი მეორე მხარის არმიით. ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ბრიანს გაეხსენებინა ჩვენ მიერ თავის დროზე წარდგენილი ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ და რაკოვსკის მიერ 1 წელიწადზე უფრო ადრე წარდგენილი წინადადებანი იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებითაც დაინტერესებულნი არიან საფრანგეთის ფართო წრეები. უმჯობესი იქნებოდა, რომ, სამხედრო საკითხების შესახებ პოლემიკის ნაცვლად, რომელიც თავზე მოგვახვიეს, ბრიანთან გვესაუბრა სავაჭრო და სხვა ასეთი შეთანხმებების შესახებ, რომლებიც სტიმულს მისცემენ ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერებას ამ ორი ქვეყნის შორის. ჩვენ გვინდა, რომ ბრიანს უკეთესი ინფორმაცია ჰქონდეს ჩვენი განზრახვებისა და მისწრაფებების შესახებ. მაშინ, მას, შეიძლება, არ მიემართა ისეთი გამოსვლებისათვის ჩვენს წინააღმდეგ, რომელთა შესახებაც ეს არის ეხლა მოგახსენებთ.

ინგლისის მთავრობის ანტი-საბჭოთა პოლიტიკა

ჩვენს მშვიდობიან პოლიტიკას არანაკლებ წინააღმდეგობას უწევს დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობა. ჩვენმა წინადადებამ განიარაღების შესახებ და დიდი ბრიტანეთის იმპერიალისტური ინტრიგების გამოაშკარავებამ ჩვენს მიერ, ალბად, ერთგვარი როლი ითამაშა იმ მხრივ, რომ დღემდე არ არის აღდგენილი ჩვენი ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან.

კონსერვატორებმა მიზანს ვერ მიაღწიეს

უკვე წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც შეწყვეტილ იქნა ურთიერთობა, და ბრიტანეთის მთავრობას, ისევე, როგორც ინგლისის ხალხს, საშუალება აქვს ჯამი გაუკეთოს იმ შედეგებს, რომლებიც ამ შეწყვეტამ მოუტანა დიდ ბრიტანეთს. თუ, როგორც საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, კონსერვატიული მთავრობა ურთიერთობის შეწყვეტით სცდილობდა: 1) ჩაეყენებია საბჭოთა კავშირი ისეთ ნივთიერ მდგომარეობაში, რომლის დროსაც ინგლისის მთავრობას შეეძლებოდა ეკარნახებია ახალი პირობები, 2) შეერყია საბჭოთა კავშირის პრესტიჟი ახლო აღმოსავლეთში და მიეცა მაგალითი სხვა სახელმწიფოებისათვის, საბჭოთა კავშირისათვის სრული იზოლიაციის შექმნის და მისთვის გამანადგურებელი ლახვარის ჩაცემის მიზნით, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ კონსერვატიულმა მთავრობამ ვერც ერთ ამ მიზანს ვერ მიაღწია. ჩვენ ეხლაც ისევე არ დავთანხმდებით ჩვენთვის მიუღებელ და თავზე მოხვეულ პირობებს, როგორც ურთიერთობის შეწყვეტამდე. მატერიალურად, ურთიერთობის შეწყვეტით, ჩვენ უფრო ნაკლებ დავზარალდით, ვიდრე თვით დიდი ბრიტანეთი, რასაც ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ჩვენ არ გამოვიყენეთ ის სავაჭრო შესაძლებლობანი და კრედიტები 15 მილიონი ფრანკის რაოდენობით, რომლებიც მოგვცა ინგლისის ძლიერი ბანკირების ჯგუფმა და რომლებიც ჩვენს განკარგულებაში იყო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც. ჩვენ ეს შესაძლებლობანი არ გამოგვიყენებია არა იმის გამო, რომ დიდმა ბრიტანეთმა ბოიკოტი გამოგვიცხადა, არამედ იმიტომ, რომ უკეთესი შესაძლებლობანი გვქონდა სხვა ქვეყნებში და აგრეთვე იმიტომ, რომ იურიდიული ბაზის უქონლობა და გაურკვეველი, არამტკიცე პოლიტიკური ურთიერთობა გვაიძულებდა სიფრთხილის გამო მოვრიდებოდით ისეთ ხანგრძლივ გარიგებას ინგლისის ფირმებთან, რომლებზედაც დამოკიდებული იქნებოდა ჩვენი გეგმიანი მშენებლობა.

რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, თურქეთთან ეს ურთიერთობა არასოდეს არ ყოფილა ისეთი კარგი როგორც ამჟამად.

ურთიერთობის გაწყვეტის მაგალითი, რომელიც დიდი ბრიტანეთის კონსერვატიულმა მთავრობამ უჩვენა მსოფლიოს, სხვა ქვეყნებისათვის წასაბაძი არ გამოდგა და ბალანსი ჩვენი ურთიერთობისა გარეშე მსოფლიოსთან, ინგლისის გარდა, ისეთივე დარჩა, როგორიც იყო ურთიერთობის გაწყვეტამდე. ურთიერთობის გაწყვეტას შედეგად მოჰყვა მხოლოდ ინგლისელ მრეწველთა თვალსაჩინო წრეების სავაჭრო ინტერესების სერიოზული დარღვევა და მთელი საერთაშორისო მდგომარეობისა და ომის ფაქტორის უფრო დაძაბვა.

ვინ უშლის ხელს ურთიერთობის აღდგენას

დიდი ბრიტანეთის ზოგიერთი წარმომადგენლის სიტყვებში უკანასკნელ დროს უკვე ვამჩნევთ იმის ნიშნებს, რომ მათ რამდენადმე შეიგნეს, რომ ურთიერთობის გაწყვეტა შეცდარი და უშედეგო ნაბიჯია ინგლისის ინტერესების თვალსაზრისით. ჩვენ მივესალმებით ამ ნიშნებს, ვინაიდან ჩვენ არ ვცდილობდით ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტას. ჩვენ არასოდეს არ ვფარავდით იმას, რომ გვსურდა გვქონოდა ურთიერთობა ყველა ქვეყნებთან, კერძოდ ისეთ ინდუსტრიალურ განვითარებულ ქვეყანასთან, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი, როდესაც ინგლისის მინისტრებს უსაყვედურებენ, რომ ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის ასე დიდხანს არ არსებობს ნორმალური ურთიერთობა, ისინი თავს იმართლებენ იმით, რომ ინიციატივას ჩვენ უნდა ვიჩენდეთ, ამ შემთხვევაში მათ ავიწყდებათ, რომ არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ჩვენ გვსურს ურთიერთობის აღდგენა, მაშინ, როდესაც ჩვენ კიდევ არ ვიცით, თუ რამდენად სერიოზულად შეიცვალა კონსერვატიული მთავრობის ის განწყობილება, რომელმაც თავის დროზე გამოიწვია ურთიერთობის გაწყვეტა. საბჭოთა მთავრობა მეტად მცირე ანგარიშს უწევს ფორმისა და ეტიკეტის საკითხს და ამიტომაც ამ მთავრობამ ჟენევაში ჩემი სახით იკისრა ინიციატივა—გამოერკვია ეს განწყობილება. მაგრამ ჩემთან საუბრის დროს ჩემბერლენმა, იმის მაგიერ, რომ ხვალინდელი დღის პერსპექტივებზე ელაპარაკნა, ამჯობინა ლაპარაკი გუშინდელ დღეზე, რის გამოც საუბრის გაგრძელება უსარგებლო გახდა.

საარჩევნო მანევრი

ხოლო როდესაც ინგლისის მინისტრები, პარლამენტის იმ წევრთა საპასუხოდ, რომლებიც მოითხოვენ ურთიერთობის აღდგენას, საბჭოთა კავშირს ადარებენ დარღვეულ სახლს, რომელთანაც მიახლოვება საშიშია, ეს შეფასებულ უნდა იქნას, როგორც საარჩევნო მანევრი. ამ მანევრს ისინი მიმართავენ იმ მიზნით, რომ უკანა რიცხვით გაამართლონ ურთიერთობის გაწყვეტა და პასუხი გასცენ იმ საყვედურებს, რომლებმაც შეიძლება თავი იჩინოს კონსერვატიული მთავრობის მიმართ საარჩევნო კამპანიის დროს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თვით ინგლისის მთავრობამ ძალიან კარგად იცის, თუ რა მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში, იცის, რომ საბჭოთა კავშირის შედარება დარღვეულ სახლთან არაფრით არ შეიძლება გამართლდეს. საბჭოთა მთავრობა მოესწრება კიდევ არა ერთი მთავრობის გამოცვლას ბრიტანეთში. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ანგარიშს უწევთ იმას, რომ კონსერვატიული მთავრობა განაგრძობს თავის მტრულ ხაზს საბჭოთა მთავრობის მიმართ აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ორგვარი დამოკიდებულება საბჭ. კავშირთან

მოჩვენებითი თუ ნამდვილი საფრთხე

ჩვენ ხშირად გვსაყვედურებენ, რომ ვქმნით არ არსებული ანტი-საბჭოთა ბლოკების აჩრდილებს ვაზვიადებთ იმ საფრთხეებს, რომლებიც საბჭოთა კავშირს ემუქრებიან და ზედმეტი ნდობით ვეპყრობით ცნობებს ანტი-საბჭოთა გეგმებისა და მზადების შესახებ. რა თქმა უნდა, ყველა ასეთი ცნობა არ არის ერთნაირი ნდობისა და ყურადღების ღირსი, არ შეიძლება ყველა გავრცელებული ხმის ზედმიწევნით სწორად და დოკუმენტალურად შემოწმება. ჩვენ ისიც კი მიგვაჩნია შესაძლებლად, რომ მრავალი ხმა ვრცელდება ინფორმაციის აღრევის ან ჩვენი დაშინების მიზნით. მაგრამ ის, რაც ვიცით უდავო ცნობებისა და დოკუმენტალური მასალის მიხედვით, თვით ჩვენი მტრების ოფიციალური გამოსვლების მიხედვით, სავსებით საკმაოა იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა მივიღოთ იმ საფრთხეზე, რომელიც ჩვენ გარედან გვემუქრება.

პროლეტარულ სახელმწიფოს დამხობაზე ოცნებობენ

ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არასოდეს არ შეწყვეტილა, ის მხოლოდ სხვადასხვა ფორმებს ღებულობდა იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა მდგომარეობა. გუშინ ამ ბრძოლას ჰქონდა ინტერვენციისა და სრული ბლოკადის სახე, დღეს—ბოიკოტისა და იზოლიაციის ცდების, ხვალ კი შეიძლება ისევ მიიღოს ინტერვენციის ან ომის სახე. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგიერთმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ დღემდე ვერ შეითვისა ის იდეა, რომ ერთსა და იმავე დროს არსებობს ორი სოციალური სისტემა: კაპიტალისტური და სოციალისტური. თავიანთ უპირველეს ამოცანად მათ ისევ მიაჩნიათ ის, რომ მოსპონ ერთად-ერთი პროლეტარული სახელმწიფო, რომელშიაც ხელისუფლება პირველად და მთლიანად ეკუთვნის მუშებსა და გლეხებს. თვალთმაქცობაა მათი განცხადებები, თითქოს მათ არაფერი არა აქვთ იმის საწინააღმდეგო, რომ საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა თავიანთ ქვეყანაში ისე მოაწყონ სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, როგორც თვითონ სურთ“, მხოლოდ არ ჩაერიონ სხვა ქვეყნების საქმეებში, ვინაიდან ამ ქვეყნების სოციალური განვითარება სხვა კანონებს ემორჩილება“.

ასეთი ქვეყნების მთელი პოლიტიკა დღემდე წარმოადგენდა განუწყვეტელ ჩარევას ჩვენს საქმეებში, იმის მისწრაფებას, რომ გარედან შეეშალათ ხელი სოციალიზმის მშენებლობისათვის. ამ ქვეყნებს პოლიტიკა, ალბად კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს ასეთ ხასიათს. როდესაც საბჭოთა კავშირის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას აქვს ადგილი, დაცინვაა ის წინადადება, რომ ის არსებითი სადავო საკითხები, რომლებიც ჩვენ გვაქვს სხვა ქვეყნებთან, გადასაჭრელად გადავცეთ ჩვენდამი აშკარად მტრულად განწყობილ ორგანიზაციებს ან პირებს. რომ ჩვენ პრინციპიალურად არბიტრაჟის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ამას ამტკიცებს ის, რომ ჩვენ ზოგიერთი საკითხის გამო არსებული დავის გადაჭრას (მაგალითად საკონცესიო საკითხებზე) ვანდობთ საარბიტრაჟო სასამართლოებს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში არბიტრაჟი შეიძლება შეიცვალოს შეთანხმებული კომისიების პროცედურით. ეს კომისიები საშუალებას არ მისცემენ მოულოდნელად წამოჭრილ კონფლიქტებს მიიღონ საშინელი სამხედრო შეტაკების ფორმები.

გერმანია - საბჭოთა დამოკიდებულება მტკიცდება

აღნიშნული ქვეყნების გარდა, არიან ისეთი კაპიტალისტური ქვეყნებიც, რომლებიც დიდი ხანია დარწმუნდნენ ან თანდათან რწმუნდებიან, რომ შესაძლებელია და ხელსაყრელიც პროლეტარულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, მიუხედავად მისი სოციალურ-პოლიტიკური თავისებურებისა. ორივე ქვეყნის შორის არსებული შეჯიბრების გადაჭრას ისინი ანდობენ ისტორიულ პროცესს და ამყარებენ ჩვენთან ნორმალურ, ზოგჯერ კი მეგობრულ ურთიერთობას და დღევანდელი დღისთვის ღებულობენ მთელ იმ პოლიტიკურ და ეკონომიურ სარგებლობას, რომლის მიღებაც შესაძლებელია 140 მილიონიან სახელმწიფოსთან თანამშრომლობით. ასეთ სახელმწიფოს განსაკუთრებით მკაფიო მაგალითს წარმოადგენს გერმანია, რომელსაც 7 წლის განმავლობაში აქვს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ამაგრებს ამ ურთიერთობას. ამ ურთიერთობის ჩაშლას სცდილობენ ის სახელმწიფოები, რომლებმაც არ მოისურვეს, ან ვერ შესძლეს დაემყარებიათ ასეთი ურთიერთობა ჩვენთან. მათმა ასეთმა ცდამ შეიძლება ზოგჯერ დროებით გაიმარჯვოს კიდეც. ამის მაგალითს წარმოადგენენ გერმანიის ხელისუფლებისა და გერმანიის საზოგადოებრიობის ზოგიერთი მტრული ნაბიჯები, მაგალითად, გერმანელი ბანკირების ჯგუფის შესვლა კრედიტორთა საერთაშორისო ასოციაციაში, რაც წარმოადგენს რაპალოს ხელშეკრულების საწინააღმდეგო ნაბიჯს. ასეთ ნაბიჯებს ჩვენ სათანადოდ ვეხმაურებით, მაგრამ ორივე სახელმწიფოს შორის არსებულ საერთო ურთიერთობას ზიანი არ მოსდის. უკანასკნელი წლების საერთაშორისო ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ იმ ძალებს, რომლებიც სცდილობენ ურთიერთობის გაწყვეტას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, შეუძლიათ სამაგიეროდ შესთავაზონ გერმანიას მხოლოდ სხვადასხვა დაპირება, რომლის შესრულება არ ეთანხმება არც მათ პოლიტიკას და არც იმ მდგომარეობის ხელუხლებლად დატოვებას, რომელიც შეჰქმნეს ვერსალის ხელშეკრულებამ და ომის შემდგომი ეპოქის დროს დადებულმა სხვა სამშვიდობო ხელშეკრულებებმა.

ეს ჭეშმარიტება უფრო და უფრო ღრმად იჭრება გერმანიის ფართო საზოგადოებრივი წრეების შეგნებაში. გერმანია - საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება, რომელიც ამჟამად მოსკოვში სწარმოებს მოწმობს იმას, რომ ორივე სახელმწიფო მოწადინებულია განაგრძოს და გააღრმავოს ეკონომიური თანამშრომლობა, თანაც სრული ანგარიში გაუწიოს ორივე ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიურ თავისებურებებს. ამ თანამშრომლობას მტკიცე ბაზა აქვს რაპალოს და ბერლინის ხელშეკრულებებში.

ეკონომიური ურთიერთობა ამერიკასთან იზრდება

ჩვენ დიდის კმაყოფილებით აღვნიშნავთ ჩვენი ეკონომ. კავშირის შეუჩერებელი და სწრაფ ზრდას შეერთებულ შტატებთან. ეს სახელმწიფო, შეიძლება, ყველაზე უფრო მკაფიო გამომხატველი იყოს კაპიტალისტური მსოფლიოს საერთო ინტერესებისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამართლიანად უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ მთავრობათა შორის, რომლებიც ინტრიგებს აწყობენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვინახავს შეერთებული შტატების მთავრობა. ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ სიმშილობის მძიმე წელში შეერთებული შტატების ხალხმა უხვი დახმარება აღმოგვიჩინა ამერიკის დამხმარე საზოგადოების სახით, რომელსაც მაშინ შეერთებული შტატების დღევანდელი პრეზიდენტი გუვერი მეთაურობდა. თუმცა შეერთებული შტატები მრავალი წლის განმავლობაში გვერიდებოდნენ, მაგრამ დღეს იქ უკვე იკვლევს გზას იმის შეგნება, რომ საჭიროა და შესაძლებელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ შესაძლებლობათა ხელსაყრელი განაყოფიერება შეერთებული შტატების ფინანსებისა და უმაღლესი ტეხნიკის მიღწევების საშუალებით. არც ერთ ქვეყანაში არ იყო ერთ დროს ისეთი ძლიერი ცრუ შეხედულებანი საბჭოთა კავშირზე, როგორც ამერიკაში, არსად არ გაუვრცელებიათ იმდენი ყალბი და უაზრო ჭორი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რამდენიც შეერთებულ შტატებში. ეს არც გასაკვირველია, რადგან იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ, ხშირად უხვად დაჯილდოვებულ, აგიტატორებს არა მარტო ამერიკელთა, არამედ სხვა ეროვნებათა წრიდანაც, პირველ რიგში კი კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრანტთა წრიდან, თავისუფალი ასპარეზი ჰქონდათ მინიჭებული შეერთებულ შტატებში ანტი - საბჭოთა კამპანიისათვის, — ამ დროს საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებს დახშული ჰქონდათ, ხოლო ნაწილობრივ დღესაც დახშული აქვთ ყოველგვარი საშუალება ამ კამპანიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, საჭიანი ინფორმაციის მოსაწოდებლად ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრისათვის. ჩემ მიერ აღნიშნულ ცვლილებას ურთიერთობაში საგრძნობლად უწყობს ხელს შეერთებული შტატების საფინანსო, სავაჭრო-სამრეწველო და ინტელექტუალური წრეების წარმომადგენელთა ხშირი მოგზაურობა ჩვენში. მათ საშუალება ეძლევათ აშკარად, პირადად დარწმუნდნენ იმაში, თუ რამდენად უსაფუძვლოა ყველა ის ჭორი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლითაც იკვებებოდა ამდენი წლის განმავლობაში შეერთებული შტატების რესპუბლიკა. შეცდომა არ იქნება ვსთქვათ, რომ 99 პროც.-ით იმ ამერიკელების აზრი, რომლებმაც ინახულეს ჩვენი ქვეყანა, ფრიად დადებითია.

მაგრამ ყოველგვარ გამოთქმულ აზრზე უფრო მჭერმეტყველურად მოწმობენ ფაქტები და ციფრები, სახელდობრ—შეუჩერებელი ზრდა შეერთებულ შტატების ექსპორტისა საბჭოთა კავშირში, ჩვენ მიერ შეერთებული შტატების ტეხნიკური ძალების გამოყენების ზრდა და ზედმიწევნითი პუნქტუალობა, რომელსაც ვიჩენთ ჩვენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. არ შეიძლება, რა თქმა უნდა, იმის დავიწყება, რომ ეკონომიურ თანამშრომლობას საგრძნობლად უშლის ხელს ლეგალური ბაზის უქონლობა, ოფიციალური ურთიერთობის უქონლობა ამ ორი ქვეყნის მთავრობათა შორის. ამიტომ ინგლისის მინისტრების მიერ მოყვანილი ასეთი თანამშრომლობის მაგალითი მისი შესაძლებლობის დასამტკიცებლად ნორმალური ურთიერთობის უქონლობის პირობებში — სოფისტიკას წარმოადგენს.

საჭიროა დიპლომატიურ დამოკიდებულების განახლება

ეკონომიური ურთიერთობა რამდენადმე შეგვიძლია ვიქონიოთ ყველაზე უფრო მტრულად განწყობილ სახელმწიფოებთანაც კი. ჩვენ ვაწარმოებდით და ახლაც, ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც, ვაწარმოებთ ვაჭრობას ინგლისთან განსაზღვრულ ფარგლებში, მაგრამ საქონლის გატანისა და შეტანის ულმობელი ციფრები, რომლებიც მოჰყავთ ძალაუნებურად ინგლისის მთავრობის წევრებს პარლამენტში, ადასტურებენ იმ შემცირების ტენდენციას ეკონომიკაში, რომელიც შედეგად მოჰყვა ურთიერთობის გაწყვეტას. ამიტომ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ რაც უნდა დამაკმაყოფილებელი იყოს ჩვენი დღევანდელი ეკონომიური დამოკიდებულება შეერთებულ შტატებთან, იგი ორჯერ და სამჯერ მეტად გაიზრდებოდა ნორმალური ურთიერთობის პირობებში.

გარდა ამისა, ბრიტანეთის მინისტრები ისე გვაჩვენებენ თავს, თითქოს განსხვავებას ვერ ხედავენ ნორმალური ურთიერთობის დაუმყარებლობასა და უკვე არსებული ურთიერთობის გაწყვეტას შორის, თითქოს ვერ ამჩნევენ იმ პოლიტიკურ ანტაგონიზმს, რომელიც თავს იჩენს ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, რამაც არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს ეკონომიურ ურთიერთობაზე.

როდესაც ვლაპარაკობთ ოფიციალურ ურთიერთობაზე, მხედველობაში გვაქვს არა მარტო იურიდიული ცნობა. ჩვენ, მაგალითად, ნაკლებად გვაინტერესებს წმინდა ადვოკატური საკითხი, რომლის გარშემოც ასეთი დავაა ამჟამად შეერთებულ შტატებში, — ნიშნავს თუ არა ცნობას ის, რომ ჩვენ შეერთებული შტატების მთავრობასთან ერთად ხელი მოვაწერეთ საერთაშორისო პაქტს. ასეთი ცნობის შესახებ ლაპარაკი შეიძლებოდა პირველ წლებში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, მაგრამ თავის არსებობის მე-12 წლის თავზე სახელმწიფო აღარ საჭიროებს სიტყვიერ ინდივიდუალურ ცნობას. ის გარემოება, რომ ერთი და იგივე მთავრობა არსებობს თერთმეტი წლის განმავლობაში და სათავეში უდგა 140 მილიონიან ხალხს, იმ ხალხს, რომელსაც მსოფლიოს ერთი მეექვსედი უჭირავს, თავის თავად, ობიექტიურად ყველას მიერ ცნობილ ფაქტს წარმოადგენს.

ლაპარაკი საბჭოთა სახელმწიფოს ცნობის შესახებ ამჟამად სასაცილოა მხოლოდ. ცნობას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ლეგალური ბაზის შექმნას, როდესაც მას თან სდევს წარმომადგენლობათა გაცვლა [illegible] რება, რომელიც აბსოლუტურად საჭიროა როგორც სწორი პოლიტიკური, ისე ეკონომიური ურთიერთობის განსამტკიცებლად. ჩვენ არასოდეს არ დაგვიმალავს, რომ გვსურს, რომ ოფიციალური ურთიერთობა ასევე გვქონდეს ატლანტიის ოკეანეს მეორე მხარეს

(ამხ. ლიტვინოვის მოხსენების გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

რეზოლუცია ამხ. ლიტვინოვის მოხსენების გამო

ერთხმად მიღებული საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მიერ

„მოისმინა რა ამხ. ლიტვინოვის მოხსენება საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) სავსებით მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ საბჭოთა კავშირმა მიაღწიოს და განამტკიცოს მშვიდობიანი ურთიერთობა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან:

2) საბჭოთა კავშირის ცაკი, აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას, მის სისტემატიურ მუშაობას საყოველთაო, თუმცა ნაწილობრივი, მაგრამ ნამდვილი განიარაღებისათვის, წინააღმდეგობას უწევენ ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოები, ავალებს საკავშირო მთავრობას — შეურყევლად განაგრძოს მშვიდობიანობისა და განიარაღების პოლიტიკა, ამავე დროს ყურადღებით ადევნოს თვალი ყველა იმ ცდას, რომელიც მიმართული იქნება მშვიდობიანობის დარღვევისა და კაცობრიობის ჩაბმისაკენ ახალ ხოცვა-ჟლეტაში, აწარმოოს აქტიური ბრძოლა ყველა ასეთი ცდის გამოსააშკარავებლად და ყველა ხალხის მშვიდობიანი მშენებლობის განსამტკიცებლად“.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ სხდომა დაიხურა. (ტას).

ამხ. ლიტვინოვის მოხსენება

მდებარე რესპუბლიკასთან, რომელთანაც ჩვენ არა გვაქვს არავითარი კონფლიქტი, და რომელთანაც არც არის ასეთი კონფლიქტი მოსალოდნელი. ჩემ მიერ აღნიშნული გარემოებები ხელსაყრელ წინასწარ პირობებს ჰქმნიან ზოგიერთი არსებული სადაო საკითხის გადასაჭრელად, თუ ორივე მხარე უშუალო კონტაქტის დამყარებას მოისურვებს.

ჩვენ და აღმოსავლეთის ქვეყნები

ჩვენი საგარეო პოლიტიკის სასიხარულო მოვლენათა შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს სრული გულითადი დამოკიდებულებისა და მჭიდრო კონტაქტის დამყარება თურქეთთან. თითქმის ყოველ დღეს ახალი საბუთები მოაქვს იმის დამამტკიცებელი, რომ ეს დამოკიდებულება უცვლელია და რომ თანდათან მტკიცდება ამ დამოკიდებულებათა შემდგომი განვითარების ურთიერთი სურვილი ორივე მხრივ. იმის მაგალითი, თუ რამდენად შესაძლებელია ნორმალური და მეტად თავაზიანი დამოკიდებულება, მიუხედავად სოციალურ-პოლიტიკური სისტემებისა, წარმოადგენს ჩვენი ურთიერთობა იტალიასთან; ეს ურთიერთობა, მიუხედავად ამ ორ ქვეყანაში არსებული რეჟიმების სრული წინააღმდეგობისა, არავითარ საბაბს არ იძლევა ურთიერთისადმი უკმაყოფილებისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი დამოკიდებულების შესახებ ოკეანეს გაღმა მეზობელთან—იაპონიასთან. სავაჭრო და სხვა ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც ნორმალურად ვითარდება ორივე სახელმწიფოს შორის იმას მოწმობს, რომ ეს ურთიერთობა ხელსაყრელია ორივე მხრისათვის. კონვენციის დადებამ თევზის ჭერის შესახებ შექმნა საჭირო ბაზა იმისათვის, რომ იაპონიის ფირმებმა მონაწილეობა მიიღონ შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი თევზის ექსპლოატაციაში.

ჩვენ მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ ჩინეთი კიდევ შორსაა იმისაგან, რომ გაინთავისუფლოს თავი მისდამი მტრულად განწყობილ ძალებისაგან. ნანკინის მთავრობა, ჩინეთის ხალხის ინტერესების საზიანოდ, განაგრძობს ჩანძოლინის იმ პერიოდის პოლიტიკას, როდესაც მოხდა თავდასხმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე, რამაც გამოიწვია ურთიერთობის გაწყვეტა.

გასულ ზაფხულში ჩვენს ქვეყანაში ავღანისტანის ფადიშაჰის ჩამოსვლამ მეტად მკვიდრი ხასიათი მისცა ჩვენს ადრინდელ მეგობრულ ურთიერთობას ავღანისტანთან. ჩვენ დიდი ინტერესითა და სიმპატიით ვადევნებთ თვალყურს იმ პროგრესიულ რეფორმებს, რომლებიც ამ ქვეყანაში ხორციელდება.

სავაჭრო ხელშეკრულების და მთელი რიგი სხვა შეთანხმების დადებამ სპარსეთთან გზა გაუკაფა ჩვენი მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ამ ქვეყანასთან.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი ურთიერთობა ახლა აღმოსავლეთის ქვეყნებთან და თურქეთთან არასოდეს ისე მჭიდრო და მეგობრული არ ყოფილა, როგორც ამჟამად.

დამოკიდებულება დანარჩენ სახელმწიფოებთან

არავითარი ცვლილება არ მომხდარა ჩვენს ურთიერთობაში ბალტიის ქვეყნებთან—ლატვიასთან, ლიტვასთან, ესტონეთთან და ფინეთთან, თუ არ ჩავთვლით სავაჭრო ხელშეკრულების დადებას ლატვიასთან, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ საერთოდ გაუმჯობესდა ურთიერთობა ჩვენსა და ამ რესპუბლიკას შორის. ჩვენ არ შეგვიძლია უაღრესად არ გვაინტერესებდეს ამ მოსაზღვრე ქვეყნების ბედიღბალი, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ისინი მდებარეობენ დასავლეთისაკენ მიმავალ ჩვენს უმთავრეს გზებზე. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს იმას, რომ ამ რესპუბლიკებმა მთლიანად, ფორმალურად და ფაქტიურად შეინარჩუნონ თავიანთი დამოუკიდებლობა და რომ თვითგამორკვევის პრინციპი ამ ქვეყნების მიმართ არავის არ ესმოდეს ბალკანურად. ჩვენ იძულებულნი ვართ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ლიტვის რესპუბლიკის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ამ რესპუბლიკასთან ჩვენ უცვლელი მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ პოლონეთ-ლიტვის დავის მსვლელობას და ხელს ვუწყობთ ამ დავის მშვიდობიან მოგვარებას, რამდენადაც ეს ჩვენზეა დამოკიდებული. ის გარემოება, რომ კენიგსბერგის უკანასკნელ კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ერთ-ერთი, თუმცა უმნიშვნელო, საკითხის შესახებ, საშუალებას გვაძლევს ვიქონიოთ იმედი, რომ, თუ ამ ქვეყნებს შორის უშუალოდ გაგრძელდა მოლაპარაკება სხვა საკითხებზედაც, მიღწეული იქნება ასეთივე დადებითი შედეგები და ამისათვის საჭირო არ იქნება გარეშე გავლენა და იძულება.

აგრეთვე არავითარი ცვლილება არ მომხდარა ჩვენს ურთიერთობაში სხვა სახელმწიფოებთან, რომლებთანაც გვაქვს ნორმალური დამოკიდებულება: ავსტრიასთან, შვეციასთან, ნორვეგიასთან, დანიასთან და საბერძნეთთან. შვეციასთან ჩვენ დავდევით დამატებითი შეთანხმება, ამ შეთანხმებამ შეუქმნა ლეგალური ბაზა სავაჭრო წარმომადგენლობას, რომელიც, როგორც მთელი რიგი ქვეყნების პრაქტიკამ გვიჩვენა, წარმოადგენს აუცილებელ პირობას სავაჭრო ურთიერთობის დაუბრკოლებლივ განვითარებისათვის. მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ სწარმოებს აგრეთვე საბერძნეთთან.

საბჭოთა მთავრობის არსებობის მე-12 წლის დასაწყისში, სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს არავითარი ნორმალური ურთიერთობა, რაიმე სახის ურთიერთობაც კი, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან. მათ შორის არიან ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მიმართ აქვთ რევოლუციონური დეკრეტებიდან გამომდინარე თვალსაჩინო ფულადი პრეტენზიები. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენი კავშირის ცნობის საშუალებით გვაიძულებდნენ დაგვეკმაყოფილებინა მათი პრეტენზიები ისე, როგორც მათ სურთ, ვფიქრობ, მათ უკვე საკმაო დრო ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ ზეგავლენის ამ ზომის გამოუსადეგრობაში, აგრეთვე იმაში, რომ როცა ისინი უარს ამბობენ ჩვენთან ეკონომიურ ურთიერთობაზე და აქედან გამომდინარე სარგებლობაზე, ისინი სჩადიან ეგრედწოდებული იაპონური შურისძიების აქტს. არიან ისეთი ქვეყნებიც, რომლებსაც არავითარი პრეტენზიები არ აქვთ, მაგრამ მაინც არ ამყარებენ ურთიერთობას ჩვენთან. მიუხედავად იმისა, რომ მათ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები უკარნახებენ ურთიერთობის დამყარებას.

ბრძოლა განიარაღებისათვის

ანტი-საბჭოთა გეგმების უნიადაგობა

ის ფაქტი, რომ ნორმალური, მეგობრული ურთიერთობაც კი, დავამყარეთ მრავალ კაპიტალისტურ და ნახევრადკაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, მოწმობს, რომ ჩვენი ცდები, მიმართული ამ პროცესის შემდგომი გაფართოებისაკენ, უიმედო არ არის. არავითარი ობიექტიური დაბრკოლება არ არსებობს ასეთი ურთიერთობა დამყარდეს იქ, სადაც ეს საჭიროა. არსებობენ მხოლოდ ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებანი. სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩაურევლობა არა მარტო გამოცხადებულია ჩვენს მიერ, არამედ დამტკიცებულიცაა ჩვენი ურთიერთობით გერმანიასთან, იტალიასთან და იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც არასოდეს არ ჰქონიათ საბაბი ეთქვათ რამე ამ პრინციპის დარღვევის შესახებ. ვინც ლაპარაკობს ჩვენს ჩარევაზე ან პროპაგანდაზე, ის მხოლოდ ხელოვნურ დაბრკოლებებს ჰქმნის ან სარგებლობს ამით, როგორც საბაბით, საბჭოთა კავშირისადმი იმ მტრული დამოკიდებულების გამართლებისათვის, რომელიც ნაკარნახევია სულ სხვაგვარი მიზეზებით, ან მიმართავს ამ საშუალებას შინაური ბრძოლის მიზნით.

ყალბი ინფორმაცია ჩვენი მდგომარეობის შესახებ

ერთ-ერთ ასეთ ხელოვნურ, განზრახ შექმნილ დაბრკოლებას წარმოადგენს პერიოდულად განმეორება და გავრცელება ლეგენდისა ჩვენი სიძნელეების, შეთხზულ კრიზისების, კატასტროფების, აჯანყებებისა და საბჭოთა ხელისუფლების მოახლოვებული აღსასრულის შესახებ. ხშირად ასეთ კამპანიებს იყენებენ საკუთარი შინაური წყლულების დასამალავად, იმისათვის, რომ მიაფუჩეჩონ უწესრიგობანი და სოციალური კონფლიქტები საკუთარ ქვეყანაში. ასეთი კამპანია ფართოდ სწარმოებს სწორედ ეხლა, თავიანთი სასარგებლოდ იყენებენ ჩვენს თვითკრიტიკას, რომლის ფართო მასშტაბი წარმოუდგენელია სხვა ქვეყნებში, იყენებენ ჩვენს საკუთარ მითითებას ჩვენს დეფექტებზე, ჩვენს სიძნელეებზე, რომლებსაც ჩვენ თვითონვე არ ვმალავთ და რომელთა გამომჟღავნებასაც კაპიტალისტური ქვეყნების ვერც ერთი მთავრობა ვერ ბედავს. ჩვენ მიერ აღიარებულ სიძნელეებს უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა ამახინჯებს და საარაკოდ ბერავს.

მთელი ჩვენი სინამდვილე იქ ისე ისახება, როგორც მრუდე სარკეში. ამ მდგომარეობას მარჯვედ იყენებენ ანტისაბჭოთა საქმეების ოსტატები, რომლებმაც კარგად იციან, რომ მოუსავლიანობა უზარმაზარი კავშირის ამა თუ იმ ნაწილში, ხორბლეულის ამა თუ იმ ხარისხის დროებითი ნაკლებობა, მისი დროებითი სიმცირე ამა თუ იმ რაიონში ვერავითარ კატასტროფას ვერ შეუქმნის ჩვენს სახელმწიფოს, რომელსაც უდიდესი რესურსები აქვს. შეუძლებელია აგრეთვე არ იცოდნენ რომ ჩვენს დროებით სიძნელეებს ზოგჯერ იწვევს ჩვენი მშენებლობის ტემპის შეგნებული გაძლიერება, იმ მშენებლობის, რომელიც გვაიძულებს დღევანდელი დღის ინტერესი შევწიროთ ხვალინდელი დღის უფრო სწრაფ და დიდ მიღწევებს.

ეს იციან, მაგრამ თავიანთი მსმენელებისა თუ მკითხველების უმეცრებითა და უცოდინარობით სარგებლობენ და უტიფრად ლაპარაკობენ „დაღუპული" სახლის შესახებ იმ მოსაზრებით, რომ გაამართლონ თავიანთი უმოქმედობა ან წინააღუდგნენ იმ მოძრაობას, რომლის მიზანია უკეთესი ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან.

მშვიდობიანობის გზით

ჩვენი მოწინააღმდეგეების ეს ხრიკები ვერ გადაგვახვევინებენ იმ გზას, რომლითაც უკვე მეთორმეტე წელიწადია, მტკიცე ნაბიჯით მივიმართებით დასახული მიზნისაკენ. ჩვენთვის მუდამ უცხოა ყოველგვარი დაპყრობითი და აგრესიული მიზნები. ჩვენ არავისზე თავდასხმას არ ვაპირებთ, პირიქით, კვლავინდებურად, და კიდევ უფრო მეტის ძალით, განვაგრძობთ ბრძოლას მშვიდობიანობისა და განიარაღებისათვის. ჩვენ მშვიდობიანობის პოლიტიკას ვაწარმოებთ არა სისუსტისა ან სენტიმენტალური პაციფიზმის გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების თანდაყოლილი თვისებაა, იგი შეეფერება ჩვენი მშენებლობის ინტერესებს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს.

თავდაცვის უნარის განმტკიცებისათვის

მაგრამ იმ დრომდი, სანამ ჩვენს დაჟინებულ წინადადებებს განიარაღებისა ან შეიარაღების ნაწილობრივი შემცირების შესახებ უარჰყოფენ, ჩვენ არ უნდა შევასუსტოთ და არც შევასუსტებთ ჩვენი თავდაცვის უნარიანობას, ვინაიდან ჩვენს წინაშე დგანან თავით ფეხამდე შეიარაღებული კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც განაგრძობენ შეიარაღებას, აუმჯობესებენ ომის საშუალებებს და საამისოდ იყენებენ მაღალ ინდუსტრ. ტეხნიკას. ჩვენ ამას არ ჩავიდენთ, რათა იმ შემთხვევაში, თუ ვინმე დაიჯერებს არაკებს ვითომდა ჩვენი სისუსტისა და სიძნელეების შესახებ და დააპირებს ჩვენზე თავდასხმას, ჩვენს წითელ არმიას შეეძლოს გაამართლოს ბრძოლის უნარიანობის დამსახურებული რეპუტაცია, რათა ეს ბრძოლა გადაიქცეს ნამდვილ „უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლად".

საბჭოთა კანტონის წლის თავი

იმ აჯანყებას, რომელიც ამ ერთი წლის წინად მოხდა კანტონში, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს აჯანყება წარმოადგენდა კოლონიალური რევოლუციის განვითარების უმაღლეს საფეხურს, რომლისთვისაც კი მიუღწევია დღემდე რომელსამე ქვეყანაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ კოლონიალურ რევოლუციას. არც 1927 წლის 11 დეკემბრამდე და არც მას შემდეგ ჯერ კიდევ არ ყოფილა მეორე საბჭოთა კანტონი. მით უმეტეს არ ყოფილა ძლევამოსილი კანტონი. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ყოველ კოლონიალურ ქვეყანაში, რომელსაც ამჟამად მსოფლიო იმპერიალიზმი სჩაგრავს; აუცილებლად იქნება თავისი ძლევამოსილი კანტონი.

1927 წლის საბჭოთა კანტონი წარმოადგენდა ჩინეთის ნაციონალური რევოლუციის იმ ეტაპის გამოხატულებას, როდესაც ჩინეთის ბურჟუაზიამ საბოლოოდ უღალატა რევოლუციას და მიჰყიდა იგი უცხოელ იმპერიალისტებს, როდესაც ის ეშურებოდა შეთანხმების დადებას უცხოელ იმპერიალისტებსა და თავის ქვეყნის ფეოდალებთან მუშათა და გლეხთა მასების ხარჯზე. რევოლუციის მამოძრავებელ ძალებად დარჩნენ პროლეტარიატი და გლეხობა (როგორც ჩინეთის მშრომელი არაპროლეტარული მოსახლეობის უმთავრესი მასა). მათ წილად ხვდათ—გადაეჭრათ ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური ნაციონალური რევოლუციის მორიგი ამოცანები. სოციალიზმის განხორციელება კიდევ არ იყო დასმული დღის წესრიგში. პირველ ყოვლისა საჭირო იყო უცხოელი იმპერიალისტების განდევნა ჩინეთიდან და აგრარულ ურთიერთობათა რევოლუციონური რღვევა. „ძირს იმპერიალიზმი", „მიწა გლეხებს", „პური მუშებს", „ძირს გომინდანის ხელისუფლება", „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს", — ასეთი იყო აჯანყებულთა ლოზუნგები. საბჭოთა ხელისუფლებამ იარსება სამ დღეს (11—13 დეკემბერი), მისი პირველი დეკრეტები იყო: დეკრეტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ, სამუშაო ხელფასის გადიდების, მიწის ნაციონალიზაციის, ყველა ექსპლოატატორული სავალო და საიჯარო ვალდებულების გაუქმების შესახებ.

ეს ლოზუნგები და დეკრეტები კიდევ არ ატარებდნენ სოციალისტურ ხასიათს. მაგრამ ცხადია, რომ ბურჟუაზიის კონტრ-რევოლუციონური როლი და მისი გადასვლა იმპერიალისტებისა და ფეოდალების მხარეზე იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ რევოლუციის წინააღმდეგ, უშლიდა ამ რევოლუციას (თუ კი ის წარმატებით განვითარდებოდა) შედარებით ახლო და შესაძლებელ პერსპექტივას იმისათვის, რომ ის სოციალისტურ რევოლუციად გარდაქმნილიყო. მას შემდეგ, რაც მუშები და გლეხები დაამხობდნენ იმპერიალისტებისა და ფეოდალების ბატონობას ჩინეთში, ისინი აღარც ჩინეთის ბურჟუაზიას მისცემდნენ დიდი ხნის ბატონობისა და არსებობის საშუალებას.

კანტონის აჯანყება საყურადღებოა აგრეთვე იმით, რომ ამ აჯანყების პროცესში (ისევე, როგორც გლეხობის იმ რევოლუციონური მოძრაობის პროცესში, რომელსაც მაშინ ადგილი ჰქონდა კანტონის მეზობელ პროვინციებში). სტიქიური აუცილებლობით წარმოიშვენ რევოლუციის ძალების ორგანიზაციული დარაზმვის საბჭოთა ფორმები,—მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები. ამან ერთხელ კიდევ ისტორიულად დაამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირში წარმოშობილი ფორმა მშრომელი მასების სახელმწიფო ძალაუფლებისა შემთხვევითი არ არის და რომ ის უაღრესად შეეფერება მასიური მუშურ-გლეხური რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვების ინტერესებს. ჩვენ არ შეგვიძლია კანტონის რევოლუციონურ ხელისუფლებას ვუწოდოთ პროლეტარიატის რევოლუციონური დიქტატურა, ეს იყო პროლეტარიატისა და გლეხობის თავისებური რევოლუციონურ-დემოკრატიული დიქტატურა, რომელიც ჩინეთში წარმოიშვა. მაგრამ რევოლუციონური ხელისუფლების საბჭოთა ფორმა სწორედ იმით არის ცხოველმყოფელი, რომ ის, იმ შემთხვევაში, თუ რევოლუცია შემდეგ გამარჯვებებს მოიპოვებს, ადვილად ჰქმნის ნაციონალურ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გარდაქმნის შესაძლებლობას. საბჭოთა ფორმის დროს პროლეტარიატს უმცირესი დაბრკოლებები ხვდება იმისათვის, რომ თავისი ხელმძღვანელობით გაატაროს გლეხობა განვითარებისა და მოძრაობის სათანადო ეტაპებზე და გადაიყვანოს იგი რევოლუციის უმაღლეს საფეხურებზე.

კანტონის აჯანყება იყო მშრომელი მასების ნამდვილი აჯანყება, სწორედ მათი ავანგარდის გამოსვლა. ეს გარემოებაც უდიდეს მოვლენად ხდის ამ აჯანყებას ჩინეთის და ყველა კოლონიალური ქვეყნის რევოლუციის ისტორიაში. არა მარტო აჯანყებულთა მოთხოვნილების მიხედვით, არა მარტო რევოლუციონური მთავრობის დეკრეტების მიხედვით, არამედ აჯანყების მოწყობის მიხედვით და მონაწილეთა შემადგენლობით ეს იყო მუშათა და გლეხთა მასების დამოუკიდებელი გამოსვლა. მუშათა მებრძოლი რაზმები, მუშათა წითელი გვარდია, პროფკავშირები, კანტონის გაფიცული მეზღვაურები და რიკშები, კანტონის მახლობელი სოფლების გლეხები — აი ვინ აჯანყდა, აი ვის ხელში იყო სამ დღეს ძალა-უფლება წითელ კანტონში.

ჩინეთის კომპარტია — აი ვინ ხელმძღვანელობდა აჯანყებულ მასებს, აი ვინ გაიზიარა მათთან ერთად აჯანყების მომზადებისა და ჩატარების მთელი სიმძიმე, აი ვინ გაიზიარა დამარცხების მთელი სიმძიმეც და განიცადა მთელი ის საშინელება, რომელიც თავს დაატყდა მუშებსა და გლეხებს. მრავალი ათასი ჩინელი კომუნისტის სისხლი დაიღვარა ჩინეთის იმ მრავალ ათი ათას უპარტიო მუშისა და გლეხის სისხლთან ერთად, რომლებიც ჩინეთის კომპარტიის გვერდით იბრძოდნენ საერთო საქმისათვის. ეს ისეთი უხვი თესლია, რომელიც კიდევ გამოიღებს თავის ნაყოფს.

კანტონის დამარცხების მთავარი მიზეზები წინასწარ იყო განსაზღვრული იმ გარემოებით, რომ ჩინეთის რევოლუციის ძალა საგრძნობლად შესუსტდა და დაიხარჯა ჩინეთის ბურჟუაზიის ორპირობისა და მოღალატეობის წინააღმდეგ ბრძოლის წინა საფეხურზე. 1927 წლის მიწურულში გამოსულ კანტონს მხარი არ დაუჭირეს შანხაიმ და ჩინეთის სხვა პროვინციებმა, სადაც დროებით კონტრ - რევოლუცია განმტკიცდა. ამავე დროს გლეხთა მოძრაობა, რომელიც 1927 წლის დამლევს შანდუნში ძალიან განვითარდა, ტერიტორიალურად მოწყვეტილი იყო კანტონისაგან, იგი მიდიოდა კანტონის დასახმარებლად, მაგრამ ვერ მიუსწრო. კანტონის მოძრაობის რეფორმისტული გამყიდველი, ყვითელი ელემენტების ღალატმა შიგნიდან დაასუსტა წითელი კანტონი, ხოლო იმპერიალისტებმა ხელი შეუწყვეს ჩინეთის რეაქციას, რომ მას სამხედრო ჯავშნიან მუშტში მოემწყვდია კანტონი. კანტონი ჩაახრჩვეს.

ადგილი ჰქონდა შეცდომებსაც აჯანყების ხელმძღვანელი კომუნისტების მხრივ, რომელნიც საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ აჯანყების უფრო მასიურად მომზადებას, აჯანყების პროცესში მასებზე უფრო მტკიცე გავლენის მოხდენას. მაგრამ დამარცხება არ უკარგავს აჯანყებულ მათ გმირობასა და დამსახურებას ჩინეთის რევოლუციის წინაშე, რომელიც მუდამ ჰპოვებს კანტონის აჯანყებაში ენტუზიაზმისა და გმირული ენერგიის მაგალითს იმ ბრძოლისთვის, რომელსაც იგი აწარმოებს მსოფლიო იმპერიალისტების მონობისაგან ყველა ქვეყნის დაჩაგრულ ხალხთა და მშრომელთა განსათავისუფლებლად.

ჩინეთის რევოლუციის გზა კანტონის აჯანყების შემდეგ უფრო ძნელი იყო, ვიდრე ამ აჯანყებამდე. უკანასკნელი წელი რეაქციის მხეცური მძვინვარების წელი იყო, იმ რეაქციის, რომლის სიმხეცეს მუშებისა, გლეხებისა და კომუნისტების მიმართ საზღვარი არა ჰქონდა. ამჟამადაც ჩინეთში დღე არ გაივლის ისე, რომ რევოლუციონერები სიკვდილით არ დასაჯონ. ალვირწახსნილი ბურჟუაზია, ფეოდალური და იმპერიალისტური ხროვა მით უფრო მხეცურად იქცევა, რაც უფრო ნათლად ჰგრძნობს, რომ მას არ ასცდება ისტორიის სამაგიერო განაჩენი ამ სიმხეცის გამო.

მაგრამ თუ ყოველდღიურად სწირავს ჩინეთი ახალ მსხვერპლებს რეაქციის მოლოხს, ეს მოწმობს იმას, რომ ჩინეთის რევოლუცია ოდნავადაც არ შეჩერებულა, რომ მისი მომავალი ნიაღვარი, პატარა ნაკადულებად ქცეული, მიწის წიაღში მიიმალა იმ მიზნით, რომ კვლავ ამოხეთქოს ჩინეთის ხალხის მტარვალთა წასალეკად.

ამ დღეს უცდის მთელი მშრომელი კაცობრიობა, რადგან ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება იქნება მძლავრი შეტევა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხელის შეშლა იმ ახალი ომებისათვის, რომელსაც ასე თავგამოდებით ამზადებს მსოფლიო კაპიტალი. ამჟამად მხოლოდ საბჭოთა კავშირი გამოდის მსოფლიო სარბიელზე მშვიდობიანობისათვის ერთ-ერთ მებრძოლად და მის ერთად-ერთ დამცველად. და მსოფლიო ყაჩაღების მებრძოლმა იმპერიალიზმმა იცის თავისი საქმე, როდესაც ის სცრუობს „საბჭოთა აგენტების" შესახებ აღმოსავლეთში: ის გრძნობს იმ საფრთხეს, რომელიც მოელის მას და მის იმპერიალისტურ ზრახვებს კოლონიალური და ნახევრადკოლონიალურ აღმოსავლეთში, ის გრძნობს ამ აღმოსავლეთის სტიქიურ ლტოლვას საბჭოთა კავშირისაკენ, როგორც მშვიდობიანობისათვის მებრძოლ და დაჩაგრულ ხალხთა დამცველ სახელმწიფოსაკენ.

მაგრამ მსოფლიო კაპიტალი ვერ ამოაგდებს თავის კოლონიებში საბჭოთა კავშირისადმი ნდობის იმ ღრმა თესვებს, რომლებსაც ეს კაპიტალი თვითონ უმზადებს ნიადაგს თავისი ძალმომრეობითი სამხედრო პოლიტიკით.

კანტონის დიადი აჯანყების წლის თავზე საერთაშორისო პროლეტარიატი ერთხელ კიდევ მოუწოდებს თავის რევოლუციონურ რიგებს შემჭიდროებისაკენ და კოლონიალური რევოლუციების, მათ შორის ჩინეთის რევოლუციის, დაცვისაკენ, ერთხელ კიდევ ეკითხება მუშების თვითეულ ფენას, თვითეულ ჯგუფს, რომელნიც რეფორმისტებს მისდევენ კუდში, ვისთან იყვნენ ისინი 1927 წლის 11 დეკემბერს—კანტონის აჯანყებულ მუშებთან და გლეხებთან თუ მათ ჯალათებთან? ვის უჭერენ ისინი მხარს—იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ ხალხებს თუ იმპერიალიზმს?

ამასთანავე საერთაშორისო პროლეტარიატი მოიგონებს (და მოაგონებს ყველას) იმ ისტორიულ ფაქტს, რომ მუშებმა და გლეხებმა ჩინეთშიაც, როდესაც მათ სცადეს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. იმპერიალისტური და ფეოდალური სამხედრო ძალების წინააღმდეგ ბრძოლის დროს შექმნეს საბჭოთა ხელისუფლება, ჩანასახი ისეთივე საბჭოთა ხელისუფლებისა, როგორიც 11 წელიწადია არსებობს საბჭოთა კავშირში. ეს ფაქტი ყველაზე უფრო მჭერმეტყველურად უმტკიცებს მთელი ქვეყნის მშრომელთ—რა არის საბჭოთა ხელისუფლება, რა არის საბჭოთა კავშირი და ვისი ინტერესების დასაცავად ებრძვის ის საერთაშორისო იმპერიალიზმს.

„პრავდა", 11 დეკემბერი.

გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სესია

გომინდანის წრეებში იზრდება განწყობილება საბჭ. კავშირთან შეთანხმების სასარგებლოდ

მდგომარეობა ავღანისტანში უმჯობესდება—აჯანყებულების ნაწილს სურს შეუთანხმდეს მთავრობას

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

პეკინი, 10 დეკემბ. გაზეთი „ტიანძინ ტაკუნ ბაო" სასტიკად აკრიტიკებს ნანკინის მთავრობას მისი „არააქტიური პოლიტიკისათვის საბჭოთა კავშირის მიმართ". გაზეთი უსაყვედურებს მთავრობას, რომ იგი მოლაპარაკებას აწარმოებს, საბჭოთა კავშირის გარდა, ყველა სახელმწიფოსთან. და სწერს:

„მთავრობა მუდამ ლაპარაკობს კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მაგრამ მას არავითარი გეგმა არა აქვს საბჭოთა კავშირის მიმართ. ეს მდგომარეობა უაღრესად საზიანოა ჩინეთისათვის. ინგლისსა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა უმჯობესდება და მუშათა პარტიის კაბინეტი, რომელიც, ალბად, ხელისუფლებას ჩაუდგება სათავეში, განაახლებს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ხმა დადის აგრეთვე, რომ შეერთებული შტატების მთავრობა მალე იცნობს საბჭოთა კავშირს. ამგვარად, საბჭოთა კავშირი განმტკიცდება საერთაშორისო ასპარეზზე და კომუნისტური საფრთხე ჩინეთში გაიზრდება. ამიტომ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ნორმალური ურთიერთობის უქონლობას დიდი ზიანი მოაქვს ჩინეთის ნაციონალური თავდაცვის ინტერესებისათვის. საჭიროა საფუძვლიანად შეიცვალოს ჩინეთის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ და, პირველ ყოვლისა, საჭიროა განახლდეს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობა". (ადს)

გომინდანელებს იმედი გაუცრუვდათ

შანხაი, 10 დეკემბერი. გომინდანში შექმნილი მდგომარეობის დასახასიათებლად საგულისხმოა რეიტერის ცნობა იმის შესახებ, რომ ნანკინის ცნობილ პოლიტიკურ წრეებს ემჩნევათ მარცხნივ გადახრა. რეიტერის ცნობა აღნიშნავს ანტი-იაპონური მოძრაობის ზრდას და გომინდანის იმედების გაცრუებას იმის გამო, რომ საგრძნობი შედეგები ვერ იქნა მიღებული სახელმწიფოებთან დიპლომატიური კონტაქტისაგან. ზოგიერთ წრეებში ძლიერდება ტენდენცია საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის განახლების სასარგებლოდ. საგულისხმოა, რომ რეიტერის ეს ცნობა სწორედ მაშინ იქნა გამოქვეყნებული, როცა ნანკინში ჩავიდა ინგლისის ელჩი მაილს ლემპსონი. (ადს)

აღიარებენ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიღწევებს

პარიზი. 10 დეკემბერი. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ მოხსენება წარადგინა საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ. იმ პარაგრაფში, რომელიც ეხება საფრანგეთ - საბჭოთა ურთიერთობას, აღნიშნულია, რომ ამ ურთიერთობაში არც ერთ თვალსაჩინო მოვლენას არ ჰქონია ადგილი მას შემდეგ, რაც რაკოვსკი გაწვეულ იქნა. ე. ი. 1927 წლის ოქტომბრიდან.

„რამდენადაც საბჭოთა კავშირის ახალმა ელჩმა დოვგალევსკიმ, — ნათქვამია მოხსენებაში, — არ წარმოადგინა არავითარი ახალი წინადადება, რომელსაც შეეძლო გამხდარიყო ბაზად ფინანსიური საკითხების შესახებ მოლაპარაკების გაგრძელებისათვის, ეს მოლაპარაკება შეფერხდა".

მომხსენებელმა ჩამოსთვალა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ფაქტები უკანასკნელ წელს და აღნიშნა „საბჭოთა მთავრობის მოქმედების გაცხოველება საერთაშორისო დარგში", საბჭოთა კავშირის მონაწილეობა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობაში, „პოლონეთისა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული იმ ზოგიერთი ინციდენტის ლიკვიდაცია ორივე მხარისათვის ხელსაყრელ პირობებში, რომლებსაც შეეძლოთ დაერღვიათ კეთილ მეზობლური ურთიერთობა; შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა გერმანია - საბჭოთა ურთიერთობის უცვლელი ხასიათი, „მიუხედავად გერმანელი ინჟინერების პროცესისა", და, ბოლოს, საბჭოთა კავშირის აქტიური პოლიტიკა აღმოსავლეთში.

მოხსენებაში მოყვანილია ციფრები, რომლებიც ამტკიცებენ საბჭოთა ნავთის მრეწველობის და ნავთის ექსპორტის განვითარებას და ნათქვამია რომ „ზოგიერთი ცნობებით, საბჭოთა მთავრობას განზრახვა აქვს შემოიღოს ახალი საკონცესიო რეჟიმი, რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნება უცხოელთა თანხების დაბანდებისათვის". (ადს)

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ლუგანო, 10 დეკემბერი. ერთა ლიგის საბჭოს სესია გაიხსნა ბრიანის თავმჯდომარეობით. დადგენილ იქნა, სამანდატო ტერიტორიების კომისიის მოხსენება, უნგრეთ - რუმინეთის დავის საკითხი, აგრეთვე ერთა ლიგის საბჭოს წლიური სესიების რიცხვის შემცირების საკითხი გადაიდოს მარტის სესიამდე. (ადს).

ლუგანო, 10 დეკემბერი. 10 დეკემბერს გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს მე-53 სესია, რომლის დღის წესრიგი სავსეა მეორე ხარისხოვანი საკითხებით. ერთად - ერთი პოლიტიკური საკითხი, რომელიც ოფიციალურად არის დასმული დღის წესრიგში, პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტია. ხელმძღვანელი წრეების აზრით, კონფლიქტის განხილვა არსებულ სტადიაში გამოიწვევს პოლონეთის იურიდიულ პოზიციების გამაგრებას ლიტვის მიმართ. დანარჩენ საკითხებს შორის შედარებით ინტერესს იწვევს ზემო სილეზიის (პოლონეთშია) გერმანული უმცირესობის საჩივარი, აგრეთვე საკითხი ოპიუმით ვაჭრობის შესახებ.

შემდეგ არის საკითხი იმ მთავრობის კომისიის ახალი შემადგენლობის დანიშვნის შესახებ, რომელიც საარის ოლქს განაგებს და იარაღის წარმოების საკონტროლო კომისიის მოხსენება.

ლუგანოში შეკრებილ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის უდიდეს ინტერესს იწვევს ჩემბერლენის, ბრიანის და შტრეზემანის თათბირი იტალიის მხრივ თათბირში მონაწილეობას მიიღებს, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი გრანდი, იაპონიის მხრივ პარიზელი ელჩი ადაჩი. პოლიტიკური წრეების აზრით, ლუგანოში არ გადაიჭრება რეპარაციების საკითხი. ეს აიხსნება იმით, რომ, ერთის მხრივ, არ არის დამთავრებული საფრანგეთის მთავრობის მოლაპარაკება ინგლისის ხაზინასთან გერმანიის გადახდის უნარიანობის გადათვალიერებისა და დაუესის ობლიგაციების მობილიზაციის შესახებ. მეორეს მხრივ — ამერიკის დაუსწრებლად მიღებული რაიმე გადაწყვეტილება განუხორციელებელი იქნება უკეთეს პოლიტიკურ პირობებშიაც კი. ლუგანოში შექმნილ განწყობილებისათვის დამახასიათებელია გერმანიის დელეგაციის წევრთა განცხადებები, რომ შტრეზემანი ლუგანოში ჩავიდა არა მოლაპარაკებისათვის, არამედ მორიგი სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ამავე დროს ინგლისის დელეგაციის წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისის მეფის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მოსალოდნელია ჩემბერლენის ნაადრევად დაბრუნება ინგლისში. საერთოდ, პოლიტიკური წრეების აზრით, ლუგანოში ძნელია ისეთი ფორმულის გამონახვა, რომელიც მიჰქმალავს ძირითადი საკითხების გადაჭრის შეუძლებლობას და იმავე დროს იქნება ლოკარნოს პოლიტიკის სიმტკიცის გამომხატველი (ადს).

ლუგანო, 11 დეკემბერი. ჩემბერლენმა მიიღო ინგლისის პრესის წარმომადგენლები, რომლებთანაც საუბრის დროს განაცხადა, რომ ლუგანოში არავითარ სენსაციას არ ექნება ადგილი და რომ არსებითად სარეპარაციო საკითხის განხილვა ფინანსთა მინისტრების საქმეა, და არა საგარეო საქმეთა მინისტრების, რომლებიც ლუგანოში შეიკრიბენო.

გერმანიის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს შტრეზემანმა თავი შეიკავა რაიმე არსებითი განცხადებისაგან. მან სთქვა, რომ შეუთანხმდა ბრიანს საიდუმლოდ დაიცვას მოლაპარაკება, შტრეზემანმა უარჰყო ხმები, თითქოს ბრიანთან საუბრის დროს მას აღეძრას საკითხი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შინაარსის შესახებ.

ბრიანმა მიიღო საფრანგეთის პრესის წარმომადგენლები, რომლებთანაც საუბრის დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებას ლუგანოში ახალ გადაწყვეტილებათა ძიება კი არა აქვს მიზნად, არამედ იმ გადაწყვეტილებათა განხორციელება, რომელნიც სექტემბერში ჟენევაში იქნენ მიღებულიო. (ადს).

აჯანყება ავღანისტანში

შინვარის ტომი მზადაა შეურიგდეს მთავრობას

თერმეზი, (ავღანისტანის საზღვარზე), 10 დეკემბ. მიღებული ცნობების თანახმად, ჯელალაბადის რაიონში მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება, შინვარის ტომის განწყობილება თანდათან იცვლება ავღანისტანის მთავრობის სასარგებლოდ. აჯანყებულთა ნაწილი მოლაპარაკებას აწარმოებს სამხედრო მოქმედების სრულებით შეწყვეტისა და მთავრობასთან შერიგების შესახებ. (ადს)

ინგლისი „უარყოფს"

ლონდონი, 10 დეკემბ. გაზეთების უმრავლესობა აქვეყნებს მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა პრესა შინვარის ტომის აჯანყებას ავღანისტანში უკავშირებს ინგლისის მახინაციებს. გაზეთები ამ ცნობებს „საბჭოთა ჭორები"-ს სათაურით ათავსებენ, ამასთან თავს იკავებენ ყოველგვარ კომენტარიებისაგან (ადს).

ინგლისელი ლიბერალების „სამშვიდობო" პოლიტიკა

ლონდონი. 10 დეკემბერი. რეიტერი იუწყება:

„ლიბერალური პარტიის ბელადებმა გამოაქვეყნეს ლიბერალური პარტიის პროგრამა მშვიდობიანობის და განიარაღების საკითხში. პროგრამა ითვალისწინებს ომზე, როგორც საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალებაზე, უარის თქმას, შეიარაღების დაუყოვნებლივ და მაქსიმალურ შემცირებას, ხელშეკრულებების კეთილსინდისიერად და მიუდგომლად შესრულებას და ერთა ლიგისათვის მხარის დაჭერას, პროგრამა უარყოფს აგრეთვე შეერთებულ შტატებთან კონკურენციას საზღვაო სამხედრო ფლოტის გაფართოების საქმეში.

დასასრულ, პროგრამა მოითხოვს ენერგიულად მხარის დაჭერას ყველა ისეთი ტენდენციისათვის, რომელიც უზრუნველჰყოფს საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლებას". (ადს).

რუმინეთის მუშურ-გლეხური ბლოკის საარჩევნო კამპანია

ვენა, 10 დეკემბერი. რუმინეთის მუშურ-გლეხური ბლოკი არჩევნების წინ ენერგიულ კამპანიას აწარმოებს. როგორც მუშურ-გლეხური ბლოკის ორგანო „ინაინტე" იუწყება, ბრასოვში მოხდა ბლოკის წინასწარი კრება; გამოსულმა მომხსენებლებმა წამოაყენეს შემდეგი ლოზუნგები: ამნისტია პოლიტიკურ პატიმართათვის, საბჭოთა კავშირის დაცვა, ბრძოლა სამხედრო საფრთხესთან და რუმინეთის კომპარტიის ლეგალიზაცია.

მოხსენებებში აღნიშნული იყო, რომ რუმინეთის მუშათა კლასი დიდის ყურადღებით ადევნებს თვალყურს პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წარმატებას; მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას საბჭ. კავშირი რუმინეთის ოლიგარხიის ბოროტი განზრახვებისაგან. მომხსენებლების სიტყვებს საბჭოთა კავშირის პატივსაცემად მქუხარე ტაშით შეხვდნენ, რომელიც არ შეწყდარა, მიუხედავად პოლიციის აგენტების მუქარისა—კრებას დავხურავთო.

გასულ კვირას მუშურ-გლეხური ბლოკის კრება მოხდა ბესარაბიის ბევრ ქალაქში. კრებები ერთსულოვნად ესალმებოდნენ საბჭოთა კავშირს და მოითხოვდნენ ამნისტიას პოლიტიკურთათვის.

სტოროჟინეცში მუშებმა ჩაშალეს სოციალ-დემოკრატების საარჩევნო კრება. (ადს).

რემედასის აღმასკომის მოწოდება

კანტონის კომუნის წლის თავის გამო

მოსკოვი, 11 დეკემბერი. რემედასის აღმასკომის მოწოდებაში კანტონის კომუნის წლის თავის (1927 წ. 11 დეკემბერი) გამო, ნათქვამია:

„წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც კანტონმა ააფრიალა საბჭოთა წითელი დროშა. კანტონის კომუნამ მხოლოდ რამდენიმე დღე იარსება. კანტონის კომუნამ ვერ გაუძლო გომინდანის იმ კონტრ-რევოლუციონერი ბანდების შეტევას, რომლებსაც აქტიურად უწყობდნენ ხელს იმპერიალისტები, და 13 დეკემბერს დაეცა. დიდი მსხვერპლის გაღება და ტანჯვის გადატანა მოუხდა კანტონის რევოლუციონურ პროლეტარიატს კომუნის სამი დღის არსებობის განმავლობაში. 5.000 მუშის გვამით იყო მოფენილი რევოლუციონური ქალაქის ქუჩები და ფილაქნები. ათი ათასობით მუშას და გლეხს, მოხუცს, ქალს და ბავშვს საშინლად სდევნიდნენ და სტანჯავდნენ. მსოფლიო ბურჟუაზია უდიდეს სიხარულს განიცდიდა, როცა კითხულობდა ცნობებს კანტონში მომხდარ საშინელებათა შესახებ. ღრმა ტკივილით და ძმური თანაგრძნობით აღივსო ყველა ქვეყნის მშრომელთა გული, რომლებიც შესისხლხორცებულნი არიან ჩინეთის რევოლუციასთან ბრძოლისა და ტანჯვის განცდებით. გომინდანის ჯალათები განაგრძობენ თავიანთ ულმობელ, ამომწყვეტ ომს ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ. სიკვდილის ცელი შეუჩერებლად განაგრძობს თავის მუშაობას—იგი ახალ და ახალ მსხვერპლს მოითხოვს. სულ ერთი წელი გავიდა კომუნის დაცემის დღიდან და გამხეცებული ბურჟუაზიის აუარებელ მსხვერპლს მიემატა 170.000 მოკლული და ათი ათასობით დაჭრილები. მაგრამ კანტონის კომუნა კვლავ სიცოცხლობს ჩინეთის მრავალი მილიონი პროლეტარის გულში და იგი ახალ ძალღონეს მატებს ყოველ მებრძოლს კაპიტალისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ". (ადს).

მუსოლინის განცხადება

რომი, 10 დეკემბერი. იტალიის დეპუტატთა პალატამ ერთხმად დაამტკიცა კანონპროექტი შრომის ხარტიის და დიდი ფაშისტური საბჭოს შესახებ.

მუსოლინი გამოვიდა ვრცელი სიტყვით, რომელშიაც შეეხო იტალიის საგარეო პოლიტიკას.

„ჩვენ ყველანი, — განაცხადა მან,—მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას. ჩვენ ხელი მოვაწერეთ კელოგის პაქტს, რომელიც უდიდეს აქტად მიმაჩნია. იყო სხვა პაქტებიც, რომელთა ხელის მოწერას ჩვენ ვფიქრობდით, მაგრამ ამას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ მთელი მსოფლიო იარაღს ისხამს. გაზეთებში ყოველდღე ვკითხულობთ ცნობებს წყალქვეშა ნავების, კრეისერების აგების და ომის სხვა იარაღის დამზადების შესახებ. როცა ქარიშხალი ახლოვდება მთელი მსოფლიო მშვიდობიანობის შესახებ ლაპარაკობს. ჩვენ არ გვინდა წონასწორობის დარღვევა ევროპაში, მაგრამ მაინც მზად უნდა ვიყოთ. არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ მე მოვითხოვ ერისაგან, რომ მან სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ზღვის, ხმელეთის და ჰაერის ძალები. ჩვენ დიდ სიფრთხილეს ვიჩენთ, სანამ მეგობრობის ხელს გაუწვდიდეთ ვისმეს, მაგრამ რაკი არსებობს განსაზღვრული ხასიათის პაქტი, უნდა ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ ყოველ ვალდებულებაში ბოლომდე მივდივართ" (ადს).

პროფკავშირთა მერვე ყრილობა

მოსკოვი, 11 დეკემბერი. 10 დეკემბერს დიდ თეატრში ზეიმით გაიხსნა პროფკავშირთა მერვე სრულიად საკავშირო ყრილობა.

ყრილობას ესწრება 1,085 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 400 დელეგატი სათათბირო ხმით. ყრილობაზე წარმოდგენილია პროფკავშირთა 11,060,000 წევრი.

ყრილობა გახსნა ამხ. ტომსკიმ, რომელიც შეეხო ჩვენი მეურნეობის განვითარების ძირითად ეტაპებს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

ამხ. ტომსკის სიტყვა

„ეს პერიოდი,—სთქვა ამხ. ტომსკიმ,—მიმდინარეობდა თავისებურ პირობებში, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის მძიმე ძლევამოსილი ბრძოლის პირობებში, ინტენსიური კაპიტალური მშენებლობის, ახალი ფაბრიკებისა და ელექტრო-სადგურების მოწყობის, რკინის გზის ქსელის განვითარების, სოფლის მეურნეობის ახალ ნიადაგზე გარდაქმნის პირობებში. განვლილ პერიოდში ჩვენ გვქონდა უდიდესი მიღწევები. ეს მიღწევები უდიდესია იმიტომ, რომ ასეთი მშენებლობა პირველად სწარმოებს მსოფლიოში, ამ ძნელ მუშაობას ვასრულებთ უცხოეთის კაპიტალის დაუხმარებლად—მათგან სესხის მიუღებლად. ასევე მოვიქცევით მომავალში.

„ბორბლის ყოველი გადატრიალება,—განაგრძობს ამხ. ტომსკი,—ჩაქუჩის ყოველი დარტყმა, საბჭოთა ქვეყნის ყოველი წარმატება სამეურნეო ფრონტზე ბოლოს და ბოლოს იწვევს მშრომელთა ფართო მასების ეკონომიური კეთილდღეობის უშუალო გაუმჯობესებას და კულტურული დონის აწევას. ჩვენს სოციალისტურ რაციონალიზაციას თან სდევს და ჩვენი უდიდესი მიღწევა—შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. ეს ნათლად აშკარავებს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ჩვენი რაციონალიზაციისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის შორის.

მოპოვებულ წარმატებებთან ერთად პროლეტარიატი აღიარებს არსებულ სიძნელეებსაც. პირველი სიძნელე, რომელსაც უშუალოდ ჰქმნის კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი, ომის საფრთხეა. საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებათა და სოციალიზმის შემქნელი მუშათა კლასის წარმატებათა ზრდასთან ერთად იზრდება ომის საფრთხეც. მუშათა კლასისა და პროფკავშირების ამოცანას წინანდებურად შეადგენს—ყოველთვის მზად იყვნენ, რომ მილიონიანი წევრების მობილიზაცია მოახდინონ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

არსებობენ სხვა სიძნელეებიც. სოციალიზმის მშენებლობის წინსვლასთან ერთად, მუშათა კლასს წინააღმდეგობას უწევენ ის კლასები და ჯგუფები, რომლებიც განწირულნი არიან სოციალიზმის მშენებლობის წყალობით. ესენი არიან კულაკები სოფლად და ნეპმანები ქალაქად. რომლებიც ყოველნაირად ხელს უშლიან მუშათა კლასს სოციალისტური მშენებლობის მუშაობაში. ამ კლასებს დასაყრდენი ექნებათ იმ დრომდე, სანამ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიმყოფებით.

შემდეგ სიძნელეს ის შეადგენს, რომ ერთმანეთს არ შეეფერება მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნილება და მრეწველობის მხრივ მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რომ სოფლის მეურნეობა ჩამორჩება მრეწველობას და სხვ. ამ სიძნელეთა დასაძლევად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მძიმე ინდუსტრიის მშენებლობას, ვინაიდან მდგომარეობა მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე გავთავისუფლდეთ უცხოეთისგან. ამის შესრულება მაშინ შეიძლება, თუ მუშათა კლასის ფართო მასები დარაზმულნი იქნებიან, თუ საბჭოთა პროლეტარიატი ღარიბ და საშუალო გლეხობასთან ერთად გაერთიანდება საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის გარშემო. ამ გზაზე ჩვენ ყველა სიძნელეს გადავლახავთ.

„საკავშირო პროფსაბჭო დარწმუნებულია, —ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. ტომსკი,— რომ დღევანდელი ყრილობა შეასრულებს ძველ ლენინურ ლოზუნგს: პროფკავშირები რაც შეიძლება ახლოს უნდა იყვნენ მასებთან, მასებთან ერთად, მასების სათავეში".

პრეზიდიუმის არჩევნები

საქმიან პრეზიდიუმში ყრილობამ აირჩია 90 კაცი. მათ შორის: ამხ. ტომსკი, დოგადოვი, ლოზოვსკი, ანდრეევი, უგლანოვი, ლეპსე, მელნიჩანსკი, მიხაილოვი და სხვ. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კუიბიშევი, რუძუტაკი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე და კრუპსკაია.

მისალმებები

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. რიკოვის მისალმება საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ისა და მთავრობის სახელით, ვოროშილოვის მისალმება წითელი არმიის სახელით, ამხ. ულბრიხტის მისალმება კომინტერნისაგან, ამხ. ჯერმანეტოსი—პროფინტერნისაგან, სუ-შაოჩენისა—ჩინეთის შრომის ფედერაციისაგან და ამხ. მილჩაკოვისა—კომკავშირის ც. კ.-ისაგან.

ამხ. ტომსკის საანგარიშო მოხსენება გაკეთებული იქნება 11 დეკემბერს, საღამოს სხდომაზე.

პურის დამზადება

მოსკოვი, 10 დეკემბერი. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით: დეკემბრის პირველი ხუთი დღის განმავლობაში დამზადებულია 148.387 ტონა პური (ნოემბრის უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში დამზადებული იყო 147.305 ტონა პური).

საქართ. ხელოვნების შემსწავლელი განყოფილება

სამხატვრო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიასთან

მოსკოვი, 11 დეკემბერი. სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიასთან გაიხსნა საქართველოს ხელოვნების შემსწავლელი განყოფილება. ქართული განყოფილება შეუდგება ეროვნული ავტორების გადათარგმნას რუსულ ენაზე. თარგმანი დაიბეჭდება აკადემიის კრებულებში. (ადს).

ანტი-საბჭოთა მუშაობა ფაბრიკა „სპარტაკში"

ყაზანი, 11 დეკემბერი. საოლქო საკონტროლო კომისიამ აღმოაჩინა ტროცკიზმის ანტისაბჭოთა მუშაობა ფაბრიკა „სპარტაკში". საკონტროლო კომისიამ გამოარკვია, რომ ტროცკისტული ჯგუფი მუდმივ ანტიპარტიულ მუშაობას ეწეოდა და ტროცკისტულ ლიტერატურას არალეგალურად ავრცელებდა. საკონტროლო კომისიამ დაადგინა—გამოირიცხოს პარტიიდან სამი კაცი. რამდენიმე ამხანაგს შენიშვნა მიეცა შემარიგებელი დამოკიდებულების გამო ამ ჯგუფის საქმიანობისადმი. (ადს).

საკავშირო ცაკის სესია

კამათი ამხ. მილიუტინის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 11 დეკემბერი. 10 დეკემბრის დილის სხდომაზე ეროვნებათა საბჭოში დამთავრდა კამათი ამხ. მილიუტინის მოხსენების (მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის ზოგადი პრინციპები საბჭოთა კავშირში) გარშემო.

ბელორუსი გლეხი ქალი **პუდიჩი** ამბობს, რომ საჭიროა დაჩქარდეს მცირეშეძლებისა და ღარიბ გლეხთა მეურნეობის მიწათმოწყობის საქმის გატარება სახელმწიფო ხარჯზე.

ამხ. **ლიტვინოვი** (ჩუვაშია) ილაშქრებს იმ მუხ. რედაქციის წინააღმდეგ, რომელიც ყოფილ მემამულეებს და სხ. მიწათმფლობელებს (რომლებიც გადასახლებულ იქნენ მათი მეურნეობებიდან) არ აძლევს უფლებას მოჰკიდონ ხელი შრომითი მეურნეობას იმ გუბერნიებსა და ოლქებში, სადაც ისინი წინად ფლობდნენ მიწას. ამხ. ლიტვინოვის აზრით უფრო მეტად უნდა შეიზღუდოს ყოფილი მემამულეების, მოიჯარადრეების, სამღვდელოების და მათი ოჯახების უფლება მიწისმფლობელობაზე. თუ ეს ჯგუფები მოისურვებენ ხელი მოჰკიდონ შრომით მეურნეობას, საკავშირო გადამსახლებელმა კომიტეტმა მათ მიწა უნდა მისცეს საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის მხოლოდ შორეულ რაიონებში.

ამხ. **ფასტოვეცი** (ყირიმელი გლეხი-ქალი) ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ყირიმში დღემდე მიწას ფლობს ყოფილი მემამულეების რამდენიმე ასი ოჯახი. იგი მოითხოვს, რომ უფრო გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული ყირიმიდან ყოფილ მემამულეთა გადასახლებისათვის.

კამათის დამთავრების შემდეგ ეროვნებათა საბჭო აირჩევს კომისიას 15 ამხანაგის შემადგენლობით. კომისიას ევალება განიხილოს კანონი მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის შესახებ და ის შესწორებები, რომლებიც კამათის დროს იქნა წამოყენებული. (ადს).

მოსკოვი, 11 დეკემბერი. საკავშირო საბჭოში გამართულ კამათის დროს უკრაინელმა დელეგატმა ამხ. **ტოსენკომ** განაცხადა, რომ საჭიროა უმკაცრესი სასჯელი დაწესდეს ახალი კანონის იმ მუხლის დამრღვეველთა წინააღმდეგ, რომელიც მიწის ნაციონალიზაციას შეეხება. ამხ. ტოსენკო ამბობს, რომ საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთ მიწა უნდა მიეცეთ უკანასკნელ რიგში, ზოგ შემთხვევაში ასეთ პირებს მიწა უნდა ჩამოერთვათ კიდეც. ეს ზომა საშუალებას მოგვცემს ავლაგმოთ კულაკი, რომელიც ჯერ კიდევ იჩენს აქტიობას. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როცა მიწით სარგებლობენ ის მოქალაქენი, რომლებიც საბჭოთა სამსახურში არიან და დიდ ჯამაგირს იღებენ. ასეთ მოქალაქეებს უნდა ჩამოერთვას მიწა და გადაეცეს ღარიბებს.

ამხ. **სამსონოვი** (რ. ს. ფ. ს. რ.) საჭიროდ თვლის გაძლიერდეს პასუხისმგებლობა ყველა იმისათვის, ვინც ცდილობს გვერდი აუხვიოს ძირითად კანონს მიწათსარგებლობის შესახებ.

ამხ. **ვოლკოვი** (რ. ს. ფ. ს. რ.) უფრო მკაცრი ზომების მიღებას მოითხოვს იმ მოქალაქეთა წინააღმდეგ, რომლებიც მიწის ყიდვა-გაყიდვას ეწევიან.

კამათის დამთავრების შემდეგ ამხ. ჩერვიაკოვმა წაიკითხა პრეზიდიუმში შეტანილი წინადადება, რომელიც მოითხოვს, რომ მიღებულ იქნას კანონის პროექტი მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის ზოგადი პრინციპების შესახებ და გამოყოფილ იქნას კომისია ამ კანონის დასამუშავებლად კამათის დროს წამოყენებული შენიშვნებისა და შესწორებების მიხედვით, ეს წინადადება მიღებულ იქნა. შესწორებებისა და შენიშვნების განსახილველად არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია ამხ. მილიუტინის მეთაურობით. საკავშირო საბჭოს მიერ არჩეული კომისია იმუშავებს იმ კომისიასთან ერთად, რომელიც ეროვნებათა საბჭომ გამოჰყო ამხ. მილიუტინის ხელმძღვანელობით.

ამხ მილიუტინის საბოლოო სიტყვა მოსმენილ იქნება საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. (ადს).

სამხედრო ტრიბუნალი

(ათი წლის თავის გამო)

> «Пусть кричат, что мы не реформируя старый суд, сразу отдали его на слом».
>
> ЛЕНИН.

დღეს სრულდება 10 წელი მას შემდეგ, რაც წითელ-არმიაში მოეწყო სამხედრო რევოლუციონური ტრიბუნალები. დღევანდელ დღეს ათი წლის წინათ გამოიტანა პირველი განაჩენი რესპუბლიკის სამხედრო ტრიბუნალმა. ამრიგად ათი წლის ისტორია აქვს ამ პროლეტარიატის კლასიურ ორგანოს, რომელმაც უკვე საპატიო ადგილი დაიჭირა ოქტომბრის რევოლუციის მტრებთან სახელოვან ბრძოლის ისტორიაში.

მხოლოდ ოქტ. რევოლუციამ შესძლო დაემსხვრია ძველი სასამართლო ძველ წყობილებასთან ერთად. მანამდე თებერვლის რევოლუციას, არც კერენსკის რუსეთში და არც ჟორდანიას საქართველოში, ხელი არ უხლიათ მეფის სამართველოებისათვის. როგორც თვითმპყრობელობის დროს, ისე მენშევიკების დროსაც სამხედრო სასამართლოებში განაგრძობდნენ საქმიანობას მეფის ღენერლები და პოლკოვნიკები, მძვინვარებდა იქვე სამხედრო საველე სასამართლო, პოლკოვნიკი ლეკვინაძის თავმჯდომარეობით და ეს ფაშისტური ოფიცრები ანადგურებდნენ საქართველოს მუშების და გლეხების რევოლუციონურ ნაწილს. ნიკოლოზის და მისი პაპის 1869 წლის სისხლის სამართლის კანონებით. როგორც ამას მთლიანად ადასტურებს მენშევიკ. მთავრობის სამხედრო მინისტრის არქივი და ამხ. ფ. მახარაძე თავის წიგნში „მენშევიკების პარტიის დიქტატურა საქართველოში". ის მოგვითხრობს, რომ მას და ყველა დუშეთის აჯანყებაში მონაწილეთ, მენშევიკებმა წაუყენეს 100 და 101 მუხლები 1903 წლის სისხლის სამართლის დებულებისა. თუ ამას მოუმატებთ აქ გამჟღავნებულ ტერორს და ცოცხლად დაწვის ფაქტებს (ივანოვი და მარდალეიშვილი ვ. თ.) ყველასათვის აშკარა და ნათელი იქნება თუ რას წარმოადგენდა მენშევიკური სასამართლო ამ ეგრედწოდებულ „დემოკრატიზმის სამოთხეში".

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ ალგავა ერთხელ და სამუდამოდ მიწის პირიდან ეს მონობის და ჩაგვრის ორგანოები და მათ ნანგრევებზე პროლეტარიატმა შექმნა თავისი საკუთარი კლასიური ორგანო სახალხო და სამხედრო რევოლუციონური სასამართლოები.

სამხედრო ტრიბუნალები პირველ ხანებში სტიქიურად წარმოიშვენ, ხოლო მალე ოფიციალურად დადასტურებული იქნენ რესპუბლიკის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს ბრძანებით, 1918 წლის 14 ოქტომბერს, ამრიგად სამოქალაქო ომის უაღრესად გამწვავების მომენტში ასპარეზზე გამოვიდნენ პროლეტარიატის ეს სამხედრო ორგანოები და მიუხედავათ იმისა, რომ პირველ ხანებში მათ არ ჰქონდა საკმაო პრაქტიკა და გამოცდილება, დაუნდობელ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდნენ, როგორც არმიის შიგნით, პირველ ხანებში შეპარულ მავნე უცხო ელემენტების წინააღმდეგ, ისე მის გარეთ ყოველგვარ ბანდიტების, ჯაშუშების, მფლანგველების, მავნებლების, კონტრ-რევოლუციონერების და სხვ. წინააღმდეგ. და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ სავსებით გაამართლეს პროლეტარიატის და მშრომელ გლეხობის იმედები.

საქართველოში 1922 წლის 22 დეკემბერს იქნა დაარსებული ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალი. 1924 წელს დეკემბერში ის გარდაქმნილ იქნა მე-2-ე კატეგორიის კორპუსის ტრიბუნალად. ხოლო ამჟამად ის (1926 წლის ოქტომბრიდან) ითვლება ქართულ დივიზიის მშვიდობიან დროის სამხედრო ტრიბუნალად.

საკასაციო ინსტანციას ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალისათვის 1926 წლამდე წარმოადგენდა ს. ს. ს. რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, ხოლო შემდეგ ს. ს. რ. კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგია, თანახმად ს ს. რ. კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ „დებულებისა სამხედრო ტრიბუნალებზე და სამხედრო პროკურატურაზე". სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „სამხედრო ტრიბუნალების მშვიდობიან და ომიანობის დროის მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა ევალება ს ს. რ. კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიას"-ო. ამას მოითხოვდა წითელ არმიის მთლიანობის პრინციპები, ვინაიდან ყველასათვის აშკარაა, რომ წითელი არმია წარმოადგენს ერთ მთლიან ინტერნაციონალურ ბრძოლის ერთეულს, ერთ მთლიან მუშტს ერთი სამხედრო რევოლუციონური შტაბის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის ქვეშ. ხოლო სამხედრო ტრიბუნალი, უშუალო ორგანო სამხედრო სარდლობისა და სამხედრო რევოლუციონური საბჭოსი, რომ მდგარიყო ამ მთლიანი პოლიტიკის და ხელმძღვანელობის გარეშე—ეს იქნებოდა დიდი შეუსაბამობა.

ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალი თავის არსებობის ამ მოკლე ხნის განმავლობაში ატარებდა კლასიურ ხაზს და მტკიცედ იდგა მუშათა კლასის და რევოლუციონური კანონიერების სადარაჯოზე. მან ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი მუწუკი მოჰკვეთა ქართულ დივიზიის შემადგენლობის და საქართველოს მუშათა კლასის ჯანსაღ სხეულს.

მომავალშიაც ქართულ დივიზიის ტრიბუნალის ამოცანას შეადგენს მტკიცედ გაატაროს ცხოვრებაში პარტიის მიერ დასმული ყველა ამოცანები და ლენინის ანდერძი. ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალი თავის ყოველდღიური მტკიცე კლასიური ბრძოლით შესძლებს ბელადის ანდერძის შესრულებას.

დღეს სამხედრო ტრიბუნალის არსებობის ათი წლის თავზე ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალი მხურვალე სალამს უძღვნის თავის უფროს ძმებს: კ. წ. დ. არმიის და მოძმე რესპუბლიკების სამხედრო ტრიბუნალებს და უსურვებს მათ ბრწყინვალე გამარჯვებას ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე.

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე შ. თავართქილაძე.

ოთხშაბათს, დეკემბრის 12-ს, საღამოს 7 საათზე

შესდგება

სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი ი. ვარძიელი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება,

რომელიც დანიშნული იყო ა. წ. 11 დეკემბერს, გადადებულია და შესდგება 14 დეკემბერს საღამოს 6 საათზე თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (კორესის ქ.).

11 დეკემბრისათვის დარიგებული ბილეთები ძალაში რჩება.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

დღეს, 12 დეკემბერს საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაში

იხსნება

ს. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ლენრაიკომის

მე-11-ე პარტ-კონფერენცია

დღის წესრიგი:

1) ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მოხსენება საქ. კომპარტიის მიმდინარე ამოცანების შესახებ.
2) რაიკომის მოხსენება, ა. ლ. კ. კ. რაიკომის თანამოხსენებით და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) ა/კ. რკ. გზ. მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.
4) არჩევნები: რაიკომის, სარევიზიო კომისიის და დელეგატების თბილისის პარტ-კონფერენციაზე.

ს. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის ბ/მგ. მდივანი: ფანცულაია.

ოთხშაბათს, 12 დეკემბერს. საღამოს 6 საათზე საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის აგიტპროპაგანდითი განყოფილებაში შესდგება

აგიტპროპთათბირი

რომელზედაც მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: **სვანიძე** (კომპარტიის ც. კ. საორგანიზაციო განყოფილება), **დელიბაში** (ქალთა განყოფილება), **დ. კანდელაკი, ასრიბეკოვი, არ. მიქაძე** (ა. კ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება), **ჩხარტიშვილი** (კო. პოლიტგანი), **იონოვი** (ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **ბუქიაშვილი, ბარნაბიშვილი** (ა. ლ. კ. კ. ც. კ.), **გიორგაძე** (პირველი რაიკომი), **პატარაია** (ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილება), **სნეგირიოვი** (ა.-კ. პოლიტსამმართველო), და **ზეგენავა** (განათლების მუშაკთა კავშირი).

დღის წესრიგი: ამხ. **კორსაველის** მოხსენება სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის აგიტპროპმუშაობის შესახებ.

წარმოების რაციონალიზაციის საკითხები

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში წარმოების რაციონალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს. რკინის გზების ადმინისტრაცია ხშირად აფერხებს თბ. დეპოს რაციონალურ მუშაობას

წარმოება გავაჯანსაღეთ

წარმოების რაციონალიზაციის მიზნით, მიმდინარე წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში დაისვა საკითხი ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში მუშა-ხელის შემოკლების შესახებ. შემცირების მიზანი იყო, როგორც წარმოების გაუმჯობესება-გაჯანსაღება, ისე თვით მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებაც.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისადმი ჯერ კიდევ მტრულად განწყობილმა თითოოროლა პირმა, როგორც ყოველთვის, ისე ეს შემცირებაც გამოიყენეს საგიტაციო მასალად და ასტეხეს განგაში იმის შესახებ, თითქოს ქარხნებიდან ვერეკებოდეთ მუშებს და ვტოვებდეთ უყურადღებოდ. რა მოხდა სინამდვილეში? ვინ დარჩა შტატ-გარეთ? ვინც გაეცნო შტატგარეშე დარჩენილთა სიას და ვისაც თავი მხრებზე აბია, დარწმუნებული იქნება იმაში, რომ შტატის შემცირება მოხდა წარმოების რაციონალიზაციის ნიადაგზე. შემცირების დროს, მთელი ასი პროცენტით დაცული იყო მუშათა ინტერესები.

თბილისის საუბნო კომიტეტის მოთხოვნილებით შემცირებაში მოჰყვნენ ისეთი მუშები, რომლებიც სიმულიაციით და სხვა გამოუსწორებელ საქციელით, ხელს უშლიდნენ წარმოების აღორძინებას. შემდეგ, წარმოებიდან მოხსნილი იქნა 80 მოხუცებული მუშა, რომლებიც გადაირიცხნენ დამზღვევ სალაროზე და მიიღებენ თვიური ხელფასის 40-დან 60 პროცენტამდე დახმარებას თვეში. ამგვარად შემცირება კი არა, ფაქტიურად მოხდა ქარხნის გაჯანსაღება, რაც უეჭველ საჭიროებას წარმოადგენდა წარმოების რაციონალიზაციათვის.

ასე ჩატარდა შტატის შემცირება ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში.

გ. ნ. ბ.

როგორ ატარებენ რაციონალიზაციას
(თბ. დეპო)

საბუღალტრო წესის თანახმად, ყოველი თვის პირველი რიცხვიდან იწყება მთავარ წიგნში და დამხმარე წიგნებში სხვადასხვა შეკეთების ხარჯების ჩაწერა. რასაც თვის ბოლოს უნდა გაუკეთდეს ჯამი თავ-თავის ნუსხის მიხედვით. ასეთ წიგნებს აწარმოებს თბილისის დეპოს კანტორა, რომელმაც ამას წინად შეადგინა ძველი შეკეთების მიხედვით ხარჯთ-აღრიცხვა, მაგრამ ეს მუშაობა თურმე, ნუ იტყვით, უნაყოფო გამოდგა: 15 ნოემბერს მოდის ბრძანება და მასთან ერთად ახალი ნუსხა შეკეთების ნომრების გამოცვლით. ახალი ნუსხის თანახმად ყოველივე ანგარიში გატარებული უნდა იქნეს პირველ ოქტომბრიდან. ასეთ ბრძანებას დეპოს კანტორა ღებულობს 15 ნოემბერს, რომელიც სამმართველოდან 12 ნოემბერს იქნა გამოგზავნილი.

რა შედეგი მოჰყვა ასეთ ბრძანებას? ის, რომ მთელი ოცი დღის ნამუშევარი გადაყარა ნაგავში, რადგან ყველა შეკეთებას ეცვლება თავის ნომერი და ხელახლა უნდა შეუდგენენ ახალი ნუსხის მიხედვით ხარჯების წიგნებში გატარებას. ამასთან უნდა აღინიშნოთ, რომ ხუთ დღეში ამ მუშაობის შესრულება შეუძლებელია. ამიტომ აუცილებლივ საჭიროა დღე და ღამე მუშაობა. რაც იწვევს ზედმეტ ხარჯს. აი რა აძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

რას აკეთებდნენ სპეცები, რომლებმაც შეადგინეს ახალი ნუსხა, რატომ თავის დროზე არ დაგზავნეს ადგილებზე ახალი ნუსხები რომ კანტორებს თავის დროზე დაემზადებინათ შეკეთების ანგარიში?

კოლხიდელი.

ავაგოთ საუტილიზაციო ქარხანა

უვარგისი ნივთების უტილიზაცია და მათი გადამუშავება-გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის გაძლიერებაში. ამ მხრივ უკვე დაიწყო შესაფერი მუშაობა; მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა სააქციონერო საზოგადოება „ჩვარ-ნაჭერი“, რომელიც აგროვებს სოფლად და ქალაქად უვარგის ნივთებს და აგზავნის ცენტრში გადასამუშავებლად.

მაგრამ ბევრი საუტილიზაციო ნივთები ჯერ კიდევ უნაყოფოდ იკარგება. ასეთია მაგალითად, სასაკლაოებში: სისხლი, ჩლიქები, რქები, ძვლები, თმა, შიგნეულობა და სხვ. მათი გადამუშავება და გამოყენება დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც კერძოდ სასაკლაოს, ისე საერთოდ ჩვენს მრეწველობასაც. აღნიშნულ ნივთების უტილიზაცია იძლევა საუკეთესო ხარისხის ფაბრიკატებს, რომლიდანაც ბევრი მათგანი საიმპორტო საქონლად არის გადაქცეული.

თბილისის სასაკლაოში საკმაოდ ბევრი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი იკვლება. წინა წლებში აქ იკვლებოდა 40.000 თავი მსხვილფეხა საქონელი 120.000 თავი წვრილფეხა საქონელი. დაკლულ საქონლის ეს რაოდენობა მოგვცემს დასამუშავებლად საკმაოდ ნედლეულს; რქებს, საქონლის თმას, ქონს, ძვლებს და შიგნეულობას. ამ ნივთებიდან მივიღებთ, ალბუმინს, მარგარინს, ფოსფორს და სხ. ძვლებიდან, წებოს, ფქვილს და ნახშირს. ალბუმინი, რომელსაც ვღებულობთ საქონლის სისხლის გადამუშავების შემდეგ, გამოდგება მიწის გასანოყიერებლადაც.

მართალია თბილისის სასაკლაოსთან ამჟამად არსებობს დამხმარე საუტილიზაციო ქარხანა და ფრეი-ბანკი, რომლებიც აწარმოებენ ნედლ ტყავეულების დამუშავებას. ტექნიკური ქონის დამზადებას და დაწუნებული ხორცის უტილიზაციასა და სტერილიზაციას,— მაგრამ ამ ქარხნის მუშაობით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ.

თბილისის აღმასკომმა ყურადღება მიაქცია ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებით საუტილიზაციო ქარხნის აგებას და უკანასკნელისათვის კიდევაც გადასდო საჭირო თანხები. საჭიროა ეს გადაწყვეტილება დროზე გატარდეს ცხოვრებაში.

სანდრო ცქიტიშვილი.

საქმიანი თათბირი
(უჩკა)

ამას წინად შესდგა თბილისის აღმასკომის უჩკის ადგილკომთან არსებულ ეკონომკომისიის თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: მ. გ. ინსპექციის, აღმასკომის რაც-ბიუროს და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. თათბირზე გარჩეულ იქნა საკითხი უჩკის განყოფილებებში ბიუროკრატიზმის და ქაღალდების დაკარგვის შესახებ. ამის შესახებ უკანასკნელ ხანებში აურებელი საჩივრები შედის მ. გ. ინსპექციაში, რომელმაც გამოჰყო სპეციალური კომისია უჩკის საქმიანობის გამოსარკვევად.

მოხსენებას, უჩკის კანცელარიებში ბიუროკრატიზმის შესახებ აკეთებს ამხ. კაზლოვსკი. იგი ეხება უჩკის კანცელარიაში არა ნორმალურ მუშაობას და აყენებს ღონისძიებებს კანცელარიაში საზარვო სისტემის შემოღების შესახებ, გარდა ამისა საჭიროა გამოყოფილ იქნეს ერთი უფროსი მემანქანე, რომელსაც უნდა ებაროს ყოველივე საქმე. ამასთანავე საჭიროა შემოღებული იქნეს საიდუმლო მიმოწერებისათვის ცალკე საქმე. მომხსენებლის აზრით ასეთი სისტემის შემოღება მოსპობს უჩკის კანცელარიაში—ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში ამხანაგები იწონებდნენ გამომკვლევ კომისიის ღონისძიებებს უჩკის საქმიანობის გასაუმჯობესებლად და მოითხოვდნენ მის ცხოვრებაში გატარებას.

პრეზიდიუმმა უნდა დაავალოს რაც. ბიუროს შეადგინოს გეგმა ახალი სისტემით მუშაობის შესახებ.

ვერელი მუშა.

საზოგადო ჯანმრთელობის დასაცავად

ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა უნდა დააჩქაროს აფთიაქის და საექიმო პუნქტის გახსნა საჩიჯაოს თემში.—გარე-კახეთის თემებში ანტი - სანიტარულ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევენ სანიტარული სექციები.—ს. დერჩის მაგალითს უნდა მიჰბაძონ ჭაობიანმა სოფლებმა.

დაპირება შეუსრულონ საჩიჯაოს თემი, (ზუგდიდის მაზრა)

საჩიჯაოს თემი წარმოადგენს მდებარეობით დაბლობ და ჭაობიან ადგილს. თემში ძლიერ გავრცელებულია როგორც ციებ-ცხელება, ისე სხვადასხვა ავადმყოფობანი. თემის მცხოვრებთა რიცხვი აღემატება 5.000-ს. არ გვაქვს აფთიაქი, არც საექიმო პუნქტი.

ხშირია ისეთი შემთხვევა როცა ავადმყოფი უწამლობისა და სათანადო მკურნალობის უქონლობის გამო კვდება.

გლეხს თუ ვინმე ავად გაუხდა, წამლისა და ექიმისათვის უნდა წავიდეს სამაზრო ქალაქში, რომელიც თემიდან დაშორებულია 25 ვერსით. ჯერ გზა უნდა იკითხოთ რა ნაირია. სულ მდინარეები და ოღრო-ჩოღრო ადგილები. მდინარეზე არსად ხიდი არ არის. ცუდი ამინდი თუ მოეწია გზაში, ერთი კვირა მოუნდება სიარულს.

საზოგადოებამ თავის ერთ-ერთ საერთო კრებაზე, ა. წ. იანვარში დადგენილება გამოიტანა აფთიაქის გახსნის შესახებ და შუამდგომლობა აღძრა სამაზრო ხელისუფლების წინაშე. წითელი ჯვრის სამაზრო კომიტეტმა გამოგზავნა წარმომადგენელი. წარმომადგენელმა მოიწვია საზოგადოების კრება. კრებაზე მაზრიდან ჩამოსულმა წარმომადგენელმა განაცხადა: „თქვენი თემის მცხოვრებლების რიცხვიდან 500 კაცი თუ წითელი ჯვრის საზოგადოების წევრი გახდება, აფთიაქს 24 საათის განმავლობაში გაგიხსნით“.

გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა ამ განცხადებას.

არ გასულა 15 დღე, რომ ნაცვლად 500 კაცისა 1500 კაცი ჩაეწერა საზოგადოების წევრად. ისინი დაიმედებულნი იყვნენ, რომ მაზრის ხელისუფლება შეასრულებდა დაპირებას აფთიაქის გახსნის შესახებ.

შეგროვილი საწევრო გადასახადი, დაახლოებით 740 მან. გადაგზავნილ იქნა წ.-ჯ. სამაზრო კომიტეტში, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. უკვე მეორე წელი დგება და არავინ ყურსაც არ იბერტყავს აფთიაქის შესახებ.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ჩვენს ისედაც ჩამორჩენილ თემს. მაზრაში ზოგიერთ ადგილას ყოველ 4-5 ვერსის მანძილზე გახსნილი აფთიაქები, რომლებიც წამლებს ვერ ასაღებენ და ტყვილა უწყვიათ. ჩვენი გლეხობა კი უმწეო მდგომარეობაშია და ყოველგვარ საექიმო დახმარებას მოკლებულია. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და დაპირება შეგვისრულოს მაზრის ხელისუფლებამ.

ციქო.

მეტი ყურადღება სანიტარულ მდგომარეობას
(წერილი გარე-კახეთიდან)

სოფლად სანიტარულ მდგომარეობას ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა. როგორც ჩანს ადგილობრივ თემ-აღმასკომების სანიტარული სექციები ნაკლებ იცხელებენ თავს სოფლად სისუფთავის დაცვისათვის. გარე-კახეთში მრავალია ისეთი თემები და სოფლები, სადაც აუწერელი ანტისანიტარული მდგომარეობაა. გზები, ორღობეები და თვით გლეხების ეზოებიც სავსეა ათასგვარი სიბინძურით: ნაგვით, ჭაობების ზუმბულით და სხვ. კერძო სავაჭროებში თუ სამიკიტნოებში სიბინძურეა. ვერ ნახავთ სუფთა მაგიდებს, დანა-ჩანგალს და სხვადასხვა ჭურჭლეულს.

ასეთი მდგომარეობაა გარე-კახეთის მთელ რიგ თემებში და სოფლებში: სართიჭალა მარტყოფი, საგარეჯო, მანავი, უჯარმა, ხაშმი, პატარძეული და სხვ. სიბინძურეა საპარიკმახეროში.

მკვდარი ფრინველების გადაყრა ეზოდან ეზოში ეს ხომ ყოველდღიური მოვლენაა. აი სწორედ ამით ვრცელდება ჭირი ფრინველთა შორის და სხვადასხვა სნეულებანი. საჭიროა ადგილობრივმა თემ-აღმასკომებმა სანიტარული სექციების საშუალებით გააცხოველონ მუშაობა, მიიღონ გადამჭრელი ზომები უსუფთაობის აღმოსაფხვრელად.

გ. ბარხიაშვილი.

მისაბაძი მაგალითი
(დერჩი რაჭა-ლეჩხუმის მაზრა)

სოფ. დერჩი ბუნებით შემკული სოფელია მოსავალიც კარგი იცის. აქ შეხვდებით მშვენიერ ვენახებს ხეხილის ბაღებს. სხვა კულტურებიც კარგად ხარობენ. ჰავა კარგია, მაგრამ მიუხედავად ამისა მცხოვრებთა შორის მაინც არის გავრცელებული მალარია. საექიმო პუნქტის ცნობით დაავადებულთა შორის 70 პროც. მალარიით არის შეპყრობილი. მალარიის გავრცელებას ხელს უწყობენ ჭაობიანი ტბები, რომელთა დაშრობაზე წინათ არავის უზრუნია.

ამ ტბების გაშრობის ინიციატივა იკისრეს ადგილობრივმა შვიდწლედმა და კომკავშირის ორგანიზაციამ და საგრძნობ შედეგებსაც მიაღწიეს:

გასულ წელში აღნიშნული სკოლის ძალებით დაშრობილ იქნა პატარა ტბა ვ. ასათიანის ეზოში. წელს 1 ნოემბერს სკოლის და კომკავშირის ორგანიზაციის ძალები დაირაზმნენ და იერიში მიიტანეს „ნამრეკლის“ დიდ ტბაზე, რომელიც ხალხის მიერ „უძირო“ ტბად იყო მიჩნეული.

იქვე გაჩნდნენ სათემო ხელისუფლების წარმომადგენლები. დაიწყეთ არხის გაჭრა, საერთო ძალ-ღონით მუშაობამ დიდად წაახალისა გლეხობა. ამავე სოფლის მცხოვრებმა ღარიბმა გლეხებმა ჩხაბერ-ძეებმა დასდეს ხელშეკრულება აღმასკომის წინაშე, რომ ტბას ისინი დაამშრობენ ორი კვირის განმავლობაში.

წახალისებულმა ხალხმა დაკვრით მუშაობა აწარმოვა 6 დღის განმავლობაში. გაჭრილ იქნა 52 საჟენის მანძილზე, არხი 3-6 არშინის სიღრმით. 13 ნოემბერს არხში გაშვებულ იქნა წყალი. ტბა მალე დაიწრიტა და დარჩა მწვანით დაფარული მშვენიერი ჭალა.

ამ მოვლენამ აღფრთოვანებაში მოიყვანა ადგილობრივი მცხოვრებლები. ყველა კმაყოფილებით უყურებს ასეთი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მუშაობის ჩატარებას.

ტბის დაშრობამ დიდი სარგებლობა მოიტანა. ჯერ ერთი მოგვცა საკმაოდ მოზრდილი დასამუშავებელი მიწის ნაკვეთი და მეორე, რაც მთავარია, მოისპო მალარიის ბუდე.

მ. ჩიქოვანი.

ოზურგეთის საავადმყოფო გაუმჯობესდა

წელს ჩვენს საავადმყოფოს დიდი მიღწევები აქვს. საავადმყოფოს შიგნით ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. მშვენივრად არის მოწყობილი ქირურგიული სამეანო-გინეკოლოგიური ოთახები, დაცულია იშვიათი სისუფთავე, გაყვანილია ყველა ოთახში ელექტრონათელი და სხვ. ასევე კარგად არის მოწყობილი შინაგან სნეულებათა განყოფილება. ავადმყოფი ოთახები კაპიტალურად შეკეთებულია: ავადმყოფთა მოვლა, ექიმობა და კვება თავის სიმაღლეზეა.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი დიდი თვალსაჩინო მიღწევა. დღემდე მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების საქმის ფართოდ დაყენებას დიდად ხელს უშლიდა პოლიკლინიკის უქონლობა. იყო მხოლოდ ერთი ამბულატორია ორი სპეც-ექიმის კაბინეტით. ეხლა კი ძველ ამბულატორიას გაუკეთდა კაპ. რემონტი და მოეწყო ხუთი სხვადასხვა სპეც. კაბინეტი. შეძენილ იქნა ახალი ინვენტარი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შემწეობით. პოლიკლინიკაში იწყობა სამკითხველო და ლენინის კუთხე.

წელს საავადმყოფოში გატარებულ ავადმყოფთა რიცხვი გაცილებით მეტია შარშანდელთან შედარებით. ავადმყოფთა რიცხვის 75 პროც. შეადგენენ ღარიბესა გლეხები და მუშა-მოსამსახურენი.

საავადმყოფოს ასეთი მიღწევები მიეწერება სამაზრო აღმასკომის და ჯანმრთელობის განყოფილების განსაკუთრებულ ყურადღებას საავადმყოფოსადმი. იმედია მომავალშიაც ასეთივე მზრუნველობას გაუწევენ ეს ორგანოები საავადმყოფოს.

გ. მ.

საბჭოთა არჩევნები

მუშა-დეპუტატების მივლინება

მეზობელ ქალაქების საბჭოების მუშაობის გასაცნობად

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების მთავარ ქალაქების საბჭოების მუშაობის გაცნობის მიზნით ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა საარჩევნო კამპანიის განმავლობაში თავის ხარჯით თბილისის საბჭოდან მეზობელ რესპუბლიკების მთავარ ქალაქებში გაგზავნოს 7 დეპუტატი—დაზგის მუშები, აქედან 3 მუშა-დეპუტატი გაიგზავნება ერევანში და 4 დეპუტატი ბაქოში. გარდა ამისა ამიერ-კავკასიის ცაკის ხარჯით ბაქოში გაიგზავნება თითო მუშა-დეპუტატი ბათომის და ჭიათურის საბჭოებიდან, ხოლო სოხუმში—1 მუშა დეპუტატი სოხუმის საბჭოდან.

ამას გარდა საქართველოს ცაკმა დაადგინა თავის ხარჯით საქართველოს სხვადასხვა მაზრებში გაგზავნოს თბილისის საბჭოს 30 მუშა-დეპუტატი. წინასწარ შემუშავებული გეგმით დეპუტატები გაიგზავნებიან შემდეგ მაზრებში: თბილისის მაზრაში—3, კახეთის მაზრაში—2, გორის—3, (აქედან ერთი ხაშურში და ერთიც—ბორჯომში), ბორჩალოს მაზრაში—1, ახალციხის მაზრაში—1, ახალქალაქის—1, შორაპნის მაზრაში—2 (აქედან ერთი გაიგზავნება ჭიათურაში), ქუთაისის მაზრაში—3 (აქედან 1 ტყიბულში და 1 სამტრედიაში), რაჭა-ლეჩხუმში—2, ოზურგეთის მაზრაში—3. სენაკის მაზრაში—1, ზუგდიდში—1, ფოთში—2, აჭარისტანში—2, აფხაზეთში—2 და სამხრეთ-ოსეთში—1.

სამაზრო აღმასკომები თავის ხარჯით მეზობელ მაზრებში მუშა-დეპუტატებს აგზავნიან შემდეგი წესით:

ბათომის საბჭო 2 დეპუტატს გააგზავნის აჭარისტანის მაზრებში, 1 დეპუტატს ოზურგეთის მაზრაში და 1 დეპუტატს თბილისში.

ფოთიდან 1 დეპუტატი გაიგზავნება სენაკის და ერთიც ზუგდიდის მაზრებში.

სოხუმიდან—2 დეპუტატი გაიგზავნება აფხაზეთის მაზრებში, 1—თბილისში და 1—სამხრეთ ოსეთში.

ბორჯომიდან—1 დეპუტატი გაიგზავნება ხაშურში და ხაშურიდან—ბორჯომში—1.

ქუთაისის საბჭო 2 დეპუტატს გააგზავნის ქუთაისის მაზრის ფარგლებშივე, ხოლო 1 დეპუტატს—ბათომში.

სამტრედიიდან გაიგზავნება—1 დეპუტატი ტყიბულში, ჭიათურიდან 1—თბილისში და ტყიბულიდან—1 სამტრედიაში.

ჩამოთვლილ სამაზრო აღმასკომებს და ქალაქის საბჭოებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ გამოყონ აღნიშნულ განწესრიგების მიხედვით მუშა-დეპუტატები დასახელებულ ადგილებში გასაგზავნათ.

მუშა-დეპუტატები საბჭოების მუშაობის გასაცნობად იგზავნებიან თითო თვით, აქედან 2 კვირით საანგარიშო კამპანიის დროს და 2 კვირით არჩევნების განმავლობაში.

პოლიტგანათლების ორგანოების მონაწილეობა არჩევნებში

თბილისის პოლიტგანმა შეიმუშავა საარჩევნო კამპანიაში პოლიტგანმანათლებელ დაწესებულებების მონაწილეობის გეგმა. გეგმის თანახმად ბიბლიოთეკებმა კამპანიის დროს თვითეულ წ. კ. მცოდნე მოჯამაგირეს, ღარიბ და საშუალო გლეხს, ფართოდ უნდა მიაწოდოს ისეთი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, სადაც გაშუქებულია საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებული საკითხები.

სახოფლო წითელ კუთხეებმა და ქალთა კუთხეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მოსამზადებელ და საგადარჩევო მუშაობაში სათემო პოლიტგანკომიტეტების უშუალო ხელმძღვანელობით. უკანასკნელთ მართებთ თავის დროზე მიაწოდონ წითელ კუთხეებს გეგმა კამპანიაში მონაწილეობისათვის.

პოლიტგანკომიტეტებმა თავისი აქტივის საშუალებით უნდა აწარმოონ მუშაობა გლეხობის შესაკრებ ადგილებზე: წითელ კუთხეებში, კოოპერატივში, ბაზარში, წისქვილში, ქალთა კუთხეებში, და სხვ. საანგარიშო კამპანიის პერიოდში პოლიტგანის დაწესებულებები ისე უნდა მოირთოს კამპანიის შესაფერი ლოზუნგებითა და პლაკატებით, რომ მათ შესძლონ გლეხობის დაინტერესება და მიზიდვა.

წ. კ. უც. სალიკვიდაციო პუნქტებმა და საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს უჯრედებმა საბჭოების გადარჩევაში უნდა შეასრულონ განსაკუთრებით დიდი როლი, როგორც ისეთმა დაწესებულებებმა, რომლებიც აწარმოებენ პოლიტგანმანათლებელ მუშაობას, წ. კ. უც. გლეხებში, წერა-კითხვის უცოდინარი ამომრჩეველი ყველაზე უფრო მეტ დახმარებას საჭიროებს არჩევნებში შეგნებულად მონაწილეობის მიღებისათვის. სალიკვიდაციო სკოლებმა საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს უნდა გამოყონ განსაზღვრული სამეცადინო საათები აღნიშნულ კამპანიის მიზნებისა და ამოცანების გასარკვევად. ლიკ-სკოლებმა მუშაობა უნდა აწარმოონ არა მარტო მსმენელთა შორის, არამედ სკოლის გარეშე დარჩენილი წ. კ. უცოდინარ გლეხებშიც. უკანასკნელთათვის სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს ხმა-მაღალი კითხვა და ფართოდ გაიშალოს საცნობარო მუშაობა.

საარჩევნო სამზადისი აფხაზეთში

სოხუმი, 10 დეკემბერი. შესდგა გალის სამაზრო საარჩევნო კომისიის სხდომა. შემუშავებულ იქნა საბჭოთა საანგარიშო და გადარჩევის კამპანიის გეგმა. კამპანიის ჩატარების წინ მოწვეული იქნება სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირი, რომელზედაც გაირჩევა საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებული საკითხები, და აგრეთვე მოსმენილ იქნება სოფლის საბჭოთა თავმჯდომარეების საანგარიშო მოხსენებები.

გადაწყვეტილია დაუყოვნებლივ დაიწყოს საარჩევნო სიებისა და იმ პირთა სიების შედგენა, რომელთაც ხმის უფლება წართმეული აქვთ. (ადს).

მოსამზადებელი მუშაობა ბორჩალოს მაზრაში

ბორჩალოს მაზრაში საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელ მუშაობის მიმდინარეობის შესასწავლად საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ მიავლინა ინსტრუქტორი შ. ქვირიკაშვილი, რომელიც უკვე დაბრუნდა და ბორჩალოს მაზრაში მიმდინარე მოსამზადებელ მუშაობის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

ბორჩალოს მაზრაში საბჭოთა არჩევნების წარმატებით ჩატარების მიზნით და არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად ქ. შაუმიანში შესდგა ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის პლენუმი, რომელსაც დაესწრენ თემაღმასკომების და სოფლის საბჭოების თავმჯდომარეები და აგრეთვე ადგილობრივ სახელმწიფო-სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელნი პლენუმზე მოსმენილი იქნა მაზრაღმასკომის ანგარიში და მოხსენება არჩევნების პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებზე.

გამართულ კამათში გამოირკვა, რომ ადგილობრივ სახელმწიფო-სამეცნიერო ორგანიზაციებს ჯერ-ჯერობით არავითარი გეგმა არა აქვთ შედგენილი არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ, რაც უნდა მიეწეროს სათანადო ცენტრალურ ორგანიზაციების სისუსტეს. საჭიროა ცენტრალურმა ორგანიზაციებმა თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს დაჩქარებით მიაწოდონ ინსტრუქციები, რომ ადგილებს საშუალება ექნეთ დროზე მიიღონ ზომები არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. კამათში გამოსული ორატორები შეეხენ საარჩევნო ინსტრუქციის იმ მუხლებს, რომლებიც ეხება არჩევნებში ღარიბ გლეხების აქტივობის გაძლიერებას და საარჩევნო ხმის უფლების წართმევის საკითხს.

საერთოდ, როგორც პლენუმზე გამოირკვა, ბორჩალოს მაზრაში მოსამზადებელი მუშაობა არ სწარმოებს დამაკმაყოფილებლად.

კამათის დასრულების შემდეგ პლენუმმა მიიღო მთელი რიგი ღონისძიებები მაზრაში არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად.

სამაზრო-საარჩევნო კომისიას დაევალა გააცხოველოს მუშაობა ადგილებზე, შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოს სათემო - საარჩევნო კომისიებს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ღარიბ გლეხების აქტივობის გაძლიერების საქმეს და სხვ.

ჭიათურა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ქარხანა-მაღაროებში

დეკემბრის განმავლობაში ამუშავებულ იქნება 3 ახალი ქარხანა და 4 მაღარო. ამ ქარხანა - მაღაროებში ამჟამად მიმდინარეობს რემონტი.

საწარმოო კომისიები

ჭიათურის მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით, ქარხანა-მაღაროებში ყალიბდება საწარმოო კომისიები, რომლების მიზანია ხელის შეწყობა წარმოებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდება და სხვა.

საწარმოო კომისიები უკვე ჩამოყალიბდა პერევისაში, მღვიმევში, ზედარგანში, რგანში, ყოფ. სიმონოვისეულ ქარხანაში, მტვირთველ მუშებთა შორის.

ტრესტის ქონების აღრიცხვა

საქ. სამ. უ. საბჭოს კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ტრესტის ქონების აღრიცხვა დაამთავრა მუშაობა ფოთში და დაბრუნდა თბილისში.

სამთო მრეწველობის სკოლა

ქ. ჭიათურაში სამთამადნო კავშირის რაიკომს აქვს სამთო მრეწველობის სკოლა, რომელშიაც ამჟამად სწავლობს 25 მოწაფე.

სკოლის მიზანია კვალიფიციური ძალების მომზადება ქარხანა-მაღაროებისათვის.

სკოლა დაარსებულია გასული წლის დეკემბერში. მის შესანახათ რაიკომი იღებს ყოველთვიურად 1000 მანეთს.

ურმების სადგომი ბინა

ჭიათურის აღმასკომმა გადასდო — 10.000 მანეთი ურმების სადგომი ბინის ასაგებად.

ბინის აგება გამოწვეულია იმით, რომ ჭიათურის მაღაროებში მუშაობს მრავალი ურმები, რომლებიც ეზიდებიან გარეცხილ შავ-ქვას სადგურზე. მოკლე ხანში, შავი-ქვის ამოღების გადიდების გამო, მეურმეთა რიცხვი გაიზრდება და საჭირო იქნება მათთვის ღამის გასათევი ბინა.

ხის მასალა მაღაროებისათვის

ტრესტი განიცდის კრიზისს ხის მასალის უქონლობის გამო. ხის მასალა საჭიროა მაღაროების აღსადგენათ და გასამაგრებლად.

საქართველოს ტყეები ვერ აკმაყოფილებენ ტრესტის მოთხოვნილებას.

ხის მასალა ტრესტმა დაიკვეთა რუსეთში, მაგრამ მიღებული ცნობების თანახმად, ტრესტი რუსეთიდან მასალას მიიღებს მხოლოდ ორი-სამი თვის შემდეგ.

სახანძრო საქმე

ვინაიდან როგორც ჭიათურაში, ისე ქარხანა - მაღაროებში, სახანძრო საქმე არ არის დაყენებული შესაფერისად, თბილისიდან გამოწვეულ იქნა სახანძრო საქმის ინსტრუქტორი, რომელიც დაწვრილებით გაეცნო აქ ამ საქმეს.

შექმნილი იქნა აგრეთვე კომისია. რომელმაც შეიმუშავა საჭირო ზომები ხანძართან საბრძოლველად.

ჭიათურის სახანძრო რაზმი, იქნება გადიდებული და მომარაგებული გაუმჯობესებულ მანქანებით.

ქარხანა - მაღაროებში მოეწყობა სახანძრო რაზმები.

ვინაიდან ადგილობრივი პირობების მიხედვით შეუძლებელია ერთი ძლიერი სახანძრო რაზმის ყოლა, ამიტომ ყოველ ქარხანაში შექმნილი იქნება სახანძრო რაზმები.

ყოველი რაზმი უზრუნველყოფილ იქნება საჭირო იარაღ-მანქანებით.

იარაღ - მანქანების შესაძენათ თანხებს გაიღებს, როგორც ადგილობრივი აღმასკომი, ისე შავი ქვის ტრესტი.

კედლის გაზეთები

ამჟამად ჭიათურის ქარხნებში გამოდის კედლის გაზეთი. გაზეთებს ხელმძღვანელობენ სარედაქციო კოლეგიები.

შექმნილია კორესპონდენტთა წრეები, სადაც მუშები ეცნობიან საკორესპონდენტო საქმეს, წერის ტექნიკას, საგაზეთო საქმეს და სხვა.

მუშკორთა კრება

ჭიათურის მუშათა კლუბში შესდგა მუშკორთა კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა შავი-ქვის ტრესტის მმართველის მოადგილის ამხ. კ. გამეზარდაშვილის მოხსენება ჭიათურის მრეწველობის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ. კრებამ მოისმინა აგრეთვე „კომუნისტი“-ს წარმომადგენლის მოხსენება მუშკორთა ამოცანების შესახებ მრეწველობის გაფართოებასთან დაკავშირებით.

კრებაზე ითქვა, რომ მუშკორები მიიღებენ ყოველგვარ ზომებს და დაეხმარებიან თავისი საქმიანი შენიშვნებით წარმოების განვითარება. გაძლიერებას.

წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა

წერა - კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად მოსამზადებელ მუშაობის წესით პროფკავშირებმა ჩაატარეს წერა-კითხვის უცოდინარ წევრების აღრიცხვა. ქალაქის აღმასკომმა თავისი მხრივ მოახდინა იმ უცოდინართა აღრიცხვა, რომლებიც არ არიან გაერთიანებულნი პროფკავშირებში.

ე. ხუციშვილი.

„ზაკსოიუზ“-ის საბჭოს მე-7 სესია

10 დეკემბერს, საღამოს მუშაობდნენ კომისიები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მოსმენილ მოხსენებების შესახებ პრაქტიკულ წინადადებათა დამუშავება.

საბჭოს უკანასკნელი სხდომა შესდგა გუშინ დილას. სხდომაზე განხილული და მიღებული იქნა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლუციები.

„ზაკსოიუზი“-ს გამგეობის საქმიანობა 1927—28 წელში საბჭომ დამაკმაყოფილებლად სცნო და დაამტკიცა მისი ოპერატიულ-ფინანსიური და საორგანიზაციო მუშაობის გეგმები 1928—29 წლისათვის.

რეზოლუციების მიღების შემდეგ საბჭოს სესია დაიხურა.

მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობა

1929 წლის პირველ იანვრიდან პირველ თებერვლამდე ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს მემმას-ის (მშრომელ ებრაელების მიწაზე მომწყობი საზოგადოება) ცენტრალური გამგეობა ატარებს მშრომელ ებრაელების მიწაზე მოწყობის კამპანიას, რომლის მიზანს შეადგენს: ფართო მასების გაცნობა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ებრაელთა ნამდვილ მდგომარეობასთან, ახალი წევრების მიღება მემმას-ში და საზოგადოების ახალ უჯრედებისა და განყოფილებათა მოწყობა; მემმას-ის მეგობართა ჯგუფების დაარსება.

კამპანიის ხელმძღვანელებად ა. ლ. კ. კ. და მემმას-ის კომიტეტების კომისიები, რომლებშიაც მონაწილეობენ პროფორგანიზაციების, პიონერთა ბიუროს, პრესის და ცალკე წარმოებების მუშა-ახალგაზრდობის წარმომადგენელნი.

კამპანია ჩატარებული იქნება ყველა ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში მუშათა, მოსწავლე და შინამრეწველურ ახალგაზრდობის შორის. სოფლად კი კამპანია ჩატარდება ისეთ რაიონებში, სადაც არის ებრაელთა მოსახლეობა. ქალაქებში ფართო კამპანია იქნება ჩატარებული განსაკუთრებით არა ებრაელ მუშა ახალგაზრდობის შორის, რაც დაკავშირებული იქნება ანტისემიტიზმთან ბრძოლის კამპანიასთან.

კამპანიის განმავლობაში ყველა საწარმოებში, სასწავლებლებსა და კლუბებში მოეწყობა ახალგაზრდების კრებები, რომელზედაც მოსმენილი იქნება მოხსენება კამპანიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. განზრახულია მოეწყოს აგრეთვე მასიური საერთო-საქალაქო დასაიათინო საღამოები და კონცერტები. ასეთი კრებები და საღამოები მოეწყობა ადგილობრივ ეროვნულ უმცირესობათა ენაზე. კამპანიის დროს მიღებული იქნება ზომები, რომ ფართოდ გავრცელდეს ბროშურა „მშრომელი ახალგაზრდობა მემმას-ის რიგების გასაძლიერებლად“ და მემმას-ის ჟურნალი „Трибуна еврейской советской общественности“, რომელიც სპეციალურად კამპანიისადმი არის მიძღვნილი.

საქართველოს ა. ლ. კ. კ. და მემმას-ის ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ მთელი აგიტმუშაობა მიმართონ ახალგაზრდობისა და მოზარდთა შორის ანტისემიტურ სულიერ განწყობილების წინააღმდეგ. კამპანიაში ჩაბმული უნდა იქნან მოზარდი და ახალგაზრდა მუშები და აგრეთვე პიონერები.

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ საზოგადოების წევრთა კრება

10 დეკემბერს ნარიმანოვის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ საზოგადოების წევრთა საერთო კრება. მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის შედეგებისა და პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა შერცელ ბააზოვმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ებრაელთა ჩაგვრა და ებრაელები უფლებრივათ გაათანაბრა დანარჩენ მოქალაქეებთან. ამასთანავე რევოლუციის პირველ წლიდანვე დაიწყო ებრაელების მოწყობა მიწაზე. 1917 წელს ებრაელებს სოფლად ეჭირათ 109.248 ჰექტარი მიწა, 1924 წელს—162.875 ჰექტარი 1925 წელს—270.533 ჰექტარი, 1926 წელს—375.296 ჰექტარი, 1927 წელს—488 054 ჰექტარი და 1928 წელს—642 054 ჰექტარი მიწა. ამჟამად საბჭოთა კავშირში მოწყობილია მიწაზე და სოფლის მეურნეობას ეწევა 200.000 ებრაელი ოჯახი. ამ სამი ოთხი წლის წინეთ საკავშირო ცაკთან მოეწყო მშრომელ ებრაელების მიწათმომწყობი კომიტეტი, რომელიც შეუდგა ებრაელების მიწათმოწყობის გეგმიანად წარმოებას. ამჟამად შორეულ აღმოსავლეთში გამოყოფილია 3.895.000 ჰექტარი თავისუფალი მიწა, რომელზედაც განზრახულია ებრაელების დასახლება. 10 წლის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებულია 100.000 ოჯახის მოწყობა მიწებზე. მართალია ბირო-ბიჯანში (შორეული აღმოსავლეთი) მკაცრი კლიმატიური პირობებია, მაგრამ ამ კუთხეში დიდი მომავალი აქვს სატყეო მეურნეობას, მეთევზეობას მონადირეობას და ოქროს მადნების დამუშავებას.

მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობას საბჭოთა ხელისუფლება აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ საქმეზე ოთხი წლის განმავლობაში ხელისუფლებას დახარჯული აქვს 4 მილიონი მანეთი, გარდა შეღავათიანი სამგზავრო ბილეთებისა, სასოფლო სამეურნეო ინვენტარისა, აგრო დახმარებისა და სხ. ამავე მიზნისათვის საგრძნობ დახმარებას იძლევიან საზღვარგარეთელი ებრაელი საზოგადოებები, რომლებისაგანაც ოთხი წლის განმავლობაში ებრაელთა მიწათმოწყობის საქმისთვის მიღებულია 15 მილიონი მანეთი.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ქართველი ებრაელების მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ებრაელები არსად არ ცხოვრობდნენ ისე კარგათ როგორც საქართველოში, სადაც მათ არავითარი დევნა ხალხისაგან არ განუცდიათ.

ამ ერთი წლის წინეთ თბილისში დაარსდა მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება, რომელსაც ამჟამად ყავს 1500.-მდე წევრი. ამ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს თავისი განყოფილებები ყველა მაზრებში, მაგრამ ახლო მომავალში ის განყოფილებებიც მოეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიწის დიდი სიმცირეა, საქართველოს ხელისუფლება ყოველ ღონეს ღებულობს გამონახოს თავისუფალი მიწები, რომლებზედაც ქართველი ებრაელები ისევე იქნებიან მოწყობილი, როგორც ქართველი გლეხები. ამჟამად კახეთში გამოყოფილია სოფელი წითელი გორა, სადაც დასახლებული იქნება 123 ებრაელი ოჯახი და 87 ქართველი გლეხის ოჯახი. მიღებულია ზომები ქუთაისის და ფოთის რაიონებში ებრაელების მიწათმოსაწყობად. ამასთანავე მიღებულია ზომები ებრაელების ფაბრიკა-ქარხნებში ჩასაბმელად. ქუთაისის აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხანაში მოწყობილი იქნება 100 ებრაელი, თბილისის მაუდის ფაბრიკაში—100 კაცი და სხვა. ღარიბისი ებრაელები მიწაზე მოწყობილი იქნებიან სრულიად უსასყიდლოდ, ხოლო შეძლებული კატეგორიები გადაიხდიან 150 მანეთიდან 1200 მანეთამდე.

შრომის ეკონომიკის განყოფილებების დაარსება ტრესტებთან

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა ტრესტებში და ცალკე წარმოებებში შრომის საკითხების მისაწესრიგებლად დაარსდეს შრომის ეკონომიკის განყოფილებები. განყოფილებები მოეწყობა ტრესტების სამმართველოებთან, ხოლო ცალკე საწარმოებთან, გამოყოფილი იქნება შრომის საკითხებზე მომუშავე ცალკე სპეციალისტები.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა ტრესტებთან დაარსებული შრომის ეკონომიკის განყოფილებების სანიმუშო დებულება რომლის თანახმად ტრესტებში დაარსებული შრომის ეკონომიკის განყოფილებები ექვემდებარება ტრესტის მმართველს და წარმოებებთან გამოყოფილი შრომის დარგის მუშაკები კი წარმოების დირექტორს.

შრომის ეკონომიკის განყოფილებებმა უნდა ჩაატარონ მუშაობა იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, დასამუშავებლათ და გადასაწყვეტად, რომლებიც შეეხება მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხელფასს, თვალყური უნდა ადევნონ არსებულ კოლ. ხელშეკრულებებისა და შრომის კანონმდებლობების ცხოვრებაში გატარებას, შეაგროვონ მასალები შრომის საკითხებზე და მოახდინონ ამ მასალების დამუშავება და ანალიზი. მათვე უნდა ჩაატარონ მუშაობა საწარმოებში შრომის პირობების შესასწავლად; დაამუშაონ კონკრეტული ღონისძიებები მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ; შეისწავლონ მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ზრდასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.

თვითღირებულების დამატებით შემცირება

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბრძანებაში თვითღირებულების დამატებით შემცირების შესახებ (ეს ცნობა ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოთავსებული მოკლედ—დეპეშის სახით) სხვათა შორის ნათქვამია:

მრეწველობამ მიიღო უმნიშვნელოვანესი და საპასუხისმგებლო დავალება—შეამციროს თავისი პროდუქციის თვითღირებულება 7 პროც. სინამდვილეში საჭირო იქნება პროდუქციის თვითღირებულების შემცირება კიდევ უფრო მეტის რაოდენობით. ფასების გადიდება შინაურ ნედლეულზე მრეწველობას ართმევს 50 მილიონ მანეთს. ნედლეულის ნაკლებობა მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი დარგებისათვის ქმნის წარმოების ერთგვარი შემცირების და წარმოების მუშაობის შეფერხების საფრთხეს. დაბოლოს, საკონტროლო ციფრების შედგენის შემდეგ მოხდა ხელფასის მექანიკური მომატება ორმოცდაათი მილიონი მანეთით და სარეწაო გადასახადიც გადიდებულია 40 მილიონი მანეთით.

ამ გაუთვალისწინებელი ხარჯების ასანაზღაურებლად საჭირო შეიქმნება პროდუქციის თვითღირებულების შემცირება არა 7, არამედ 8 ნახევ. პროცენტით. და ეს დავალება მთლიანად უნდა იქნეს შესრულებული, რადგან ამაზეა დამოკიდებული არა მარტო მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის, არამედ მიმდინარე წლის მთელი სახალხო მეურნეობის გეგმის განხორციელება.

თვითღირებულების დაკლება ზემოაღნიშნული რაოდენობით შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ყველა სამეურნეო პარტიულ და პროფესიონალური ორგანიზაციების, მთელი მუშათა კლასის შეთანხმებული ღონისძიებებით.

პირვანდელი საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული იყო მუშის შრომის ნაყოფიერების გადიდება საშუალოდ 15 პროცენტით, მაგრამ რომ ანაზღაურებული იქნეს ხელფასის მექანიკური გადიდებით გამოწვეული ზედმეტი ხარჯები, საჭირო იქნება მიღწევა იმის, რომ შრომის ნაყოფიერება გადიდებული იქნეს 17 ნახ. პრც.-დე. ამავე დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდას არ მოჰყვეს მუშათა მასიური დათხოვნა. განთავისუფლებული მუშა-ხელი გამოყენებული უნდა იქნეს მრეწველობის სხვა დარგებში, უმთავრესად ახალ წარმოებებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დისციპლინის გაძლიერებას. დაუდევრობას, მუშებისადმი უყურადღებობას და შრომის დისციპლინის დარღვევას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ენერგიულად უნდა გაგრძელდეს მუშაობა წარმოების რაციონალიზაციისათვის, მრეწველობის მექანიზაციისათვის, პროდუქციის სტანდარტიზაციისათვის, ნედლეულსა და მოწყობილობის უკეთესად გამოყენებისათვის.

ყოველმხრივი ბრძოლა მრეწველობისათვის საზარალო ყოველგვარ მოვლენებთან უნდა გადაიქცეს სამეურნეო ორგანოების და წარმოებების მთავარ ლოზუნგათ.

მუშებმა და ოსტატებმა, ინჟენრებმა და სამეურნეო მუშაკებმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დირექტივა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ.

პირველი საკავშირო რადიო-ლატარია

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა ჩვენს გაზეთში, საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით რადიოს მეგობართა საზოგადოება აწყობს პირველ ნივთებიან რადიო-ლატარიას.

ამ ლატარიის ბილეთების გასაღება დაიწყება მომავალი წლის აპრილში მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო ადგილებში.

სოფლებში რადიო-მიმღები აპარატების რაოდენობა ძლიერ ცოტაა. მთელი საბჭოთა კავშირის სასოფლო ადგილებში მათი რაოდენობა არ აღემატება 30—40 ათასს, მაგრამ ამ რაოდენობიდან ნახევარი არ მუშაობს, რადგან ადგილებზე არ იციან მათი მოვლა და გამოყენება.

რადიო - ლატარია მისცემს სოფელს 70.000 ახალ რადიო-მიმღებ აპარატს.

სულ გამოშვებული იქნება ორი მილიონი ცალი ათშაურიანი ბილეთი. თითეულ 20—30 ბილეთზე მოდის ერთი მოგება.

ლატარიის ბილეთების გაყიდვიდან მიღებული ფულის 75 პროცენტი მიეცემა საკავშირო მრეწველობას რადიო-აპარატურის დასამზადებლად. 200.000 მანეთამდე გადადებული იქნება სოფლად რადიო - მოყვარულთა კურსების მოსაწყობად და გლეხებისათვის რადიო - მიმღები აპარატების გამოყენების შესასწავლათ.

ბარიტის მრეწველობა

ბარიტის დამუშავება რაჭა-ლეჩხუმის და ქუთაისის მაზრებში უკანასკნელი დროის განმავლობაში საგრძნობლად ფართოვდება. აგვისტოში დამთავრდა მაღაროების მექანიზაცია, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო; მექანიზაციის ჩატარების გამო მაღაროების ნაყოფიერება სექტემბერში გაიზარდა 100 პროცენტით. 1928 წლის მაისში ამოღებულია 385 ტონა ბარიტი. ივნისში—536 ტონა და სექტემბერში—1.176 ტონა.

გამოკვლევის მასალების მიხედვით, რაჭა-ლეჩხუმის და ქუთაისის მაზრებში ბარიტის მარაგი უდრის 1—2 მილიონ ტონას.

ამჟამად საქართველოს ბარიტის მრეწველობა აკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის, ბაზრების მოთხოვნილებას 60 პროცენტით; ქუთაისის ბარიტის წისქვილის ამუშავებისა და არსებულ წისქვილების ნაწილობრივი რეკონსტრუქციის ჩატარების შემდეგ ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება 80—90 პროცენტით.

სოც. უზრ. კომისარიატში

დახმარება პოლიტკატორღელების საზოგადოებას სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა პოლიტკატორღელების საზოგადოებას კლუბის მოსაწყობათ დახმარების სახით გადასცა 200 მ.

დახმარება გორის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების კლუბს. სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა გორის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების კლუბის საჭიროებისათვის გადასდო 800 მანეთი.

დახმარების აღმოჩენა ძველ რევოლუციონერებისათვის. სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ავადმყოფობის გამო ძველ რევოლუციონერებს; სტეფანე ზაქარაძეს, ერმილე ფრცხალავას და დავით ხუბულურს დახმარებათ მისცა 150 მანეთი.

დახმარება ამხ. ივანე შერედინს. სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ამხ. ივანე შერედინს მძიმე ავადმყოფობის გამო დახმარებათ მისცა ასი (100) მანეთი.

ოპერის თეატრის გარშემო

(საქ. მუშ.-გლეხინის დადგენილება)

იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტში“ (1928 წ 18 ნოემბერს. № 276-ში) სათაურით „საოპერო თეატრის ავ-კარგი“, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა სახელმწიფო ოპერის მდგომარეობის გამოკვლევა და გამოარკვია შემდეგი:

1) თეატრის ხელმძღვანელთა შორის არ იყო კოლეგიალური მუშაობა, რაც ხელს უწყობდა არა ჯანსაღი ურთიერთობის და გაუგებრობათა წარმოშობას ერთის მხრივ თეატრის ხელმძღვანელებს შორის და მეორეს მხრივ ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს შორის.

2) თეატრის სამხატვრო პერსონალის შტატი გადიდებულია, რასაც საქმის ინტერესები არ მოითხოვს. შტატის გადიდებას ხელს უწყობდა პროტექციონიზმი დასის შედგენის დროს.

3) უკანონოდ და უსაფუძვლოდ ეძლეოდა უფასო მუდმივი და შესასვლელი ბილეთები მთელ რიგ დაწესებულებებს და პირებს რომელთაც არ ჰქონდათ ამის უფლება.

4) სახელმწიფო ოპერის მუშაობაში ადგილი აქვს ბიუროკრატიზმის ფაქტებს თეატრის ხელმძღვანელების მხრივ.

5) თეატრის ადმინისტრატორი გლინსკი თეატრში ავრცელებდა სხვადასხვა ჭორებს ცალკე მუშაკების შესახებ. არასწორ ცნობებს აწვდიდა როგორც დირექტორს ჯაფარიძეს, ისე დირექტორის მოადგილის ხოფერიას, რითაც აღრმავებდა და ართულებდა გაუგებრობებს თეატრის ხელმძღვანელთა შორის.

იღებს რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს, საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა ადგენს:

1) სახელმწიფო ოპერის თეატრის დირექტორს ლევან ჯაფარიძეს გამოეცხადოს საყვედური ბიუროკრატიზმისა და არაკოლეგიალური მუშაობისათვის.

2) სახელმწიფო ოპერის თეატრის ადმინისტრატორი გლინსკი მოხსნილ იქნეს სამუშაოდან ინტრიგებისა და კინკლაობისათვის.

3) მიეთითოს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილებას რომ ის საკმაო ხელმძღვანელობას ვერ უწევს სახელმწიფო ოპერის თეატრს.

4) დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილებას შეიმუშაოს დებულება სახელმწიფო ოპერის ადმინისტრაციის შესახებ. თეატრის დირექციის ცალკე წევრთა ფუნქციების მტკიცედ და ზედმიწევნით განსაზღვრით.

5) დაევალოს საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ქალაქის რაიკომს გააძლიეროს ხელმძღვანელობა სახელმწიფო ოპერის კომუჯრედზე.

6) აღნიშნულ იქნეს, რომ სახელმწიფო ოპერის საქმეებში ერეოდნენ ზოგიერთი ორგანიზაციები და ამხანაგები, რომელთაც არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება ოპერასთან.

დაუშვებლად ჩაითვალოს ასეთი მოვლენა, რომელიც აფერხებს თეატრის ნორმალურ მუშაობას. მომავალში ასეთი ჩარევისათვის ორგანიზაციები და ცალკე პირები პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

ახალი საჰაერო ხაზი

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მოსკოვიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„სამოქალაქო ავიაციის საბჭომ მოიწონა შავი ზღვა — ამიერ-კავკასიის საჰაერო ხაზის პროექტი და მას დღეს დასამტკიცებლად ადგენს საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოში. პროექტის დამტკიცების შემდეგ დაუყოვნებლივ შევუდგებით საორგანიზაციო მუშაობას.

ქებურია“.

ბავშვთა კვირეული

გამოცხადებული იქნება ჯანმრთელი ბავშვების კონკურსი

გუშინ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილებასთან ამხ. პ. ქართველიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი ბავშვთა კვირეულის ჩატარების შესახებ. თათბირს დაესწრენ: პროფსაბჭოს, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების, წითელი ჯვრის, რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილების და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბავშვთა კვირეულის ჩატარების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ექ. ა. მარკოზოვი, რომელმაც თათბირს გააცნო ბავშვთა კვირეულის ჩატარების მიზანი და გეგმა.

ბავშვთა კვირეულის მოწყობის მიზანია დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის პოპულარიზაცია და დაახლოება ფართო მასებთან.

თათბირმა გადასწყვიტა ბავშვთა კვირეული ჩატარებულ იქნეს თებერვალში ან მარტის პირველ რიცხვებში. კვირეულის დღეებში ადგილებზე უნდა მოეწყოს ჯანმრთელი ბავშვების კონკურსი. ყველაზე უფრო ჯანმრთელ ბავშვებს დაურიგდება ჯილდოები.

ქრონიკა

საზამთრო არდადეგები სახ. უნივერსიტეტში

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის ცნობით, სახელმწიფო უნივერსიტეტში საზამთრო არდადეგები იწყება 1929 წლის პირველ იანვრიდან და თავდება 31 იანვარს. საგამოცდო სესიები იწარმოებს 16-დან 31 იანვრამდე. 1, 2 და 3 თებერვალს იწარმოებს გამოცდები მხოლოდ ჩაჭრილთათვის. გამოცდებზე დასაშვებათ ჩაწერა შეიძლება სათანადო ფაკულტეტის საქმის მწარმოებელთან ა.-წ 21-დან 31 დეკემბრამდე.

სწავლა განახლდება 1929 წლის პირველ თებერვლიდან.

გამგეობა აფრთხილებს სტუდენტობას, რომ მტკიცეთ დაიცვან ზემოთ აღნიშნული დადგენილება რომელიც აღმასბიუროს მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობით არის შედგენილი და მასში არავითარი ცვლილება, როგორც გამგეობის, ისე აღმასბიუროს მიერ არ იქნება შეტანილი.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** კლარა ცეტკინის ქუჩაზე ტრამვაის ხაზის გასაყვანად გადაიდო 13.256 მანეთი.

◆ **ახალი სახლი.** ლერმონტოვის ქუჩაზე თბილისის აღმასკომმა დაამთავრა მუშათა ახალი სახლის აგება.

სხვადასხვა

◆ **სახ. უნივერსიტეტის კლუბში** დღეს, საღამოს 5 საათზე შესდგება სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტის იმ სტუდენტების საერთო კრება, რომლებიც ირიცხებიან პროფკავშირების წევრებათ. განსახილველია პროფკომის მუშაობის ანგარიში. შემდეგ მოხდება პროფკომის არჩევნები. კრების დასასრულ—კინო.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ხაშურიდან—ტაბატაძეს, ტყიბულიდან—კარაპეტოვს.

„საქართველოს ეკონომისტი“ №9—10

გამოვიდა და იყიდება ყოველთვიური ეკონომიური ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“ № 9—10.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები:

მოწინავე—ოქტომბრის რევოლუციის მე-12 წლისთავზე, არტ. კვირიკაძე—ჩვენი სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის პრობლემისათვის, ინჟ. ბეს. ჭიჭინაძე—საქართველოს სსრ სამრეწველო განვითარების მთავარი გზები, ინჟ. ივ. მეძმარიაშვილი—სიდერურგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, რ. მურთაზაშვილი—ჩვენი მეცხვარეობის გაუმჯობესებისათვის, ი. ზ. ანდრონიკაშვილი—საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობა და მისი მომავალი, ინჟ. ვ. ფელდტი—მაგისტრალური ტიპის გზატკეცილი ზემო- სვანეთში, არჩ. რუხაძე—კერძო კაპიტალი და სოციალური წინააღმდეგობანი საქართველოს სოფლებში პ. ი. შენგელია—მუშათა საბინაო მშენებლობის პერსპექტივები საქართველოში, ივ. ნარსია—საამშენებლო მრეწველობა ჩვენში, დ. ზავრიევი—თურქეთის საქონლის ტრანზიტი ბათომით.

თეორეტიული განყოფილება: კ. ორაგველიძე—გარდამავალი მეურნეობა, როგორც საგანი თეორიული ანალიზისა.

მიმოხილვა: ნ. ჟ. უნივერსალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აფხაზეთის ს. ს. რ-ში ხ. ქვარიანი—სამელიორაციო ამხანაგობანი საქართველოში ირ. მიქელაძე—საბითუმო ვაჭრობა 1927—28 წ.; ვ. ლეგატი—ნავთიან ადგილებისა და ნავთის ბაზრების საკითხი და საერთაშორისო პოლიტიკა.

ადგილობრივი მეურნეობა: ვალ. გამყრელიძე—კოლექტიური მეურნეობანი შორაპნის მაზრაში, არჩ. ფანცხავა—სახელმწიფო კოოპერატიული და კერძო ვაჭრობა ქუთაისის ბაზარზე.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე: პრესა, ინფორმაცია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, ამხ. კ. ორაგველიძის წერილში: „მრეწველობის განვითარების საკითხები და მემარჯვენე გადახრა“, გამოტოვებულია ერთი ცხრილი, მოგვყავს ის ავტორის მიერ წერილში მოცემულ სათანადო განმარტებით:

„... მოვიყვანოთ სათანადო ციფრები, რომლებიც აშკარად გახდიან ჩვენი პარტიის პოლიტიკას კაპიტალური მშენებლობის საკითხში. დავყოთ ყველა სამრეწველო დარგები ორ ჯგუფათ.

— „ა“ (მძიმე ინდუსტრიის) და „ბ“ (მსუბუქი ინდუსტრიის დარგები). მაშინ ჩვენ მივიღებთ კაპიტალურ დაბანდებათა შემდეგ დინამიკას პროცენტებში.

	1924 25	1925—26	1926—27	1927—28	1928—29 ურეზერვოთ	
					საკონტ. ციფრები	ს. მ. უ. ს. ვარიანტი
ჯგ. „ა“	73,0	63,9	71,5	71,6	76,4	74,6
ჯგ. „ბ“	27,0	36,1	28,5	28,1	23,6	25,4
„ა“+„ბ“	100	100	100	100	100	100

როგორც ვხედავთ, მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ გაცილებით მეტ კაპიტალურ თანხებს ვხარჯავდით მძიმე ინდუსტრიაზე, ვიდრე მსუბუქ ინდუსტრიაზე“...

ქუთაისი

ბარიტის ამოღების გაფართოება

რაჭა-ლეჩხუმის და ქუთაისის მადნეულობის დამმუშავებელმა სამმართველომ საგრძნობლად გააფართოვა მუშაობა ბარიტის დასამზადებლად. მიმდინარე წლის მაისში ამოღებულია 389 ტონა ბარიტი, ივნისში—536, ხოლო სექტემბერში კი 1176 ტონა. ბარიტის მადნების მარაგი რაჭა-ლეჩხუმის და ქუთაისის მაზრებში განისაზღვრება ორი მილიონი ტონა ბარიტით. ბარიტს დიდი მოთხოვნილება აქვს არა მარტო საქართველოს და ამიერ-კავკასიის, არამედ საბჭოთა კავშირის ბაზარზედაც.

ამის გამო წარმოების გაფართოების მიზნით უკვე დამთავრდა ბარიტის მეორე ახალი წისქვილის აშენება, რომლის ამუშავების შემდეგ დაფქვილ და ნაჭერ ბარიტის პროდუქტებზე ფასები დაიწევს 50 პროცენტით. ამჟამად რაჭა-ლეჩხუმის და ქუთაისის მაზრებში ბარიტის წარმოება ბარიტის ბაზრის მოთხოვნილებას მხოლოდ 60 პროც. აკმაყოფილებს, ხოლო წისქვილის ამუშავების და წარმოების რეკონსტრუქციის ჩატარების შემდეგ დაფქვილი ბარიტის პროდუქცია ბაზარზე აიწევს 80—90 პროცენტამდე.

კოლექტიური მეურნეობანი ქუთაისის მაზრაში

ამას წინად დასრულდა მუშაობა ქუთაისის მაზრის აგრონომიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირმა, რომელმაც გამოიმუშავა გეგმა მაზრაში კოლექტიური მეურნეობის მშენებლობის გასაფართოებლად.

ამჟამად ქუთაისის მაზრაში არსებობს სულ 20 კოლექტიური მეურნეობა, ხოლო თათბირის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით მომავალი წლისათვის განზრახულია 18 კოლექტივის ჩამოყალიბება. კოლექტივების სასოფლო-სამეურნეო იარაღებით უზრუნველყოფის მიზნით, მომავალი წლისათვის განზრახულია აგრეთვე 5 ტრაქტორის და სხვადასხვა სამეურნეო იარაღების შეძენა.

წინასწარი სამზადისი საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის

ქუთაისის მაზრის აგრონომიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირმა შეიმუშავა 1928—29 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების დროს უმთავრესი ყურადღება მიექცევა საერთო მოსავლიანობის გადიდებას, განსაკუთრებით ხორბლეულის, ტექნიკურ კულტურების და საქონლის საკვების მოსავლიანობას. გეგმის მიხედვით მომავალ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში სიმინდი დაიჭერს 72.000 დესიატინა მიწას, ლობიო და ფეტვი—350 დეს., ბამბა—1500 დეს., კანაფი —50 დეს., საკვები ბალახი—850 დეს.

ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მომავალი წლისათვის მსხვილფეხა საქონლის მომარაგების საკითხს, რის გამო, აღძრულია შუამდგომლობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე გრძელვადიანი სესხის 50.000 მანეთის მოცემის შესახებ, რომლითაც შეძენილი იქნება 1000 სული მსხვილფეხა საქონელი. აქედან 800 სული დაეთმობა კოლექტიურ მეურნეობებს, დანარჩენი კი განაწილებულ იქნება ღარიბ გლეხთა შორის. თესლის კრიზისის თავიდან ასაცილებლად, მომავალი წლის თესვის კამპანიისათვის შეძენილი იქნება 20.000 ფუთი სიმინდი იმ რაიონებისათვის, სადაც ადგილი ქონდა სიმინდის მოუსავლიანობას.

ქუთაისის მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა

უკანასკნელ ხანებში, ქუთაისის მუშათა კოოპერატივმა თავისი მუშაობა საგრძნობლად გააფართოვა. გაფართოვდა სავაჭრო წერტილების ქსელი და ამ წელში ის ავიდა 49—89 დუქნამდე. „რიონჰესი“-ს სამუშაოებზე ამ მოკლე ხანში გაიხსნა ახალი მუშათა სასადილო აგრეთვე განზრახულია ახალი სავაჭრო წერტილების გახსნაც. მოსახლეობის ფართო მშრომელი მასის კოოპერაციაში ჩაბმის მიზნით ამას წინად ჩატარდა საგიტაციო კამპანია, რასაც შედეგად მოჰყვა, შარშანდელთან შედარებით. წევრთა საგრძნობი ზრდა. მაგალითად, თუ 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის კოოპერატივში ირიცხებოდა 12.781 წევრი. 1928 წ. 1 ოქტომბრისათვის ეს რიცხვი ავიდა 14.375-დე. შესამჩნევად გაიზარდა აგრეთვე წევრთა საპაიო თანხაც. 1927 წლის 1 ოქტომბრისთვის ის უდრიდა 316.332 მანეთს. 1928 წ 1 ოქტომბრისათვის ეს რიცხვი ავიდა 91964 მანეთამდე. სავაჭრო ბრუნვა შარშან უდრიდა 3 მილ. 169 მან., წელს ის უდრის 4 მილ. 706 მანეთს.

ხელოვნება

პიანისტი—საზოგადოებრივი მუშაკი

(ლ. ტერ. დავთიანის კონცერტზე)

პროფესიონალურ მუსიკოსებს შორის საუბედუროდ იშვიათად ვხვდებით მოღვაწეს, დაჯილდოებულს გარკვეული საზოგადოებრივი ალღოთი.

ერთი ასეთი იშვიათი საზოგადოებრივი მოღვაწე-მუსიკოსია ლ. ტერ-დავთიანი, რომელმაც 8 დეკემბერს ჰაიარტუნის თეატრში მოაწყო სომხურ მუსიკის საჩვენებელი საღამო.

ტერ-დავთიანი მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა საზოგადოებრივ მუშაობას, როგორც პედაგოგი, რომელმაც საშუალება მისცა მშრომელთა ფართე ფენებიდან გამოსულ ახალგაზრდებს გასცნობოდნენ მუსიკალურ ხელოვნებას.

რევოლუციის შემდეგ ტ. დავთიანმა მიზნად დაისახა პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად სომეხთა ფართე მასებისათვის გაეცნო აღმოსავლური მუსიკის ახალ-ახალი ნაწარმოებები. კერძოდ, იგი მასაში ავრცელებდა სომეხ კომპოზიტორების ნაწარმოებს. ამ მიზნით იგი მართავდა საღამოებს მუშათა კლუბებში და გასტროლებს პროვინციის შორეულ კუთხეებში. ვინაიდან სომეხ კომპოზიტორების საფორტეპიანო შემოქმედება დიდი არ არის, ტ. დავთიანი ეწეოდა მუშაობას საფორტეპიანო ლიტერატურის გასამდიდრებლად. ამ მიზნით მან როიალზე გადაიტანა სომეხ კომპოზიტორების საორკესტრო და ვოკალური ნაწარმოები. მასებისათვის მშობლიური (და ამიტომ უფრო მისაწვდომი) მუსიკის გაცნობის აღმზრდელობითი მნიშვნელობა თავის თავად ცხადია. ისიც აშკარაა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა კომპოზიტორებისათვის მათი ნაწარმოების საკონცერტო შესრულებას, რომლის შესაძლებლობას იძლეოდა ტერ-დავთიანი თავისი შემოქმედებით.

აღმოსავლეთის კომპოზიტორების ნაწარმოები, რომელიც უმთავრესად აგებულია სახალხო თემებზე, ტერ. დავთიანის მიერ გადმოცემულია კოლორიტის და ხალხური მუსიკის ბუნების გაგებით, დიდი გემოვნებით და ტემპერამენტით.

საანგარიშო საღამოზე სრულიად ახალი ნაწარმოებიდან შესრულებულ იქნა რომ. მელიქიანის მინიატურები — ტერ-დავთიანის მიერ ფორტეპიანოსათვის გაკეთებული.

გარდა ამისა, პროგრამაში შედიოდა სპენდიაროვის („ხატჩარმა“ და „ენზელი“), ტერ-გევონდიანის („ჭურომ ქალთა (ცეკვა“) ბარხუდარიანის („პრელუდია“), მანღიანის, ჰანუკიანის და ახალგაზრდა კომპოზიტორების —ტანეიანის და კარო ზახარიანის ნაწარმოები.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა მომღერალმა ქალმა, ადგილობრივ კონსერვატორიის მასწავლებელმა ლ. სუზანჯიანმა, რომელსაც მშვენიერი სოპრანო აქვს. მან დიდი გემოვნებით შეასრულა რ. მელიქიანის (განსაკუთრებით ამ კომპოზიტორის „ვარდ“) ტ. ღევონდიანის და მაილიანის რომანსები.

ვ.

თბ. ქართული სატირის თეატრი

მეორე წარმოდგენა

8 დეკემბერს ქართული სატირის თეატრმა მუშათა ცენტრალურ კლუბში გამართა თავისი მეორე წარმოდგენა. სატირის თეატრს ჩვენში არა აქვს ტრადიციები, ამიტომ ბუნებრივია ის ნაკლი, რომელიც მას ახასიათებს, და რომელიც მან გამოამჟღავნა თავისი პირველი და მეორე წარმოდგენის დროს.

პირველ ყოვლისა, სატირის თეატრს არ უვარგა რეპერტუარი, რუსული „ჩასტუშკა“-ბის მსგავსად ქართულ ხალხური შაირის და სიმღერის გამოყენება მისაღებია და მას მომავალიც აქვს, მაგრამ სათანადო ეფექტის გამოსაწვევად არ კმარა მარტო სასიმღერო კილო და შაირული ლექსწყობა. მთავარი ის არის, რომ შაირები აგებული იქნეს ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე. ქართული „ჩასტუშკი“-ს ავტორებს ვერ მიუგნიათ სწორედ ასეთი თემებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სინამდვილე საამისოდ დიდ მასალას იძლევა. აღნიშნულ საღამოზე წარმოთქმული შაირები მეტ წილად მოკლებული იყო ყოველდღიურ სიმწვავეს და სიმახვილეს.

რაც შეეხება სატირულ დადგმებს, ამ პატარა საესტრადო პიესების ავტორებს თემა,— კიისის ხერხი გამონახული აქვთ, მაგრამ ამ თემას აკლია მხატვრული დამუშავება. სატირული ნაწარმოები მდგომარეობის გაშარჟებასა და პერსონაჟების დახასიათებაში ერთგვარ გადაჭარბებას გულისხმობს, მაგრამ აქაც საჭიროა მხატვრული ზომიერების დაცვა. სასაცილოდ აღებული პირის ძირითადი ნაკლი, რომლის გამოსწორებისაკენ არის მიმართული სატირის ავტორის გონება-მახვილობა, იმდენად არ უნდა იქნეს გადაჭარბებული, რომ რეალობას დიდი მანძილით დაშორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სატირა დაკარგავს დამარწმუნებელ ძალას. თითქოს ყველა დადგმას აჩნდა მეტისმეტი გადაჭარბების დაღი. სამაგალითოდ ავიღოთ „სცენა გოსკინპრომში“ ავტორის მიერ გამასხარავებული პოეტი თავის სცენარში თამარ მეფეს ცოლად რთავს რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე მეორეს და ამავე თამარს ავტომობილით დაატროლებს თბილისსა და ზაჰესს შუა. შეიძლება, ბევრი პოეტი და სცენარის ავტორი ჩვენში უვიცი იყოს, მაგრამ არც იმდენად, რომ ერთმანეთში ურიოს მე-12 საუკუნე და ავტოებისა და ელექტრონის ეპოქა. ასეთი სატირა რეალურ საფუძველს არის მოკლებული და ამიტომაც მაყურებელში სიცილს ვერ იწვევს.

რაც შეეხება შემსრულებლებს, ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მსახიობებს აქვთ ხმის მდიდარი მასალა (სასიმღერო) და დამუშავებული დიქცია. მაგრამ ამავე დროს მათ პროვინციალიზმის დაღიც აზის ცრუ კლასიკური ინტონაცია, არა ბუნებრივი ჟესტები და ყალბი მიხვრა-მოხვრა, ბევრი მათგანის ნაკლია. გამოცდილი რეჟისორის ხელი ადვილად განკურნავს მათ ამ სენისაგან, თუ ახალგაზრდა მსახიობები თავისთავზე მუშაობას არ დაიზარებენ.

მ—ლი.

ხელოვნების ქრონიკა

ლიტერატურული საღამო

დღეს, 12 დეკემბერს, მუშკოოპის წითელ კუთხეში (პლეხ. პრ. № 83) გაიმართება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ლიტერატურული საღამო. მოხსენებას გააკეთებს ბ. ბუაჩიძე. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ: კ. კალაძე, ალ. მაშაშვილი, შ. ნავთლუღელი, ვ. შინატიხელი, სიტკოვსკი, გრიბინშჩიკოვი, დ. სამსონიძე, ს. ეული, კ. ბობოხიძე, ფრ. ნაროუშვილი, ი. ხოშტარია, კ. ლორთქიფანიძე. დასაწყისი საღ. 8 ს.

◆ ოპერის თეატრში დღეს, მე-8 აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი“. დირიჟორი—ფალიაშვილი.

◆ „რღვევა“. დღეს, რუსთაველის თეატრში სომხური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

◆ მუშათა თეატრში დღის რუსულ ენაზე წარმოდგენილი იქნება „ლიუბოვ იაროვაია“.

◆ საბჭოთა კინო-მუშაკები ბერლინში. ამჟამად ბერლინში იმყოფება საბჭოთა კინომუშაკების ერთი ჯგუფი, რომელიც იღებს სურათს „ცოცხალი ლეში“. სურათის გადაღების დაწყებასთან დაკავშირებით ბერლინში შედგა სხდომა, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა კინოს მთელი რიგი მუშაკები, მათ შორის რეჟისორები პუდოვკინი და ოცეპი, „მეჟრაბპომფილმ“-ის დირექტორი მალკინი, ოპერატორი გოლოვნია, მსახიობი ნატა ვაჩნაძე, პროთ. კოზლოვსკი და სხვ. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა რეჟისორი პუდოვკინი, რომელმაც აღნიშნა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის დიდი მნიშვნელობა კინოს დარგში.

სასამართლო

გაფლანგვა იუსტიციის სახალხო კომისარიატში

(პროცესის მეათე დღე)

უზენაესმა სასამართლომ მოისმინა იმ მოწმეთა ჩვენება, რომლებიც სხვადასხვა სარემონტო სამუშაოებს ასრულებდნენ იუსტიციის კომისარიატის შენობაში და რომელთა ხელწერილებს ხელფასის მიღების შესახებ თავის კომბინაციებისათვის იყენებდა გამგე იოსებ მაისურაძე.

მოწმე ვართან შატბეროვი (დურგალი) ლაპარაკობს, რომ მან კომისარიატში იმუშავა სულ 15 დღე. ხელფასი მიიღო ნაწილ-ნაწილად, რაზედაც ცალ-ცალკე ხელწერილები აქვს გაცემული. გადის 6 თვე მის მიერ სამუშაოს შესრულების დღიდან და მას საერთო ხელწერილს ართმევს მაისურაძე, ნაწილ-ნაწილად მიღებულ თანხების ხელწერილებს კი არ უბრუნებს.

ეს ხელწერილები მაისურაძემ „შესაფერად“ გამოიყენა.

მოწმე არმენაკ გალუსტიანი (ბეტონების მოხელე) ლაპარაკობს, რომ მას ხელფასის სახით მიღებული აქვს 500 მანეთი. ერგებოდა კიდევ 440 მანეთი. მაისურაძემ მას ჩამოართვა ხელწერილი ამ ფულის მიღების შესახებ. ფული კი არ მოუცია. როცა მან ფულისათვის მიაკითხა, მაისურაძემ უთხრა—კარაპეტოვი მოგცემსო. ეს ფული დღესაც არ აქვს მიღებული გალუსტიანს.

მოწმე ბარსეგ გრიგორიანცი (დურგალი) ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კომისარიატის ეზოდან მაისურაძემ თავის სახლში წაიღო ფიცრები იატაკისათვის, მაგრამ რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ ისევ უკან მოიტანა.

გუშინ დილის სხდომაზე დაკითხულ იქნენ აგრეთვე მოწმეები ივლიტე ჯაოშვილი (მემანქანე), ალექსანდრე ლობჟანიძე, წვერავა, გაგუა (სატყეო ტრესტის საწყობის გამგე), თათარაშვილი (ამავე საწყობის ნოქარი) და მინდიაშვილი.

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა. დასაკითხავია კიდევ 5 მოწმე.

ყაჩაღები

ა. წ. 21 ოქტომბერს თიანეთის თემში სოფელ ხაიშოში ადგილი ჰქონდა ყაჩაღების თავდასხმას.

იმავე თემის მცხოვრებლებს ფილიპე ითოხების ძე ალბოთაშვილს, ალექსი იმიოას ძე გუბიანურს და ილო ალექსის ძე სვიმონიშვილს შეუდგენიათ ხადილაშვილის ოჯახის გაძარცვის გეგმა.

კვირა საღამოს ისინი შეიარაღებულან და გარს შემორტყმიან ხადილაშვილის სახლს. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ყაჩაღები სახლში უნდა შეპარულიყვნენ მოტყუებით. ასეც მოიქცნენ.

დააკაკუნეს კარებზე. კარი გაუღო მოხუცებულმა ქალმა ცუკა ხადილაშვილმა, რომელსაც ყაჩაღებმა მორიდებით სთხოვეს: შემოგვაღამდა და ღამე გაგვათევინეთო.

ქალმა მიიპატიჟა ყველანი. მაგრამ სახლში ჯერ შევიდა მარტო ფილიპე ალბოთაშვილი, რომელმაც ცოტა ხნის გასვლის შემდეგ იძრო რევოლვერი და გამოუმიზნა მოხუც ქალს, რომელსაც შიშისაგან ახლად ანთებული ჭრაქი ხელიდან გაუვარდა. სახლი სიბნელემ მოიცვა. ამის შემდეგ სახლში შეცვივდნენ ალბოთაშვილის ამხანაგები და დაიწყეს ნივთების ჩალაგება ტომრებში. ყაჩაღებს მთელი საათის განმავლობაში პირქვე წაქცეული ჰყავდათ ხადილაშვილები.

წაიღეს 150 მანეთი ფული, ტანისამოსი, საკერავი მანქანა. არ დაუტოვებიათ არაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა. ერთი ქილა ერბოც კი წაიღეს.

ყაჩაღებმა წასვლის დროს გარედან ჩაკეტეს ხადილაშვილები ოთახში, რომ მათ ეს ამბავი დროზე არ ეცნობებიათ ხელისუფლებისათვის.

ნაძარცვი ნივთები მძარცველებმა მიიტანეს და შეინახეს მათივე ამხანაგთან კოლა დიმიტრის ძე ლევინიაშვილთან, რომელმაც მიწაში ჩამარხა მთელი ეს ნადავლი.

ყაჩაღები მალე შეპყრობილ იქნენ. ისინი გამოტყდნენ დანაშაულში.

საქმე გადაეცა თბილისის სამაზრო სასამართლოს, რომელიც ამ დღეებში გაასამართლებს ოთხივე ბოროტმოქმედს.

გერ.

რკინის გზაზე

სადგურის უფროსის დაუდევრობით

გუშინ, სადგ. დიდუბის უფროსმა მასხულიამ იმ დროს, როდესაც თბილისიდან უკვე გასული იყო ორთქლმავალი თბილისისაკენ, გაუშვა მატარებელი № 11.

მემანქანემ დროზე შეამჩნია მოსალოდნელი მარცხი და მიიღო ყოველგვარი ზომები მის თავიდან ასაცილებლად. დაჯახება არ მომხდარა.

სამსახურისადმი ასეთი დაუდევრობისათვის მასხულია მოხსნილია სამსახურიდან.

კვლევა-ძიება სწარმოებს.

ზვავი

ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენზე ჩამოწვა მიწის ზვავი.

ზვავთან ერთად, რომელმაც დაფარა რკინისგზის ხაზი, ლიანდაგზე ჩამოვარდა ხეებიც.

ამ დროს ჩაქვი-ქობულეთის შუა მიდიოდა საბარგო მატარებელი, რომელიც დროზე გააჩერა მემანქანემ. ხაზი გასწმინდეს და მოძრაობა აღადგინეს ერთ საათში.

ორთქლმავლების დაზიანება

10 დეკემბერს სადგ. განჯაში საბარგო მატარებელი დაეჯახა ორთქლმავალს.

დაჯახების დროს დაზიანდა ორივე ორთქლმავალი.

დაჯახება კამეჩებზე

10 დეკემბერს მატარებელი № 21, რომელიც გაუშვეს სადგ. სამტრედიდან, გასცდა თუ არა სემაფორს—დაეჯახა სამ კამეჩს. მატარებელმა კამეჩები აითრია წინ და ამგვარად გაიარა 800 მეტრი. ამას შედეგად მოჰყვა ორთქლმავლის ლიანდაგიდან გადავარდნა და ხაზის მთელ ამ 800 მეტრის მანძილზე დაზიანება.

მოძრაობა ხაზზე შესწყდა. ხაშურიდან გაიწვიეს დამხმარე მატარებელი, რომლის საშუალებით მოძრაობა აღდგენილ იქნა 6 საათ ნახევარში.

ამ შემთხვევის გამო გუშინ სახალხო მატარებლები მოძრაობდნენ დაგვიანებით.

შემთხვევები

ხანძარი სახელმწიფო უნივერსიტეტში

გუშინწინ დილით, ელექტრონის მავთულების შეერთების გამო ხანძარი გაჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საჩქაროდ გამოიწვიეს სახანძრო რაზმი, რომელმაც ცეცხლი ჩააქრო 10 წუთის განმავლობაში. ხანძარით გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა.

მცირეწლოვანი დამნაშავე

გუშინ, დილით, გიორგი გაბრიელის ძე მზიაშვილმა (13 წლისა) საბურთალოზე [illegible] დასჭრა აკაკი ბოსის ძე კაკაურიძე (14 წლისა). მზიაშვილი დაპატიმრებულია.

კოოპერატივ „სოფლის მეურნეობის“ გამქურდავთა დაპატიმრება

ამას წინად გაქურდეს კოოპერატივ „სოფლის მეურნეობის“ საწყობი. წაიღეს სხვადასხვა საქონელი. ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა სანდრო სტეფანეს ძე ლოლიაშვილი, სამუელ სიმონის ძე თოთოევი, გიორგი ალექსის ძე საგანელიძე და ივანე გიორგის ძე სოლოძსოვი.

გაფლანგვა

სიღნაღის სამაზრო მილიციამ დააპატიმრა ივანე ივანეს ძე ივანოვი, რომელმაც მიითვისა საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობის (№ 4) კუთვნილი ფული.

ფიცრების მოპარვა

მილიციამ დააპატიმრა: ალექსანდრე მიხეილის ძე ვაშაკიძე, პავლე ივანეს ძე ათერსიანი, გიორგი ალექსანდრეს ძე გიორგობიანი და რუბენ მიხეილის ძე გარიბოვი, რომლებმაც მელიქიშვილის ქ. სახლიდან № 18 მოიპარეს ფიცრები.

ქურდობა

გაქურდეს გიორგი გელაშვილის ბინა (არარატის ქ. № 12); წაიღეს 100 მანეთის ნივთები. გარდა ამისა, 10 დეკემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის ოთხი შემთხვევა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ხუსეინ ღლონტს

კითხვა:

ვცხოვრობ აჭარისტანის სოფ. ზენითში. ჩემს კმაყოფაზე იმყოფება 9 სული. ერთი ჩემი შვილი, რომელმაც თავისი წილი ქონება გაიტანა 1922 წელში, სცხოვრობს მოსკოვში. იქ მას კავშირი ჰქონია ვიღაც ქალთან, რომელსაც შეეძინა შვილი. ბავშვის დედას აღუძრავს ჩემს წინააღმდეგ სარჩელი მოსკოვის სახალხო სასამართლოში. სასამართლოს, ბავშვის დედის მიერ წარდგენილ ცრუ საბუთების მიხედვით დაუსწრებლად მიუსჯია ბავშვისთვის ჩემგან სარჩო 70 მან. თვეში. ეხლა სასამართლოს აღმასრულებელმა აწერა ჩემი ქონება. ჩემი შვილი ამჟამად მსახურობს ქ. ბათომში „აზნეფტში“. გთხოვთ განმიმარტოთ: მეკუთვნის თუ არა გაყოფილი და ჯარში მყოფი შვილის ვალი ვიხადო? თუ არ მეკუთვნის როგორ მოვიქცე?

პასუხი.

თქვენი შეკითხვიდან ჩანს, რომ სასამართლოს სარჩო მიუსჯია ბავშვისათვის თქვენგან პირადათ. ამის გამო სასამართლოს აღმასრულებელი გახდევინებთ თქვენ არა სხვის ვალს, არამედ თქვენს ვალს. სასამართლოს შეეძლო თქვენგან პირადათ მიესაჯა ბავშვისთვის სარჩო, როგორც პაპისაგან, თუ ბავშვი თქვენი შვილის შვილია და თუ თქვენს შვილს არავითარი ქონება არ გააჩნდა. ასეთ შემთხვევაში არ აქვს არავითარი მნიშვნელობა იმას, გაყოფილია თქვენგან თქვენი შვილი, თუ არა. სარჩოს მისჯის დროს და სარჩოს რაოდენობის განსაზღვრის დროს სასამართლოს უნდა მიეღო მხედველობაში თქვენი ქონებრივი მდგომარეობა. თუ თქვენს წინააღმდეგ გადაწყვეტილება გამოტანილი იყო ისე, რომ თქვენ უწყება არ ჩაგბარებიათ, შეგიძლიათ ზედამხედველობის წესით შეიტანოთ საჩივარი რ. ს. ფ. ს. რ.-ის რესპუბლიკის პროკურორთან და მოითხოვოთ გადაწყვეტილების გაუქმება, რათა თქვენ მოგეცეთ საშუალება დაამტკიცოთ სასამართლოში, რომ თქვენ ღარიბი ხართ, ხოლო თქვენს შვილს აქვს შეძლება არჩინოს ბავშვი. ამის გარდა თქვენ შეგიძლიათ აღძრათ სარჩელი ბავშვის წინააღმდეგ და მოითხოვოთ განთავისუფლება მისი რჩენისაგან იმ საფუძვლით, რომ მის მამას ე. ი. თქვენ შვილს ეხლა აქვს ბავშვის რჩენისთვის საჭირო ქონება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი ატყობინებს, რომ ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, 12 საათზე, ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში შესდგება კომუნისტ — ექიმთა თათბირი, რომელზედაც აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ფახცხავა, მამალაძე, კამალოვი, კუტაიძე, ამაშუკელი, მეჟღაძე, ცომაია, მდივანი, კვანტალიანი, კაცარელი, გუდავაძე, სოსიანი, მამულია, კოჩიაშვილი, ანანოვი, ნერსესოვი, შავერდოვი, კარაგულიანი, ლეჟავა და სათენიკ კარაგულიანი.

—

ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 12 დეკემბერს, საღამოს 5 ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიაში (რუსთაველის პრ. № 2): ზაქარაია, ცომაია, ლომიაშვილი, ანდღულაძე, დანელია, ბეგიაშვილი, ხოშტარია, მათურელი, მირზოიანი, ლუკიანოვი, ნადიბაიძე, აპიანცი, კოზაევი, სირომაძე, კეკელია, თარაჯიევი, მრევლიშვილი, ამირხანოვი, იუსუპოვი, კოპალიანი, ალიევი, გასიევი, ხუბლარიანი, თუხარელი, კუშიტაშვილი, ნიკოლაიშვილი, კრასნოვი, წამალაშვილი, ზურაბიანი, გოგლიძე.

—

დღეს, 12 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: 1) მამულია (საქ. კომ. პარ (ბ) ც. კ. სააგიტაციო საპრ. განყ.): 2) ნატროშვილი („ახალი სოფელი“) 3) ჯაში (გაზით „მუშა“-ს კანტორა) და 4) გიულუმიანი (მშენებელთა კავშირი).

საქ. პოლიტეხ. ინსტ. ხაამშენებლო ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე. სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ: სილბისტრო მიქავა, შ. ქობესაშვილი, დ. კაპანაძე, ბ. ჯანგიძე, ა. ნადირაძე, ვ. პაპიაშვილი, ა. კიკნაძე, ი. თევზაია, იასო თევზაია, ნ. მანჯგალაძე.

—

აგრონომიულ ფაკულტეტის ბინაზე დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—

სახ. უნ. პედ. ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს 12 დეკ., საღამოს 6 ს. ბიუროს წევრ-კანდიდატთა გარდა სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში გადასარიცხად, ან კომკავშირში მიღების შესახებ.

—

სახ. უნ. სოც.-ეკ. ფაკულტეტის 1-ლ და მე-2 კურსთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 12 ნოემბერს, საღამოს 4 ნახ. საათზე. სხდომაზე წევრ-კანდიდატთა გარდა, უნდა გამოცხადდნენ ყველა ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები კომკავშირში მიღების შესახებ.

—

საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ისაკი სარჩიმელიას, ნიკოლოზ ბიბილეიშვილს, ბეგლარ კარახანოვს და ალექსანდრე ნეველიძეს 3 დღის განმავლობაში გამოცხადდნენ კომისიაში (რუსთ. პრ. № 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

მთავრობის დაწესებულებების ს/მოსამსახურეთა გაერთიანებული ადგილობრივი კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 10 დეკემბერს გარდაიცვალა [illegible] თანამშრომელი და ამხანაგი

ალექსანდრე სარდიონის-ძე ანთაძე

საერთო-ქალაქო პანაშვიდი დანიშნულია რესპუბლიკის მე-2 საავადმყოფოში 11 დეკემბერს საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე ა. წ. 12 დეკემბერს. გამოსვენება სრულ 4 საათზე რესპუბლიკის მე-2 საავადმყოფოდან. ნ. 196

მამა სარდიონ, ცოლი ძღუნია, ძმა პეტრე და შვილი ეთერი ანთაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ

ალექსანდრე სარდიონის-ძე ანთაძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 დეკემბერს ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ყ. ალექსანდრის საავადმყოფოდან 4 საათზე. 5213

ღრმად დამწუხრებულნი ბიძები: გიორგი, ანდრო, ალექსანდრე, ნარიტოპა გრიგოლის-ძე ანთაძეები; ბიცოლები: აზადი, ეპრაქსი, ტურეზ; ბებია მარიამ ჩუბინიძე ანთაძეებისა, გრიშა ზეთეიშვილი და ბარონ ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძათი დაუვიწყარი, საყვარელი

ალექსანდრე სარდიონის-ძე ანთაძის

გარდაცვალებას. 5214

მოულოდნელად დამწუხრებულნი ცოლისძმები: ილიკო, შაქრო, ანტუშა მუმლაძეები; ცოლი და ქართ მეუღლე ლაზარეთი და შვილები: ლიზა, გრიშა და კოლია ბეროზაშვილები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ 10 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ალექსანდრე (საშა) სარდიონის-ძე ანთაძე

5216

ღრმად დამწუხრებულნი: ლიუბა და დავით როინაშვილი აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ 10 დეკემბერს გარდაიცვალა პირველის ძმა და მეორის ცოლისძმა

ალექსანდრე (საშა) სარდიონის-ძე ანთაძე

დაკრძალვა მოხდება დღეს 12 დეკემბერს ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან 4 საათზე. 521[illegible]

ღრმად დამწუხრებულნი ნიკოლოზ და ვერა კოჩულაშვილნი აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ 10 დეკემბერს გარდაიცვალა პირველის ცოლისძმა და მეორის ძმა

ალექსანდრე სარდიონის-ძე ანთაძე

521[illegible]

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, საქმეთა მმართველობა აცხადებს, რომ ა. წ. დეკემბრის 10-ს გარდაიცვალა ს.ს. ცაკის სამეურნეო ნაწილის თანამშრომელი

ალექსანდრე სარდიონის-ძე ანთაძე

გამოსვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან ა. წ. დეკემბრის 12-ს ნაშუადღევის 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ.

სრულიად საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს საფინანსო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 დეკემბერს გარდაიცვალა დაუვიწყარი თანამშრომელი და ამხ.

ალექსანდრე სარდიონის-ძე ანთაძე

საერთო-ქალაქო პანაშვიდი დანიშნულია რესპუბლიკის მე-2 საავადმყოფოში საღამოს 5 საათზე. გასვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან ა. წ. დეკემბრის 12-ს დღის 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 520

ივანე დავითის-ძე ზარქუაშვილი მეუღლით და შვილებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ შვილის პატარა

დავითის (დათოს)

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. გურჯაანში. 5211

დედა მატა, ძმა გიორგი, რძალი ალექსანდრა და ძმისწული ზურაბი ახვლედიანები და დისწულები ივანე, ალექსანდრე და გიორგი ძაძამიძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს საყვარელი

გაბილინა კონსტანტინეს ას. ახვლედიანი-შავდიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ნალეფსაოში (სამეგრელო) ა. წ. 13 დეკემბერს. ნ. 1962 2—2

ღრმად დამწუხრებული დედა თია, დები: ველიტა, ელისაბედ ილიაშ, მიხადოია სულხანიშვილისა, ანა ენუქიძისა და სიძეები: თედო ენუქიძე და ყარამან სულხანიშვილი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა 25 წლის მოღვაწე პედაგოგიურ ასპარეზზე ძვირფასი და დაუვიწყარი

ანასტასია (ანეტა) ალექსის ასული პოკელიძისა

დაკრძალვა 13 დეკემბერს ქ. გორში. 5204

ცოლი მაშო, ძმა [illegible], და სარა, დარო გვარამაძეები, და ბაბალე, ცოლის ძმები: შაქრო და სანდრო, სიდედრი სოფიო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ილია გიორგის-ძე ახვლედიანი

გამოსვენება ხუთშაბათს, 13 დეკემბერს 3 ნახ. საათზე, ვერის სასაფლაოზე. საკუთარ ბინიდან, გურ. მიშველის ქუჩა, № 3. 5205

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 12 დეკემბერს მე-8 აბონემენტის მესამე წარმოდგენა **აბესალომ და ეთერი**

აბესალომი—ნ. ვ. ქუმსიაშვილი მურმანი—სანდრო ინაშვილი

13 დეკემბ. მე-2 აბონემენტის მე-3 წარმოდგენა, უკანასკნელად ვ. დერჟინსკაიას მონაწ. **ჰუგენოტები**

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათ. დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება

2—1 ნ. 1962

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს ბ. ლავრენიოვის

რღვევა დრამა 4 მოქმ. თარგმ. ა. ფაღავასი

დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი ირ. გამრეკელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მუშათა ზოლის ბიუროში მუშათა სასახლე ოთახი № 1

2—2 ნ. 1971

რუსთაველის თეატრი

ანონსი

პრემიერა ვ. კირშონის

„ლიანდაგი გუგუნებს“

დადგმა შ. აღსაბაძის მხატვარი ირ. გამრეკელი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

ნ. 1971

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს,

დედა-ქალაქის ცირკების პროგრამა

ევროპის ცირკების მასშტაბის

სანახაობათა 1-ლი ციკლი

3 განყოფილებით

4 ეშმაკი კონვალდი, ლეომარო მარგულო, ტამარინი და სხვა ნომრები

ანონსი! მალე?! თვალყური ადევნეთ!

დირ. [illegible] გამგე მ. ი. ტიდე

3—2 ნ. 1963

სამხეცე

ცხოველთა სამყარო

ჟოკეი კლუბის (ყოფ. არტო) ბაღში

ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე მრავალი სხვადასხვა ნხეცი, ფრინველი, მაიმუნი და ქვეწარმავალი.

ანონსი! ახლო ხანში ჩამოვა 6 მ [illegible] ქალლების იშვიათი ეგზემპლიარები ტროპიკული ტყეებიდან

თვალყური ადევნეთ! თვალყური ადევნეთ! თვალყური ადევნეთ!

0—12 ნ. 1839

ექიმი

ი. ვ. სანდუხოვი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობა.

ავადმყოფთა მიღება დილის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე, ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესხიშვილის ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—8

ხ. ბ. კასტორკოვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

სახქინმრეწვის კინოები

პანთეონი	**თავზე ხელაღებული** 1 და 2 სერიები ერთად
არფასტო	გრანდიოზულად დადგმული ფილმი
სოლეი	**კაპიტანის ქალიშვილი** (КАПИТАНСКАЯ ДОЧКА)
აპოლო	რეჟისორი ი. ტარიჩი
კავკასი	სეზონის საუკეთესო კომედია **წარჩინებული მოგზაურები** კატი და პატაშონი მთ. მონაწილეობით
მინიონი	ორგინალური კომედია **ბედნიერების ნალი** ოლგა ჩეხოვა მონ.
დარბაზი	**თავზე ხელაღებული** უკანასკნელი 5 და 6 სერიები
კოლ. ტარი	მხატვრული ბოევიკი **პორტფელის გამტაცებელნი**

1 სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათ. 15 წუთზე. სალარო ღიაა 5 საათ. 20 წუთიდან. 0—6

სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები

ნოტები

1. მელვინეთ უხუცესი—ოპერა „ამირანი“-დან პირიმზის სიმღერა. 60 კაპ.
2. მოსიკე—მზეთუნახავთა ცეკვა. 1 მან.
3. სულხანიშვილი—„ვეფხვის ტყაოსნიდან“—მო ზუალო. 40 კაპ.
4. მ. ბალანჩივაძე—ოპერა „თამარ ცბიერიდან—პირველი მასხარის სიმღერა. 1 მან.

ნ. 1933 5—5

საქ. პროფკავშირების კოოპერატიული გამომცემლობა

„შრომა“

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, მუშათა სასახლე № 17

დაიბეჭდა და 15 დეკემბრიდან გაიყიდება

კედლის კალენდარი 1929 წ.

(„შრომის“ და სახელგამის გამოცემა) ფასი 60 კაპ.

მაგიდის კალენდარი 1929 წ.

(„შრომის“ და სახელგამის გამოცემა) ფასი 3 მანეთი ფიცრით

კედლის კალენდრებისთვის დამზადებულია მხატვრულად შესრულებული ყდები (ზურგები) სხვადასხვა პოლიტიკურ მოღვაწეების და მწერლების სურათებით. ყდის ფასი (ცალკე 10 კაპ.-დან 50 კაპეიკამდე).

კალენდარი გაიყიდება როგორც ცალობით, ისე ბითუმათ გამომცემლობის ცენტრალურ მაღაზიაში (თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, მუშათა სასახლე, № 17).

ბითუმათ მყიდველებს დაეთმობათ 20%.

ვინაიდან კალენდარი მცირე რაოდენობით არის დაბეჭდილი, მყიდველებმა უნდა იჩქარონ შეძენა.

პროვინციის მყიდველებს (როგორც ბითუმათ, ისე ცალობით) კალენდრები გაეგზავნებათ ფასდადებით იმ შემთხვევაში, თუ ღირებულების 20% წინდაწინ იქნება გამოგზავნილი.

გამომცემლობა „შრომა“

მალე!

საუკეთესო კინოებში

საზღვ. განთქმული ბოევიკი, გამოშვებული 1928 წელს

მორალი

ელენ რიხტერის მონაწილეობით

ნ. 197

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლორთქიფანიძე

ამით აცხადებს, რომ ის 15 დეკემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 4 მინა-მოსვლის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მინა ბრეგვაძის მოძრავ ქონებას: 19 ტომარ პურის ფქვილს, სპილენძის ქვაბებს, დიდ სასწორს, მაგიდებს და სხვ. შეფასებულს 331 მანეთად, სურსათგამოშვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 28 ნოემბრის 1928 წ. თარიღით, № 6647 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 5221

ქ. თბილისის მე-2 რაიონ სასამართ. აღმასრულებელი გ. ი. ქილიფთარი

ამით აცხადებს, რომ ის 15 დეკემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 10/12 ოჯღორის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სევდარიანე ვისოკინსკის ერთ-სართულიან სახლს შემდგარს 3 ოთახისაგან, ერთი სარაით და ბაღით ეზოთი შეფასებულს 1800 მანეთად, ზინაიდა კამარდინას და ადოლფ რაპოპორტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. სანოტარო კანტორის 3 ოქტ. 1928 წ. თარიღით, № 199 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებ პირებმა უნდა დაიცვან ს.ს.ს.კ. 311-312 მ. მ. მოთხოვნით. 5208

გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. მეგრელიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 17 დეკემბერს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 5 ბნელ ჩიხში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სამუელ მიხეილოვის-ძე პ[illegible]ს უძრავ ქონებას: აგურის 1 სახლს, ორსართულ., თუნუქით დახურულს, შემდგარს 7 ოთახისაგან შეფასებულს 1000 მანეთად, „ზ კავსტორგის“ ვალის დასაკმაყოფილებლად. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს თანახმად ს. მოქ. სამართ. საპროც. კოდ. 311, 312 და 313 მუხ. მუხ. ნ. 1969

ახმეტის უბნის სახ. სასამართლოს განაჩენთა აღმასრულებელი გელოვანი

აცხადებს, რომ დეკემბრის 20 დილის 10 ს. სოფ. ზემო ალვანში, ილისაბედ პრელაშვილის 333 მან. 26 კაპ. ვალის უზრუნველსაყოფად, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდული იქნება ზ.-ალვანში მც. არსენა ლავიოის ძე ქაძის კუთვნილი ქონების ერთი მეექვსედი ნაწილი, სახელდობრ: ულელი ხარი 2 ფასებული 150 მან., კრამიტით დახურული სასიმინდე სიგრძე-სიგანით 5 არშინი 10 მან. კრამიტით დახურული საძე სიგრძით 14 და სიგანით 4 არშინი—60 მან. და ერთი ოთახიანი ფიცრული სახლი შეფასებული 120 მან., რომელ ფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ნ. 1970

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 10—9. ნ. 9. 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიქინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და დაშლილობანი ხმისა და მეტყველებისა.

კონჩაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 ნახ. საათამდე საღამოს 7—8 ს. გარდა კვირა დღეებისა. 25—1

კბილის ტექნიკოსთა კურსებზე

შეღავათიან ფასებში სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.

მიიღება ავადმყოფები ყოველ დღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათამდე

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფ. № 5—90. 25—12

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული. 4903 25—1

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ. ინსტიტუტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, [illegible] და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132. 13—1 ნ. 1809

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროსპ. № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. 12-67. ნ. 3—25

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9 12—ს-მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 3 25—15

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის ხელებს და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 1-მდე, და საღამოს 5—8-დე მესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

დაკარგა: რადიოს მოწმობა გიორგი ლ. პეტრეს ძე ყაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 5209

დაკარგზე საალრიცხვო ბარათი № 2 სიმონ საგინაშვილის სახელზე. ჩ. გ. 5210

დაკარგზე, მუშკოოპის წიგნაკი № 858 გევორქ მარკაროვის სახელზე, ჩ. გ. 5206

დაკარგე პროფკავშირის წიგნაკი გაცემული ქ. ბათომის კვების მუშაკთა კავშირის მიერ ბიჭიკო (ზაქარია) ნიზელის-ძე ელენტის სახელზე, ჩ. გ. 5218

დაკარგე, საანგარიშო წიგნაკი ნ. მუ დავიდიანცის სახელზე. ჩ. გ. 5219

დაკარგზე, განათლების მუშათა პროფკავშირის წიგნაკი № 31 60 მიხეილ ნიკოლოზის-ძე ფარნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 5217

დაკარგე დამხმარე სალაროს წიგნაკი № 461 და ბ ფურცელი ავადმყოფობის შესახებ 29 ოქტ. 22 ივნ. [illegible] მიერ გაცემული თალიკო სულაძის სახელზე. ჩ. გ. 5220

პოლიგრაფტრესტის მე-8 სტამბა, კამოს ქუჩა № 65.

მთავლიტი № 404.